

ISSN 2587-4713

DOI:10.36962/ECS

ეკონომიკა

ECONOMICS

ტომი 104, 6-9 2021

VOLUME 104, ISSUE 6-9 2021

ინდექსირდება საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში
Indexing in International Scientific Databases:



E-ISSN 2733-3361

საქართველო, თბილისი 2021
GEORGIA, TBILISI, 2021

ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი
„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный
рецензируемый и реферируемый научный журнал
“ECONOMICS” - Monthly International reviewed
and refereed scientific journal

ტომი 104, 6-9. 2021
VOLUME 104, ISSUE 6-9. 2021
DOI:10.36962/ECS

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან
Journal published since 1918

რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ნ. აბესაძე; თ. ბაბუნაშვილი; ნ. ბაკაშვილი; ე. ბარათაშვილი; ლ. ბახტაძე; რ. გოგოხია; ვ. დათაშვილი; მ. კაკულია; დ. კარბონი (იტალია); პ. კოლუაშვილი; ზ. ლიპარტი; გ. მალაშხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; ა. რზეპკა (პოლონეთი) მ. როკეტლიშვილი (აშშ); უ. სამადაშვილი; ა. სოლაგაძე; ა. სიჩინავა; ო. სოლდატენკო (უკრაინა); რ. სხირტლაძე; ტ. ფედოროვა (რუსეთი); დ. ქავთარაძე (რუსეთი); ა. ქუთათელაძე; რ. ქუთათელაძე; კ. ლურწყაია; გ. ლავთაძე; ნ. შენგელია; გ. შუბლაძე; თ. შენგელია; ნ. ჩხლაძე; ფ. წიკლაური; ნ. ჭითანავა; მ. ჯიბუტი. გ. ჯოლია.

ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)

Арчвадзе И., Абралава А., Абесадзе Н., Бабунашвили Т., Бараташвили Е., Бакашвили Н., Бахтадзе Л., Гавтадзе Г., Гогохия Р., Гурцкая К., Даташвили В., Джибути М., Джоллия Г., Кавтарадзе Д. (Россия), Какулия М., Карбон Д. (Италия), Когуашвили П., Кутателадзе А., Кутателадзе Р., Липартия З., Малашхия Г. Меквабишвили Э., Маршава К., Папава В., Рзепка А. (Польша), Павлиашвили С., Рокетлишвили М. (США), Силагадзе А., Сичинава А., Сольдатенко О. (Украина), Схиртладзе А., Самадашвили У., Федорова Т. (Россия), Читанова Н., Чихладзе Н., Шенгелия Н., Шенгелия Т., Шубладзе Г., Циклаური Ж.

REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; N. ABESADZE; T. BABUNASHVILI E. BARATASHVILI; N. BAKASHVILI; L. BAKHTADZE; N. CHIKHLADZE; G. GHAVTADZE; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; M. KAKULIA; D. CARBON (ITALY); P. KOGHUASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V.PAPAVA; A. RZEPKA (POLAND); M. ROKETLISHVILI (USA); U. SAMADASHVILI; N. SHENGELIA; A. SILAGADZE; A. SICHINAVA; O. SOLDATENKO (UKRAINE); A. SKHIRTLADZE; T. FEDOROVA (RUSSIA); D. QAVTARADZE (RUSSIA); A. QUTATELADZE; R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; ZH. TSIKLAURI; N. CHITANAVA; M. JIBUTI; G. JOLIA.

სტატიაში მოყვანილი ფაქტების, მონაცემების სიზუსტესა და პლაგიატზე პასუხისმგებელია ავტორი.

The Author is responsible for plagiarism
and for the accuracy of the facts, data given in the article.

თბილისი - 2021

შინაარსი

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემატი და პერსპექტივა

თამარ დუდაური - ინოვაციური პროცესი, როგორც
ანტიკრიზისული მართვის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი
doi.org/10.36962/104/6-9/2021697 ----- 7

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემატი

ლელა თეთრაძე - დასაქმების და უმუშევრობის მაჩვენებლები
თანამედროვე პირობებში
doi.org/10.36962/104/6-9/20216919 ----- 19

მადონა კანტიძე - მწვანე ინოვაციებისა
და ტექნოლოგიების უპირატესობანი
doi.org/10.36962/104/6-9/20216933 ----- 33

ბადრი რამიშვილი - ტექნოლოგიური მეგატრენდის
ეკონომიკური ანალიზი და მისი განვითარების
მიმართულებები პოსტ-პანდემიურ სამყაროში
doi.org/10.36962/104/6-9/20216941 ----- 41

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

ზაირა ლუდუშაური, ირინე წიკლაური - უმაღლესი და
პროფესიული სასწავლებლის დამთავრება ყოველთვის
არ მთავრდება დასაქმებით
doi.org/10.36962/104/6-9/20216957 ----- 57

ღარგობრივი ეკონომიკა

პაატა კოლუაშვილი, ლეილა გეგენავა - აგროსასურსათო
სექტორში არსებული გამოწვევები და პერსპექტივები
doi.org/10.36962/104/6-9/20216968 ----- 68

რუსუდან ფირცხალავა - მიწის რესურსების
 რაციონალური გამოყენება - ქვეყნის სასურსათო
 უსაფრთხოების განმსაზღვრელი ფაქტორი
doi.org/10.36962/104/6-9/20216985 ----- 85

ნათია გორგაძე - პროფესიული განათლების როლი საქართველოს
 მევენახეობისა და მეღვინეობის სექტორის განვითარებაში
doi.org/10.36962/104/6-9/202169102 ----- 102

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

თამარ ღამბაშიძე, მაყვალა რობაქიძე - სინერგიის
 ეფექტის ფორმირების მექანიზმი
doi.org/10.36962/104/6-9/202169116 -----116

ნატალია კანდელაკი - ტექნოლოგიური ინოვაციები
 სახელმწიფო მმართველობის ტრანსფორმაციის კონტექსტში
 (ბლოკჩეინ ტექნოლოგია: დანერგვის პრობლემები,
 უპირატესობები და ნაკლოვანებები)
doi.org/10.36962/104/6-9/202169124 ----- 124

ნიკოლოზ გოგოლაძე - ადამიანური რესურსების
 მართვის გავლენა თანამედროვე სპორტის ინდუსტრიაზე
doi.org/10.36962/104/6-9/202169137 ----- 137

დალი ბაკაშვილი - კომპანიაში დასაქმებული
 პერსონალის შიდაორგანიზაციული ქცევის შეფასება
 ჯ. ნიუსტრომის და კ. დევისის მეთოდის მიხედვით
doi.org/10.36962/104/6-9/202169145 ----- 145

რეცენზია

რევაზ შენგელია - საინტერესო სახელმძღვანელო----- 157

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი---- 161

CONTENTS

ECONOMIC REFORMS: ANALYSIS, PROBLEMS AND PERSPECTIVES

Tamar Dudauri - Innovation Process as One of the Key Factors in Anti-crisis Management doi.org/10.36962/104/6-9/2021697 -----	7
--	---

MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

Lela Tetradze - Employment and Unemployment Markers in the Current Situation doi.org/10.36962/104/6-9/20216919 -----	19
Madona Kantidze - Advantages of Green Innovations and Technologies doi.org/10.36962/104/6-9/20216933 -----	33
Badri Ramishvili - Economic Analysis of the Technological Megatrend and its Development Directions in the Post-pandemic World doi.org/10.36962/104/6-9/20216941 -----	41

FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS

Zaira Gudushauri, Irine Tsiklauri - Graduation From Higher And Vocational School Does Not Always End With Employment doi.org/10.36962/104/6-9/20216957 -----	57
--	----

SECTORAL ECONOMY

Paata Koguashvili, Leila Gegenava - Challenges and Prospects in the Agri-food Sector doi.org/10.36962/104/6-9/20216968 -----	68
R. Pirtskhalava - Rational Use of Land Resources – the Determining Factor of Country Food Security doi.org/10.36962/104/6-9/20216985 -----	85

Natia Gorgadze - The Role of Vocational Education in the Development of the Viticulture and Ecnology Sector of Georgia doi.org/10.36962/104/6-9/202169102	102
--	------------

BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING

Tamar Ghambashidze, Makvala Robakidze - Synergistic Effect Formation Mechanism doi.org/10.36962/104/6-9/202169116	116
Natalia Kandelaki - Technological Innovation in the Context of Transformation of Public Administration (Blockchain technology: implementation problems, advantages and disadvantages) doi.org/10.36962/104/6-9/202169124	124
Nikoloz Gogoladze - The Impact of Human Resource Management on the Modern Sports Industry doi.org/10.36962/104/6-9/202169137	137
Dali Bakashvili - Assesing The Internal Organizational Behaviour Of The Company Staff According To J. Newstrom’s And K.Davis’ Methodology doi.org/10.36962/104/6-9/202169145	145

REVIEW

Revaz Shengelia-Interesting Textbook	157
Publication Requirements	162



**ეკონომიკური რეფორმა:
ანალიზი, პრობლემები,
პერსპექტივები**



**ინოვაციური პროცესი, როგორც ანტიკრიზისული
მართვის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი**

doi.org/10.36962/104/6-9/2021697

თამარ დუდაური

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
tamrodudka@yahoo.com

რეზიუმე

კრიზისის პირობებში ბიზნესის გაძღოლის, კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების და კომპანიის განვითარებისათვის აქტუალური და მნიშვნელოვანია ისეთი საკითხის გადაჭრა, როგორიცაა ინოვაციური პროცესის როლი კომპანიის ანტიკრიზისულ მართვაში. არადა საერთაშორისო ბაზრების გლობალიზაციის პირობებში სისტემა, რომელიც ვერ აფასებს ინოვაციური პოტენციალის როლს, აწყდება ბაზარზე თავისი პოზიციების შესუსტების, მომხმარებელთა დაკარგვის და მოგების დონის შემცირების ტენდენციას. ყოველივე ეს ხელს უწყობს კრიზისული სიტუაციის წარმოშობას და საბოლოო ჯამში იწვევს მთელი სისტემის კრახს. ამრიგად, ინოვაციური მიმართულების განვითარება წარმოადგენს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას კომპანიის განვითარების ახალ დონეზე ასასვლელად.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციები, კრიზისი, ანტიკრიზისული მართვა, ინოვაციური სტრატეგია, ინოვაციური პოტენციალი.

შესავალი

ქართული ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე შეიმჩნევა ინოვაციური კრიზისი, რომელიც ვლინდება სიახ-

ლევების შექმნისა და დანერგვის პროცესის მართვის მკვეთრი შემცირების, ამ მიმართულებით დაფინანსების წყაროების სიმცირის და კვლევითი ინსტიტუტების გაუქმების ტენდენციაში. ამის გათვალისწინებით ინოვაციური პროცესების მართვაში არსებული პრობლემების შესაძლო გადაწყვეტილებების ძიება წარმოადგენს ანტიკრიზისული მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას. ამას გარდა აუცილებელი ხდება ანტიკრიზისული მართვის ისეთი ელემენტის გათვალისწინება, როგორცაა ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიერ შემუშავებული ინოვაციური მართვის მექანიზმების ეფექტიანი გამოყენების შეფასების შესაძლებლობა.

მაღალტექნოლოგიური გამოგონებების შემუშავება და დანერგვა შექმნილ რთულ, კრიზისულ პირობებში წარმოადგენს ერთადერთ სწორ მიმართულებას საქართველოში ბიზნესის ეფექტიანად განვითარებისათვის, ვინაიდან სწორედ ბიზნესი გვევლინება ინოვაციების შექმნის მნიშვნელოვან წყაროდ. ერთმნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ეკონომიკური პოტენციალი, რესურსები, პროდუქციის ექსკლუზიურობის ხარისხი გახდება კომპანიის პროგრესის მამოძრავებელი ძალა და მოგების გაზრდის საშუალება. ყოველივე ეს კი შესაძლებელია კომპანიის განვითარების ინოვაციური სტრატეგიის რეალიზაციით. ამრიგად, ნათლად შეგვიძლია დავინახოთ კომპანიის განვითარებაში მეცნიერებატევადი წარმოების პირველხარისხოვანი როლი და უნარი მოახდინოს მოგების გენერირება ახალი ტექნოლოგიების შემუშავებისა და დანერგვის ხარჯზე. ნათელია, რომ რაც უფრო მაღალია კომპანიის ინოვაციური პოტენციალი, მით უფრო წარმატებით შეძლებს იგი კრიზისული მოვლენების თავიდან აცილებას.

თანამედროვე ინოვაციების განვითარების ეტაპზე, მრავალი კომპანია ანტიკრიზისული მართვის ორგანიზაციას ახდენს რესტრუქტურისაციის საფუძველზე. ამ მიზნის რეალიზაციისათვის კომპანიები გამოყოფენ არაპროფილურ აქტივებს და ახდენენ კონცერნებში და ჰოლდინგებში გარდაქმნას, რომლებიც საშუალებას იძლევიან უფრო მოქნილად მოახდინონ რეაგირება და ადაპტირება ბაზრის ცვლილების დინამიკასთან და ინოვაციების რეალიზაცია.

ქირითადი ტექსტი

მსოფლიო ეკონომიკის არასტაბილური მდგომარეობა კომპანიებისაგან მოითხოვს წარმოების ეფექტიანობის, პროდუქციის და მომსახურების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების, საქმიანობის წარმართვის და წარმოების მართვის ეფექტიანი ფორმების დაწერგვის გზით. კომპანიის ტექნიკურ-ტექნოლოგიური დონის ამაღლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტი ინოვაციური საქმიანობა. ამასთან აქტუალური ხდება კითხვები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ინოვაციური საქმიანობის მართვის ხარისხის ამაღლებასთან და ინოვაციური გადაწყვეტილებების დაწერგვის პროცესის გამარტივებასთან.

კრიზისის მართვის პროცესში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმადგენს ინოვაციები - ცვლილებები კომპანიაში, რომელიც ხელს უწყობს ახალ, როგორც წესი, უფრო ეფექტიან ქმედებებს. ინოვაციები ჩვეულებრივ ატარებენ პრინციპულ სიახლეებს, ისინი გამოირჩევიან ცვლილებების ფართე სპექტრით.


თანამედროვე ეტაპზე ინოვაციები ანტიკრიზისულ მართვაში წარმოადგენენ მის ძირითად ელემენტს და კომპანიის საქმიანობაზე ზემოქმედების ხერხს. მათ შეიძლება ჰქონდეს აბსოლუტურად განსხვავებული მიმართულება, მაგრამ ძირითადი მიზანი იქნება ერთი - კომპანიის წარმატებული ფუნქციონირება. ინოვაციებმა ანტიკრიზისულ მართვაში შესაძლოა იმოქმედოს სანარმოს მართვაზე მთლიანობაში, წარმოებაზე, კონტრაგენტებთან მუშაობაზე და ა.შ. ინოვაციების საქმის ცოდნით გამოყენებამ შეუძლია კომპანიას აარიდოს კრიზისული სიტუაცია, ასევე გახდეს კომპანიის კრიზისიდან გამოყვანის სტრატეგიის განუყოფელი ნაწილი. [1]

ანტიკრიზისული მართვა გაგებული როგორც კონკურენტუნარიანი პროდუქციის შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესი შესაძლოა დახასიათდეს, როგორც საინვესტიციო (ინვესტიციებზე დაფუძნებული) ანტიკრიზისული მართვა, იმ პირობით, რომ ხელმისაწვდომი იქნება შესაბამისი ინვესტიციები თვითდაფინანსების, მოზიდული ან სასესხო კაპიტალის სახით.

ინვესტიციებზე დაფუძნებული ანტიკრიზისული მართვის ნაირსახეობას, მიმართულს პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გაზრდაზე, წარმოადგენს ანტიკრიზისული მართვა ინოვაციების საფუძველზე. საინვესტიციო პროექტების განხორციელებას, ინვესტირებას კომპანიისათვის ახალ ტექნოლოგიებში, ხშირად უწოდებენ ინოვაციურ პროექტებს.

ინოვაციური მენეჯმენტის ხერხებს გააჩნიათ მოქმედების მიმართულება ინოვაციების წარმოებისა და გაყიდვის სფეროში. ეს მიმართულებები განისაზღვრებიან ინოვაციური პროცესის სტრუქტურით.

თუ ვისაუბრებთ ინოვაციებზე ანტიკრიზისული მართვის განსახორციელებლად, ამ მიმართებით უნდა განვიხილოთ ანტიკრიზისული ინოვაციების კლასიფიკაცია (იხ. ნახ. 1).



ნახ. 1. ანტიკრიზისული ინოვაციების კლასიფიკაცია

პროდუქტიული ინოვაცია შეიცავს ახალი პროდუქტის მიღებას ბაზარზე განსაზღვრული მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, ხოლო პროცესული ინოვაციები ნიშნავს ახალ ელემენტებს სანარმოო, მართველობით, ორგანიზაციული, მარკეტინ-

გული და სხვა პროცესების წარმართვისათვის. პროდუქტიულ ინოვაციებს გააჩნიათ საბაზრო ორიენტაცია და განისაზღვრებიან ძირითადად მომხმარებელთა მოთხოვნილების შესაბამისად, მაშინ, როცა პროცესული ინოვაციები განისაზღვრებიან ძირითადად შიდა ფაქტორებით და მათი რეგულირება ხდება ეფექტიანობის თვალთახედვით.

სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ პროდუქტიული ინოვაციები მოითხოვს ორგანიზაციისაგან მომხმარებელთა მოთხოვნილებების მოდელის ასიმილირებას შესაბამის დიზაინში. ხოლო პროცესული ინოვაციები მოითხოვენ იმას, რომ ორგანიზაციამ წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქტის კომერციალიზაციისათვის გამოიყენოს ახალი ტექნოლოგიები. [15]

ანტიკრიზისულ მართვაში აქცენტის გაკეთება პროდუქტიულ და პროცესულ ინოვაციებზე შეესაბამება უფრო ზოგადად მიღებულ მენეჯმენტის თანამედროვე შეხედულებებს, მაგალითად, როგორცაა „ბრილიანტის კონცეპცია“. ეს არის აღდგენის კონცეფცია, რომელიც მხარს უჭერს კომპანიის კონკურენტუნარიანობის განვითარებას. აღნიშნული კონცეპციის თანახმად კომპანიის კონკურენტუნარიანობის მთავარ ფაქტორს, როგორც ხანგრძლივადიან, ისე მოკლევადიან პერიოდში წარმოადგენს კომპანიის ინოვაციურობა, ე.ი. მისი უნარი დანერგოს, როგორც რადიკალური ისე კერძო ინოვაციები.

ნებისმიერი სოციალურ-ეკონომიკური სისტემა აღწევს წარმატებას თავის საქმიანობაში, თუ იმყოფება თანმიმდევრული და განუწყვეტელი განვითარების მდგომარეობაში. როგორ წარმატებულადაც არ უნდა ფუნქციონირებდეს სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, თუ მისი ხელმძღვანელობა არ არის გამიზნული ახალი ტექნოლოგიების ათვისებაზე, რომელიც საშუალებას მისცემთ მათ აწარმოონ მაღალი ხარისხის ახალი სახეობების პროდუქცია და ამასთან მინიმუმამდე დაიყვანოს დანახარჯები, მაშინ იგი შესაძლოა მოკლე დროის პერიოდში გახდეს არაკონკურენტუნარიანი. ყოველივე ეს კი იწვევს კრიზისული სიტუაციის დადგომას და შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის გაკოტრება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს პრობლემა ქართული ეკონომიკისათვის, განსაკუთრებით საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში. თანამედროვე ეტაპზე ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური სიტუაცია ხასიათდება წარმოებისა და კონკურენტუნარიანობის შემცირების ტენდენციით, კომპანიათა უმრავლესობის დაუინტერესებლობით გაატარონ ინოვაციური ღონისძიებები, ასევე სახელმწიფო დონეზე მთლიანი ინოვაციური პოლიტიკის შექმნის სურვილის არ არსებობით.


საქართველოში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სახელმწიფოს მხრიდან ინოვაციების განვითარების ხელშეწყობას. ჯერ კიდევ 2014 წელს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბაზაზე შეიქმნა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, რომლის მიზანია შექმნას საქართველოში ისეთი სახის ეკოსისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს ქართულ ბიზნეს წარმატებით შეიმუშაოს და დანერგოს თანამედროვე ინოვაციები. ასევე მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის ინოვაციური განვითარებისათვის საკანონმდებლო ბაზის შექმნა. ამ მიმართებით 2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მთავრობის წარდგინებით განიხილა და მიიღო კანონი „ინოვაციების შესახებ“, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს ქვეყანაში შეიქმნას ეროვნული ეკოსისტემის განვითარებისათვის სათანადო პირობები, ასევე ხელი შეუწყოს სხვა ქვეყნებში შემუშავებული ახალი ტექნოლოგიებისა და სხვა სიახლეების ქართულ ბიზნესში დანერგვას, რითაც ხელი შეეწყობა ქართულ ექსპორტს და კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, რაც მნიშვნელოვანი სანინდარი გახდება ქართულ კომპანიებში ანტიკრიზისული მართვის სისტემის განვითარებისათვის.[3]

თანამედროვე პირობებში სააგენტომ შექმნა მნიშვნელოვანი სივრცე ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარებისათვის, სადაც ჩართული იყო უმაღლესი სასწავლებლები, რომლებსაც გაუწია ინფრასტრუქტურული და სხვა სახის დახმარება. სააგენტო ასევე ახდენს გრანტების გაცემას სტარტაპებსა და მცირე ბიზნესისათვის წარმომადგენლებისათვის. მარტო 2019

ეკონომიკური რაზორმა: ანალიზი, პრობლემები, პერსპექტივები

წელს გაიცა 15000000 ლარზე მეტი და დაფინანსდა ჯამში 97 ბენეფიციარი. ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო ახდენს რა მაღალტექნოლოგიური ინოვაციური იდეების დაფინანსებას, ამ მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მას გამოეყო 35 მილიონი ლარი.[4]


მსოფლიოს ქვეყნების ინოვაციური განვითარების განსაზღვრისათვის იყენებენ ინოვაციის გლობალურ ინდექსს. იგი შეიცავს 96 ინდიკატორს და მოიცავს 131 ქვეყანას. ამ რეიტინგის ტოპ-10 შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. დიაგრამა 1.) [5]



დიაგრამა 1. ინოვაციის გლობალური ინდექსის ტოპ-10 2020 წელს [5]

წყარო: დიაგრამა შედგენილია Global Innovation Index 2020-ის მონაცემებზე დაყრდნობით.

როგორც დიაგრამიდან ჩანს ამ რეიტინგში ლიდერობს შვეიცარია, მას მოყვებიან შვედეთი და აშშ. საქართველო 2020 წლის რეიტინგში იკავებს 63 ადგილს. თუ განვიხილავთ ამ რეიტინგში საქართველოს მონაცემებს წლების მიხედვით, დავინახავთ, რომ იგი საკმაოდ ცვალებადია (იხ. დიაგრამა 2.).



დიაგრამა 2. ინოვაციის გლობალურ რეიტინგში, საქართველოს რეიტინგი წლების მიხედვით [5]

წყარო: დიაგრამა შედგენილია Global Innovation Index - ის მონაცემებზე დაყრდნობით.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, საქართველოს აღნიშნულ რეიტინგში წლების განმავლობაში ჰქონდა დადებითი ტენდენცია, გამონაკლის წარმოადგენს 2020 წელი. ამ წელს საქართველომ რეიტინგში დაიკავა 63-ე ადგილი, მაშინ როდესაც 2019 წელს იგი 48-ე იყო. რაც გამონწვეული იყო ქვეყანაში COVID-19-ის პანდემიის წინააღმდეგ დაწესებული შეზღუდვებით და ფინანსების სოციალურ მოთხოვნილებებზე გადანაწილებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ საქართველოს მთავრობა ახდენს საერთაშორისო ინსტიტუტებიდან ინვესტიციების მოზიდვას ქვეყანაში ინოვაციური საქმიანობის განვითარებისა და დახვეწისათვის. ამის მაგალითს წარმოადგენს 2016 წელს განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკთან დადებულ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც სააგენტომ მნიშვნელოვანი თანხების ინვესტირება განახორციელა ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტში. ასევე სააგენტომ 2022 წლამ-

დე გაახანგრძლივა აღნიშნულ პროექტიში მონაწილეობა.

საქართველოში კომპანიების კონკურენტუნარიანობისა და ინოვაციური მენეჯმენტის განვითარების კუთხით მნიშვნელოვან სამუშაოს ასრულებს სააგენტო „ანარმოე საქართველოში“, რომელიც არის ის სახელმწიფო უწყება, რომლის მოვალეობაა სამენარმეო გარემოს გაუმჯობესება ქვეყანაში, ასევე კომპანიების დახმარება კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში და კრიზისული სიტუაციის მართვაში.

დასკვნა

ჩვენს ქვეყანაში ინოვაციური მენეჯმენტის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი ისეთი ძირითადი ნაბიჯების გადადგმა, როგორებიცაა: სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ინფრასტრუქტურის შექმნა; ინოვაციურ სანარმოებში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა; ამ მიმართებით საკანონმდებლო ბაზის დახვეწა; საგადასახადო შეღავათების სისტემის გაუმჯობესება; სიახლეების გავრცელებისა და დანერგვის მიზნით საპატენტო-სალიცენზიო რეგულაციების სრულყოფა; ქვეყანაში რისკების დაზღვევის სრულყოფილი სისტემის ჩამოყალიბება; ტექნოლოგიური და სხვა სახის ინოვაციების გავრცელების მექანიზმის შექმნა და ა.შ.

მნიშვნელოვანი როლი ანტიკრიზისულ მართვაში ეკუთვნის ინოვაციურ მენეჯმენტს. ანტიკრიზისული მართვის მექანიზმის შესწავლისას მივედით დასკვნამდე, რომ მის ძირითად საფუძველს წარმოადგენს ინოვაციური ფორმების, მეთოდების და ხერხების გამოყენება. უფრო მეტიც, განვითარების პროცესი არ მთავრდება უფრო დახვეწილი ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების მიღებით, არამედ ინოვაციურმა ტექნოლოგიამ აუცილებლად უნდა გაიაროს დახვეწის ყველა სტადია ინოვაციურ სტრუქტურებში. ყოველივე ეს გახდება კომპლექსური ანტიკრიზისული პოლიტიკის გატარების საფუძველი, რომელიც ხელს შეუწყობს თანამედროვე ბიზნეს-გარემოში კომპანიის ფუნქციონირებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Larsson L. Characteristics of Production Innovation. Printed by Luleå University of Technology, Graphic Production 2017. Pp.1-2 <https://www.diva-portal.org/smash/get/diva2:1088498/FULLTEXT01.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამონმებული 06.07.2021).

2. Meištè R., Jakštienè S. Crisis Diagnosis in Anti-Crisis Management Process in a Company. Institute of Economic Research Working Papers No. 9/2015. <https://www.econstor.eu/bitstream/10419/219625/1/ier-wp-2015-009.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამონმებული 10.07. 2021).

3. საქართველოს კანონი „ინოვაციების შესახებ“ თბ. 2016. 22 ივნისი. გვ. 1. <https://gita.gov.ge/res/docs/%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91.pdf> (უკანასკნელად იქნა გადამონმებული 10.05.2021).

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო. <http://fablab.gov.ge/geo/static/51/GITA> (უკანასკნელად იქნა გადამონმებული 10.05.2021).

5. WIPO. Global Innovation Index 2020. https://www.wipo.int/global_innovation_index/en/2020/ ((უკანასკნელად იქნა გადამონმებული 10.05.2021).

REFERENCES:

1. Larsson L. Characteristics of Production Innovation. Printed by Luleå University of Technology, Graphic Production 2017. Pp.1-2 <https://www.diva-portal.org/smash/get/diva2:1088498/FULLTEXT01.pdf>

2. Meištè R., Jakštienè S. Crisis Diagnosis in Anti-Crisis Management Process in a Company. Institute of Economic Research Working Papers No. 9/2015. <https://www.econstor.eu/bitstream/10419/219625/1/ier-wp-2015-009.pdf>

3. Law of Georgia „On Innovations“. Tb. 2016. 22 June. P. 1.

<https://gita.gov.ge/res/docs/%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91.pdf>
(In Georgian Language).

4. End Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. Innovation and Technology Agency. <http://fablab.gov.ge/geo/static/51/GITA> (In Georgian Language).

5. WIPO. Global Innovation Index 2020. https://www.wipo.int/global_innovation_index/en/2020/

INNOVATION PROCESS AS ONE OF THE KEY FACTORS IN ANTI-CRISIS MANAGEMENT

Tamar Dudauri

Academic Doctor of Economics,
Associate Professor of
Caucasus International University
tamrodudka@yahoo.com

RESUME

The issues such as the role of the innovation process in the company's anti-crisis management are relevant and important for running a business, maintaining competitiveness and developing a company in times of crisis. Whereas in the context of the globalization of international markets, the system that fails to appreciate the role of innovation potentially faces a tendency to weaken its market position, to lose customers and to reduce its profitability. All this contribute to the emergence of a crisis situation and eventually leads to the collapse of the entire system. Thus, the development of innovative direction is one of the priority directions to reach a new level of development of the company.

Moreover, for the development of innovative management in

our country, it is important to take the following key steps, such as: creating the infrastructure for scientific research institutions; Promoting investment in innovative enterprises; Improving the legal framework in this regard; Improving the system of tax benefits; Facilitating patent-licensing regulations to disseminate and implement innovations; Establishing a comprehensive risk insurance system in the country; Creating a mechanism for disseminating technological and other type of innovations, etc.

Innovative management plays a crucial role in anti-crisis management. During studying the anti-crisis management mechanism, we came to the conclusion that its main basis is the use of innovative forms, methods and techniques. Moreover, the development process does not end with more sophisticated technological decisions, but rather the innovative technology must necessarily go through all the stages of improvement in innovative structures. All these will become the basis for a complex anti-crisis policy that will facilitate the operation of the company in a modern business environment.

Keywords: Innovations, Crisis, Anti-crisis Management, Innovative Strategy, Innovative Potential.

**დასაქმების და უმუშევრობის მარვენებლები
თანამედროვე პირობებში**

doi.org/10.36962/104/6-9/20216919

ლელა თეთრაძე
ემდ
Lela_tetradze@yahoo.com

რეზიუმე

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ქვეყნის წინაშე მდგომი ამოცანებიდან მნიშვნელოვანია მოსახლეობის დასაქმების დონის ამაღლების მიღწევა და უმუშევრობის დონის შემცირება. აღნიშნული პრობლემის კვლევა მუდამ აქტუალური იყო, არის და იქნება მომავალშიც.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის პრიორიტეტია როგორც უმუშევრობის დონის შემცირების, ისე დასაქმების მაღალი დონის მიღწევისათვის შესაბამისი პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა. ამ მიმართულებით ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის განსახორციელებლად მნიშვნელოვანია ჩატარდეს შრომის ბაზრის საფუძვლიანი ანალიზი და ამის გათვალისწინებით მნიშვნელოვანი სვლები უკეთესი შედეგის მისაღებად. წინამდებარე სტატიაში, ძირითადად, განხილულია დასაქმებისა და უმუშევრობის არსებული მდგომარეობის ანალიზი და მოცემულია შესაბამისი რეკომენდაციები.

ყურადღება გამახვილებულია უმუშევრობაზე მოქმედ ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორზე, როგორცაა მიგრაციული პროცესები. ქვეყანაში არსებულ უმუშევრობის დონეზე მნიშ-

ვნელოვან გავლენას ახდენს როგორც გარე, ისე შიდა მიგრაცია. შიდა მიგრაციას შეიძლება ახლდეს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგები. დადებით შედეგად ითვლება, როდესაც ადგილი აქვს მოსახლეობის მიგრაციას ქარბი სამუშაო ძალის მქონე რეგიონებიდან სამუშაო ძალის დეფიციტის მქონე რეგიონებში, რაც ცხადია განაპირობებს ქვეყანაში არსებული უმუშევრობის დონის შემცირებას; ხოლო უარყოფითი შედეგია მოსახლეობის ზედმეტად გასვლა ზოგიერთი რეგიონიდან, რაც შეუძლებელს გახდის მოცემული რეგიონის უკეთ განვითარებას და ასევე, დიდ ქალაქებში დიდი რაოდენობით მოსახლეობის თავმოყრას. ყოველივე ეს გაართულებს მოცემულ ქალაქებში საყოფაცხოვრებო, კომუნალურ და სხვა სახის მომსახურებას. ყურადღება გამახვილებულია ასევე, გარე მიგრაციულ პროცესებზე: ემიგრაციასა და იმიგრაციაზე, როგორც უმუშევრობაზე მოქმედ მნიშვნელოვან ფაქტორზე. ემიგრაციის შემთხვევაში დადებით მხარედ შეიძლება ჩავთვალოთ ის, რომ ქარბი სამუშაო ძალა გადის ქვეყნიდან, რაც ამცირებს უმუშევრობის დონეს, ხოლო უარყოფითად ჩაითვლება ის, რომ ქვეყნიდან გადის სამუშაო ასაკის სამუშაო ძალა, ძირითადად ახალგაზრდობა. ეს საკითხი გარკვეულწილად პრობლემას ქმნის ქვეყანაში, რომლის შობადობის დონე დაბალია და საფრთხის წინაშე დგება მოსახლეობის მარტივი კვლავწარმოებაც კი. ცნობილია, რომ მოსახლეობის მიგრაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის დემოგრაფიულ სტრუქტურაზე. ამისი თქმის საფუძველს გვაძლევს ის, რომ მიგრაციის პროცესში ძირითადად ჩართულია შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა, ძირითადად ახალგაზრდობა, მოსახლეობის რაოდენობა იზრდება მიგრანტების მიმღებ რეგიონებში და აქ ყალიბდება ასაკობრივი სტრუქტურა, რომელიც წარმოდგენილია ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფების მაღალი მაჩვენებლით. იმ რეგიონებში კი, საიდანაც მოსახლეობის გადინება ხდება, მცირდება მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობა და მის სტრუქტურაში იზრდება უფროსი ასაკობრივი ჯგუფების წილი.

განხილული ასევე, COVID-19-ის შედეგად გამოწვეული უარყოფითი ზეგავლენა სოციალურ თუ ეკონომიკის ყველა სფეროზე; დღევანდელ პირობებში, საქართველოში შრომის ბაზრის წინაშე არსებული მთავარი გამოწვევის - უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლის, დასაქმების სტრუქტურისა და თვითდასაქმებულების დაბალი პროდუქტიულობის საკითხები, შრომითი რესურსების მიწოდების მიმართულებით ბოლო წლების განმავლობაში მკვეთრი დემოგრაფიული ცვლილებები, რაც განპირობებულია ქვეყნიდან ადამიანების გადინებითა და შობადობის არასტაბილური ცვლილებით. ასევე, ქვეყნიდან „ტვინების გადინება“ მოკლევადიან პერიოდში აკარგვინებს ქვეყანას ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, თუმცა მათი ქვეყანაში დაბრუნება მნიშვნელოვან როლს ასრულებს შრომის ბაზარზე, რადგან კვალიფიციურ ადამიანთა რიცხოვნობის ზრდა დადებითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე და მის ზრდაზე.

საკვანძო სიტყვები: შრომის ბაზარი; დასაქმება; უმუშევრობა; ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა; სამუშაო ძალა; დასაქმებულები; თვითდასაქმებულები; თანამედროვე გამოწვევები; პანდემიის გავლენა.

ძირითადი ტექსტი

უმუშევრობა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მაკროეკონომიკურ მაჩვენებელს. ეს არის მოვლენა, როდესაც სამუშაო ძალის მიწოდება აღემატება მასზე მოთხოვნას. უმუშევრობის სტატისტიკა შეისწავლის უმუშევართა რიცხვს, უმუშევრობის დონეს სქესის, ასაკის, ქალაქის, სოფლის, რეგიონების მიხედვით.

მოსახლეობის უმუშევრობის დონე, მრავალ ფაქტორთან ერთად, განპირობებულია ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორებითაც, როგორცაა დამატებითი პროდუქციის (მომსახურების) ერთეულზე შრომისა და კაპიტალის მატეების ტემპებს შორის თანაფარდობა, სამუშაო დროის დადგენილი ხანგრძლივობა, ზეგანაკვეთური და მოქნილი სამუშაო რეჟიმებით მუშაობის

არსებული პრაქტიკა, საგადასახადო განაკვეთების შემცირება, ქვეყანაში ემიგრანტების შემოსვლისა და მიგრანტების გასვლის ინტენსივობა და სხვა.

ზემოთ ჩამოთვლილთაგან ყურადღებას გავამახვილებთ უმუშევრობაზე მოქმედ ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორცაა მიგრაციული პროცესები. ქვეყანაში არსებულ უმუშევრობის დონეზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც გარე, ისე შიდა მიგრაცია. შიდა მიგრაციას შეიძლება ახლდეს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები. დადებითი როდესაც ადგილი აქვს მოსახლეობის მიგრაციას ქარბი სამუშაო ძალის მქონე რეგიონებიდან სამუშაო ძალის დეფიციტის მქონე რეგიონებში, ეს კი ცხადია განაპირობებს ქვეყანაში არსებული უმუშევრობის დონის შემცირებას. ამასთანავე, შეიძლება ზემოაღნიშნულ მოვლენას გააჩნდეს უარყოფითი შედეგი, როგორცაა მოსახლეობის ზედმეტად გასვლა ზოგიერთი რეგიონიდან, რაც შეუძლებელს გახდის მოცემული რეგიონის უკეთ განვითარებას და ასევე, დიდ ქალაქებში დიდი რაოდენობით მოსახლეობის თავმოყრას, რაც გაართულებს მოცემულ ქალაქებში საყოფაცხოვრებო, კომუნალურ და სხვა სახის მომსახურებას. რაც შეეხება გარე მიგრაციას, არსებობს მისი ორი სახე: ემიგრაცია - როდესაც ხდება მოსახლეობის გადინება მოცემული სახელმწიფოდან და იმიგრაცია - როცა მოსახლეობა შემოდის მოცემულ სახელმწიფოში. ბუნებრივია, ამ ორივე სახეს ახლავს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები. ემიგრაციის შემთხვევაში დადებით მხარედ შეიძლება ჩავთვალოთ ის, რომ ქარბი სამუშაო ძალა გადის ქვეყნიდან, რაც ამცირებს უმუშევრობის დონეს, ხოლო უარყოფითად ჩაითვლება ის, რომ ქვეყნიდან გადის სამუშაო ასაკის სამუშაო ძალა, ძირითადად ახალგაზრდობა. ეს საკითხი გარკვეულწილად პრობლემას ქმნის ქვეყანაში, რომლის შობადობის დონე დაბალია და საფრთხის წინაშე დგება მოსახლეობის მარტივი კვლავნარმოებაც კი. ცნობილია, რომ მოსახლეობის მიგრაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის დემოგრაფიულ სტრუქტურაზე. ამისი თქმის საფუძველს გვაძლევს ის,

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

რომ მიგრაციის პროცესში ძირითადად ჩართულია შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა, ძირითადად ახალგაზრდობა, მოსახლეობის რაოდენობა იზრდება მიგრანტების მიმღებ რეგიონებში და აქ ყალიბდება ასაკობრივი სტრუქტურა, რომელიც წარმოდგენილია ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფების მაღალი მაჩვენებლით. იმ რეგიონებში კი, საიდანაც მოსახლეობის გადინება ხდება, მცირდება მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობა და მის სტრუქტურაში იზრდება უფროსი ასაკობრივი ჯგუფების წილი.

ბოლო წლების მონაცემები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ინფორმაციით, ქვეყნიდან გასულთა და ქვეყანაში შემოსულთა მაჩვენებლები, შემდგენარად გამოიყურება:

	2015	2016	2017	2018	2019	2020
ემიგრანტთა რიცხოვნობა, ათასი კაცი	92557	90228	83239	88152	96864	89996
ემიგრანტთა რიცხოვნობა, ათასი კაცი	95965	98288	85451	98935	105107	74264
მიგრაციული სალდო, ათასი კაცი	-3408	-8060	-2212	-10783	-8243	15732
მიგრაციული სალდო, 1 000 კაცზე	-0.9	-2.2	-0.6	-2.9	-2.2	4.2

ბოლო წლების მონაცემებით, ქვეყანაში შემოსულთა ყველაზე დიდი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2019 წელს, როდესაც შემოსულთა რიცხვმა შეადგინა 89,996 (ათასი კაცი), ხოლო ემიგრანტების ციფრმა – 74,264 (ათასი კაცი). რაც შეეხება მიგრაციულ სალდოს, ბოლო წლების მონაცემების მიხედვით, მხოლოდ 2020 წელს შეადგინა დადებითი მაჩვენებელი – 15,732 (ათასი კაცი); ცხადია, მოცემული მაჩვენებლები პირდაპირპროპორციულია

უმუშევრობისა და დასაქმების მაჩვენებლებისა, თუმცა აღსანიშნავია ბოლო პერიოდში არსებული პანდემიური სიტუაციის ფონზე, ქვეყანაში დაბრუნებული მოქალაქეებისთვის რამდენად არის სამუშაო ადგილები და რამდენად მოახდენენ საკუთარი პოტენციალის რეალიზებას საკუთარ ქვეყანაში.

მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური სტატუსის მიხედვით წარმოადგენს კლასიფიკაციას სტატუსის მიხედვით განეულ საქმიანობაში. სტატუსი აღნიშნავს ადამიანის როლსა და ფუნქციას შესრულებული საქმიანობის პროცესში. საქართველოს სტატისტიკაში ეკონომიკური სტატუსის განსაზღვრა ხდება საერთაშორისო სტანდარტებთან მისადაგებით - შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) კრიტერიუმების გათვალისწინებით.

ეკონომიკურად აქტიური არის პირი, რომელიც მუშაობს ან სთავაზობს თავის შრომას საქონლის, ან მომსახურების სანარმოებლად. ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას მიეკუთვნება 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის აღნიშნული ნაწილი. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ყველაზე ხშირად გამოყენებული სახელწოდებაა სამუშაო ძალა. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა მოიცავს ორ კატეგორიას: დასაქმებულებს და უმუშევრებს.

დასაქმებული არის პირი, რომელიც გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში მუშაობდა (სულ მცირე ერთი საათით მაინც) შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შემოსავლის, მოგების და სხვა) მიღების მიზნით, ეხმარებოდა უსასყიდლოდ სხვა შინამეურნეობის წევრებს, ან რაიმე მიზეზით არ იმყოფებოდა სამუშაოზე, თუმცა ფორმალურად ირიცხებოდა მომუშავედ.

დასაქმების ცნება უშუალო კავშირშია წარმოების საზღვრებთან, რომელიც განმარტებულია ეროვნულ ანგარიშთა სისტემით. აღნიშნული მიდგომით, დასაქმებულებს მიეკუთვნებიან პირები, რომელნიც ქმნიან პროდუქციას (საქონელს, მომსახურებას) წარმოების საზღვრებში. აღნიშნულიდან გამომდინარე,

დასაქმების და წარმოების მაჩვენებლები ურთიერთშესადარი სიდიდეებია, რაც მათი ერთობლივი ანალიზის საშუალებას იძლევა. რაც შეეხება დასაქმების კრიტერიუმად კვირაში სულ ცოტა ერთი საათის მუშაობას, გამოწვეულია იმით, რომ ქვეყანაში არსებობს დასაქმების მრავალი მოკლევადიანი, შემთხვევითი და სხვა არარეგულარული სახეობები, რომელთა აღრიცხვა აუცილებელია ეკონომიკაში მათი წვლილის დასადგენად, რაც ობიექტურად თხოულობს აღნიშნული კრიტერიუმის გამოყენებას.

დასაქმებული მოსახლეობა თავის მხრივ იყოფა დაქირავებულ, თვითდასაქმებულ, დამხმარე და გაურკვეველი საქმიანობის მოსახლეობად.

დაქირავებული არის პირი, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ასრულებდა განსაზღვრულ სამუშაოს ხელფასის ან სხვა სახის ანაზღაურების მიღების მიზნით.

თვითდასაქმებული - მესაკუთრის საქმიანობა საანგარიშო პერიოდში მოგების ან ოჯახური შემოსავლის (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით.

დამხმარე - სხვა შინამეურნეობის წევრებისთვის უსასყიდლოდ მომუშავე პირი.

გაურკვეველი - შრომის ბაზრის სტატისტიკაში სტატუსით გაურკვეველი - აღრიცხებიან პირები რომელთა სამუშაოს სახე დაუზუსტებელია, მათ შესახებ არსებული ინფორმაცია არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ისინი მივაკუთვნოთ ჩამოთვლილი სტატუსის რომელიმე კატეგორიას.

უმუშევარი - 15 და მეტი წლის პირი, რომელსაც გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში არ უმუშავია ერთი საათიც კი, ეძებდა სამუშაოს გამოკითხვამდე 4 კვირის განმავლობაში.

სამუშაო ძალის შესახებ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს ოფიციალური მონაცემებით, ბოლო წლების მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურება:

	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
სამუშაო ძალა (აქტიური მოსახლეობა), ათასი კაცი	1629	1675.6	1653.8	1641.4	1605.2	1572.8	1523.7
დასაქმებული, ათასი კაცი	1255	1308.5	1294.5	1286.9	1296.2	1295.9	1241.8
უმუშევარი, ათასი კაცი	374	367.2	359.2	354.5	309	276.9	281.9
უმუშევრობის დონე, პროცენტი	23	21.9	21.7	21.6	19.2	17.6	18.5

2020 წლის მონაცემებით საქართველოში 3,716.90 ათასი ადამიანი ფიქსირდებოდა, საიდანაც 15 წლის და მეტი ასაკის იყო 3,018.50 ათასი კაცი; აქედან სამუშაო ძალა, აქტიური მოსახლეობა შეადგენდა 1,523.70 ათას ადამიანს, საიდანაც დასაქმებული იყო 1,241.80 ათასი კაცი, ხოლო უმუშევარი - 281.90 ათასი კაცი. რაც შეეხება დასაქმებულ კატეგორიას, იყოფა დაქირავებულებად - 845.30 ათასი კაცი; თვითდასაქმებულებად - 395.90 ათასი კაცი. თვითდასაქმებულთა შორის არის კატეგორია, რომელიც თავს უმუშევრად მიიჩნევენ.

სამუშაო ძალის მაჩვენებლები (ათასი კაცი)

	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
სულ 15+ მოსახლეობა	3031.6	3019.1	3009.4	3012.3	3034.3	3037.1	3018.5
სამუშაო ძალა (აქტიური მოსახლეობა)	1629.0	1675.6	1653.8	1641.4	1605.2	1572.8	1523.7
დასაქმებული	1255.0	1308.5	1294.5	1286.9	1296.2	1295.9	1241.8

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

დაქირავებული	795.5	855.3	853.9	869.3	903.5	897.5	845.3
თვითდასაქმებული	453.0	445.6	434.4	416.8	392.2	397.9	395.9
გაურკვეველი	6.5	7.5	6.3	0.8	0.6	0.5	0.7
უმუშევარი	374.0	367.2	359.2	354.5	309.0	276.9	281.9
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ	1402.6	1343.5	1355.7	1370.9	1429.0	1464.3	1494.8
უმუშევრობის დონე, პროცენტი	23.0	21.9	21.7	21.6	19.2	17.6	18.5
სამუშაო ძალის მონაწილეობის (აქტიურობის) დონე, პროცენტი	53.7	55.5	55.0	54.5	52.9	51.8	50.5
დასაქმების დონე, პროცენტი	41.4	43.3	43.0	42.7	42.7	42.7	41.1

საქართველოში დასაქმების ზრდის მნიშვნელოვან წყაროს კერძო სექტორი წარმოადგენს. შესაბამისად, დასაქმების შემდგომი ზრდისთვის მნიშვნელოვანია, რომ გაიზარდოს კერძო სექტორის აქტივობა, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი სახელმწიფომ კერძო სექტორის განვითარებას.

საქართველოში უმუშევრობას ორი მნიშვნელოვანი მიზეზი აქვს: მცირე ეკონომიკა და სამუშაო ძალის არასასურველი კვალიფიკაცია. დღეისათვის ფიზიკურად არ არსებობს საქართველოში იმდენი სამუშაო ადგილი, რამდენი სამუშაოს მსურველიც არის გარკვეული ხელფასის სანაცვლოდ. შესაბამისად, მოკლევადიან თუ გრძელვადიან პერიოდში, უმუშევრობის შემცირების ერთადერთი გზა საქართველოს ეკონომიკის ზრდა და,

აქედან გამომდინარე, სამუშაო ადგილების მატებაა. საქართველოში საშუალო და უმაღლესი განათლების არასასურველი ხარისხის გამო პრობლემაა საშუალო და მაღალკვალიფიციური კადრების მოძიება. ასიათასობით უმუშევარს არა აქვს ის კვალიფიკაცია და ცოდნა, რაც ხშირად ამა თუ იმ ვაკანსიის დასაკავებლად საჭირო.

უმუშევრობის შემცირებას გარკვეულწილად ტექნოლოგიური პროგრესიც ანელებს. ხელით შრომა სულ უფრო ნაცვლდება ტექნიკით, კომპიუტერებით. მაგალითად, ფულის ჩასარიცხმა აპარატებმა გააქრო ათასობით მოლარისა და ოპერატორის სამუშაო ადგილი. თავის მხრივ, ახალი ტექნოლოგიების შექმნა აჩენს ახალ სამუშაო ადგილებს, მაგრამ ეს ხდება თანამედროვე ტექნიკა-ტექნოლოგიების მწარმოებელ და არა მომხმარებელ ქვეყნებში.

დასკვნა

COVID-19 2020 წლის ყველაზე დიდი გლობალური გამონვევაა, რომელმაც სოციალურ თუ ეკონომიკის ყველა სფეროზე იქონია თავისი უარყოფითი ზეგავლენა. ვირუსის გავრცელების პრევენციისთვის შემუშავებულმა რიგმა შეზღუდვებმა გამოიწვია ეკონომიკის სექტორში მთელი რიგი უარყოფითი შედეგები. პრობლემის წინაშე დადგნენ როგორც დამსაქმებლები, ისე დასაქმებულები და თვითდასაქმებულები. აქვე აღსანიშნავია, რომ ქვეყნებს შორის შეზღუდულმა და უმეტესად შეჩერებულმა მიმოსვლამ, დაწესებულმა რეგულაციებმა, რომლის დაცვაც უდაოდ საჭიროა, ეკონომიკური საქმიანობის ნაწილის შეჩერებამ, დააზარალა დამსაქმებელთა მდგომარეობაც და ადექვატურად ასახვა ჰპოვა დასაქმებულთა მდგომარეობაზე.

დღევანდელ პირობებში, საქართველოში შრომის ბაზრის წინაშე არსებულ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი, დასაქმების სტრუქტურა და თვითდასაქმებულების დაბალი პროდუქტიულობა. შრომითი რესურსების მიწოდების მიმართულებით საგულისხმოა, რომ ბოლო წლების განმავლობაში ადგილი აქვს მკვეთრ დემოგრაფიულ ცვლილებ-

ბებს, რაც აისახება სამუშაო ძალის შემცირებაში. ყოველივე განპირობებულია ქვეყნიდან ადამიანების გადინებითა და შობადობის არასტაბილური ცვლილებით. ასევე, ქვეყნიდან „ტვინების გადინება“ მოკლევადიან პერიოდში აკარგვინებს ქვეყანას ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, თუმცა მათი ქვეყანაში დაბრუნება მნიშვნელოვან როლს ასრულებს შრომის ბაზარზე, რადგან კვალიფიციურ ადამიანთა რიცხოვნობის ზრდა დადებითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე და მის ზრდაზე. საჭიროა, რომ საქართველოში დაინერგოს სამუშაო ძალის სტრუქტურის თვისობრივად განსხვავებული კვლევა. გარდა ამისა, ვთვლით, უფრო ხშირად უნდა იქნას ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევა, რათა სრული და რეალური წარმოდგენა შეიქმნას ამ სფეროში შექმნილ ვითარებაზე. მნიშვნელოვანია, რომ გაფართოვდეს წარმოების ბაზა, შეიქმნას მეტი სამუშაო ადგილები.

ლიტერატურა:

1. გელაშვილი ს., მუჩიაშვილი მ., მაისურაძე ი., „მაკროეკონომიკური სტატისტიკა“, (სახელმძღვანელო), თბილისი, 2018;
2. გელაშვილი ს. „სტატისტიკა ეკონომიკსა და ბიზნესში“, თბილისი 2009;
3. შენგელია თ. (2010), რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია და უცხოური ინვესტიციების როლი საქართველოში, შრომების კრებული: რეგიონალიზაცია, თანამედროვე რეგიონული ეკონომიკური და სოციალური პროცესები;
4. ნულაძე გ., მაღლაფერიძე ნ., სულაბერიძე ა. „დემოგრაფია“, თბილისი 2009
5. ფრანკფორტ ნაჩმიასი ჩავა, ლეონ-გერერო ანა „სოციალური სტატისტიკა მრავალფეროვანი საზოგადოებისათვის“ (მეექვსე გამოცემა), თბილისი 2012
6. www.geostat.ge – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები

REFERENCES:

- 1.S. Gelashvili, M. Muchiashvili, I. Maisuradze. „Macroeconomic Statistics” (Textbook), Tbilisi, 2018;
- 2.S. Gelashvili. “Statistics in Economics and Business”, Tbilisi, 2009;
- 3.T. Shengelia (2010), Regional Economic Integration and the Role of Foreign Investments in Georgia. Collection of works: regionalization, modern regional, economic and social processes.
- 4.G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Sulaberidze. Demographics, Tbilisi 2009;
- 5.Chava Frankfort-Nachmias, Anna Leon-Guerrero “Social Statistics for a Diverse Society” (Sixth Edition), Tbilisi 2012;
6. www.geostat.ge – Data of the Georgian National Statistics Service.

**EMPLOYMENT AND UNEMPLOYMENT
MARKERS IN THE CURRENT SITUATION**

Lela Tetradze

Doctor of Economic Sciences
Lela_tetradze@yahoo.com

RESUME

One of the major challenges for the economic development of Georgia is how to increase the rate of employment and decrease the rate of unemployment. At the current stage of economic and social development of Georgia, it is very important to raise an employment rate and to decrease an unemployment rate. This complex problem is subject to constant changes over time. Therefore, the continuous research in this field is and will stay very important.

It is a priority for the economic development of the country to make relevant political steps to decrease unemployment and in-

crease employment. In order to develop efficient economic policy to decrease unemployment and increase employment, it is important to conduct a thorough market analysis and implement necessary steps to get better results. This article analyzes the current situation in terms of employment and unemployment, provides relevant latest data and describes the existing circumstances based on the analysis of these data.

In this article, the focus is made on an important issue affecting unemployment, such as migration processes. Both external and internal migration makes an important impact on the current unemployment rate in the country. Internal migration may lead to positive as well as negative consequences. The article indicates that the consequences are considered to be positive, if the population migration is directed from the regions with the surplus of workforce to the regions with the shortage of workforce, which certainly leads to the lower unemployment rate in the country; on the other hand, the consequences are negative when an excessive number of people are migrating from certain regions, making it impossible to develop these regions in the future; also such migration increases the population in the big cities, which leads to worsened living conditions and poor municipal services in these cities. Besides, the article focuses on external migration processes: emigration and immigration as important aspects affecting the unemployment. Both of them have positive and negative consequences. In case of emigration, a positive consequence can be if the surplus of the workforce is leaving the country. This decreases the rate of unemployment; while the negative consequences will entail, if the workforce of employment age, mainly young people, are leaving the country. This creates a problem in the country with a low birth rate and puts even the population replacement under danger. It is well known that migration of the population influences the demographic structure of the population. The migration mostly involves the population of working age, mainly young people. The population increases in regions which are receiving migrants. Namely, the ratio of young population is increas-

ing. In the regions from which people are emigrating, the absolute number of population is decreasing and withing the age structure, the ratio of elderly population is increasing.

Besides, the article reviews a negative impact inflicted by COVID-19, declared as the world pandemic by the World Health Organization, on different social and economic aspects of the country. The article also discusses the main challenges of the labor market – the high rate of unemployment, the employment structure and a low productivity of self-employed. For the past few years, there have been drastic demographic changes, which results in a decreased workforce. These demographic changes are caused by people leaving the country as well as by the unstable birth rates. Besides, “brain drain” during the short period of time leads to the loss of intellectual asset of the country. However, if these people come back, it may have a very positive impact on the labor market: it will increase the number of qualified people in the country and it will have a positive influence on the economy of the country and its growth.

Keywords: labor market; employment; unemployment; economically active population; workforce; employed; self-employed; modern challenges; impact of the pandemic.

მწვანე ინოვაციებისა და ტექნოლოგიების უპირატესობანი

doi.org/10.36962/104/6-9/20216933

მადონა კანტიძე,
სტუ დოქტორანტი
madona.kantidze@gmail.com

რეზიუმე

კვლევის მიზანია - გამოვიკვლიოთ ის უპირატესობები, რომელიც გააჩნია მწვანე ინოვაციებსა და ტექნოლოგიებს ბუნებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარემოში. სტატიაში წარმოდგენილია ემპირიული კვლევა. განხილულია ევროკავშირის, მსოფლიო ბანკის მოხსენებები, აგრეთვე ჩინეთში ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, მაღალიზიაში მიღებული რეფორმების ანალიზით და საქართველოს გამოცდილებაზე დაყრდნობით, გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

მიმოხილული ლიტერატურის, მოხსენებების, აგრეთვე კვლევისა და ქვეყნების გამოცდილების გაანალიზების შედეგად დადგინდა, რომ მწვანე ინოვაციებსა და ტექნოლოგიებს გააჩნია რიგი უპირატესობანი, რომელიც მნიშვნელოვან დადებით ეფექტს ახდენს როგორც ბუნებრივ გარემოზე და ეკონომიკურ სფეროზე, ასევე ადამიანთა საერთო კეთილდღეობაზე.

საკვანძო სიტყვები: მწვანე, ინოვაციები, ტექნოლოგიები, გარემო, დაცვა.

შესავალი

დღესდღეობით, გლობალიზაციის ეპოქაში აქტიურად ხდება გარემო რესურსების ათვისება, რაც, თავისხმრივ ბუნებრივი რესურსების მკვეთრად შემცირების საფრთხეს ქმნის. ამიტომ, მეტად აქტუალურია ისეთი ინოვაციების ძიება, რომელიც ხელს შეუწყობს გარემოს დაცვას და ამავდროულად დაზოგავს ბუნებრივ რესურსებს. მწვანე ინოვაციები და ტექნოლოგიები

ეკონომიკაში მოიაზრება, როგორც მისი ზრდისა და განვითარების ხელშემწყობი, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსების და გარემოსდაცვით საქმიანობას, რომელსაც თავისმხრივ ადამიანთა კეთილდღეობა ეყრდნობა.

თუ ქვეყანას სურს, ეკოლოგიურად მეტად სუფთა და აყვავებული საზოგადოების ფორმირებისაკენ სწრაფვა, მნიშვნელოვანია ინოვაციების კონკრეტული სფეროების პოპულარიზაცია და ეროვნული სტრატეგიის მონინავე საფეხურებზე წამოწევა. მწვანე ინოვაცია განიხილება, როგორც ეკონომიკური და გარემოსდაცვითი პრიორიტეტების შეჯერება და ახალი გზების გახსნა მდგრადი ინდუსტრიისათვის. ევროკავშირში, მწვანე ინოვაცია მოიაზრება, როგორც კონკურენტუნარიანობისა და „ეკონომიკის ლისაბონის სტრატეგიის“ მიზნების მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი.¹ (Eco-innovation, 2013)

მწვანე ინოვაციების მნიშვნელობა ეკოლოგიურ გარემოში. მრავალგზის კვლევებითა და დაკვირვებით, ადამიანთა საქმიანობა სერიოზულ ზიანს აყენებს გარემოს. განსაკუთრებით სერიოზული ზიანი მოაქვს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, ასევე სატრანსპორტო საშუალების ფუნქციონირებას. ჰაერის დაბინძურება ძირითადად ხდება ფაბრიკა-ქარხნებისგან, ელექტოსადგურებისგან და ავტომანქანებისგან, რომლებიც წარჩენ აირს, ჭვარტლს და მტვერს გამოყოფენ ჰაერში.

ჰაერის დაბინძურების პრობლემაზე ზრუნვა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, სხვადასხვა ღონისძიებების გატარებით მიმდინარეობს. მათგან აღსანიშნავია: ენერჯის წარმოების ალტერნატიული და განახლებადი წყაროების გამოყენება/განვითარება (მზისა და ქარის ენერჯია, ბიოგაზი და ა.შ.), სუფთა ტექნოლოგიების დანერგვა, ელექტრო ავტომობილების და ეკოლოგიური ტრანსპორტის შექმნა. გარდა ამისა, დიდი ყურადღება ექცევა მწვანე საფარის მოვლასა და გაფრთხილებას, მისი დაცვისთვის მკაცრი საკანონმდებლო ბაზაა შექმნილი.

ჩინეთის მწვანე ტექნოლოგიის ეფექტურობის ანალიზი- საწარმოო მრეწველობის შედეგების საფუძველზე. სათბურის

1 (Eco-innovation, 2013)

გაზების ემისიის შემცირებისა და განახლებადი ენერჯისაკენ სწრაფვის თვალსაზრისით, ჩინეთში 2005 წლიდან დაიწყო განახლებადი ენერჯის სექტორის მეტად აქტიური განვითარება.

კვლევა, სახელწოდებით „რეგიონული ინოვაციური შესაძლებლობების შედეგები, ჩინეთის საწარმოო მრეწველობის მწვანე ტექნოლოგიაზე დაყრდნობით“,¹ (Yu Fu., 2020) ჩატარდა ჩინეთში 2020 წელს და სხვადასხვა რეგიონიდან გამოიკვლიეს დიდი ზომის საწარმოო კომპანიები. ამ კვლევაში, ჩვენთვის საინტერესო საკვლევი ჰიპოთეზა იყო შემდეგი: „რეგიონული ინოვაციური შესაძლებლობები ხელს უწყობს მწვანე ტექნოლოგიების განვითარებას და წარმოების ეფექტურობას“. კვლევის შედეგებმა დაადასტურეს ჰიპოთეზა, თუმცა იდენტიფიცირებულ იქნა რამდენიმე რეგიონი, სადაც შეინიშნება მნიშვნელოვანი ჩამორჩენა ინოვაციების ათვისებაში. ინოვაციების პოზიტიური გავლენა მეტად მჟღავნდება აღმოსავლეთ ჩინეთის ოთხ სექტორში.

აღსანიშნავია ჩინეთის მთავრობის რეაგირება მსგავს კვლევებთან დაკავშირებით, დასავლეთ ჩინეთის რეგიონები აშკარად საჭიროებენ ინოვაციების ხელშეწყობას. მთავრობამ გამოსცა განკარგულება, რომ განახლდება/აშენდება აღნიშნულ რეგიონებში ინოვაციური ძირითადი პლატფორმები, ასევე ეროვნული საინჟინრო ლაბორატორიები და გაძლიერდება კავშირი აღმოსავლეთ ჩინეთის კვლევით ცენტრებთან.

მწვანე ტექნოლოგია და მდგრადი გადანყვეტილებები მაღალიზიაში. თუ გადავხედავთ მაღალიზიის აქტივობებს ტექნოლოგიისა და ინოვაციური სფეროს განვითარებაში, ქვეყანამ ბოლო ათწლეულებში ნ-ჯერ და უფრო მეტად გაზარდა დაფინანსება აღნიშნულ სფეროში. ქვეყანა ფოკუსირებულია უცხოური მრავალეროვნული კორპორაციების მოზიდვაზე, ტექნოლოგიური და ინოვაციური განვითარების მიზნით. ხელისუფლება ხელს უწყობს სამეცნიერო პარკების ფართო ქსელის განვითარებას და ამ მიზნით მუდმივად აბანდებს მასში სახსრებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.² (აბესაძე, 2017)

1 (Yu Fu., 2020)

2 (აბესაძე, 2017)

რაც შეეხება ჰიდროენერგეტიკას, მალაიზიაში ბიომასა და მზის ენერჯია ყველაზე პერსპექტიულ წყაროდ მიიჩნევა მდგრადი ენერჯიის მისაღებად. მალაიზიის მთავრობამ შეიმუშავა ტარიფების სისტემა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ისეთი განახლებადი ენერჯიის განვითარებას, როგორებიცაა: ბიომასა, ბიოგაზი და მზე. გარდა ამისა მთავრობამ დანერგა საგადასახადო შეღავათები იმ კომპანიებისათვის, რომლებიც ინვესტირებას ახდენენ მწვანე ტექნოლოგიებში. ¹ (Malaysia, 2020)

მწვანე ინოვაციები, როგორც ევროპის მომავალი კონკურენტუნარიანობის გასაღები. როგორც ევროპის კომისიის მოხსენებაში ვეცნობით, მწვანე ინოვაციები არის ისეთი ინოვაციები, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი პროგრესი მიზნების მიღწევის პროცესში. ხოლო, რაც შეეხება მიზნებს, ესაა: წარმოების პროცესის ზემოქმედების შემცირება გარემოზე, ბუნების მდგრადობის გაძლიერება, ბუნებრივი რესურსების უფრო ეფექტური გამოყენება.

ხელშემწყობი პროგრამების რიგში, წარმოდგენილია კვლევისა და ინოვაციების პროგრამა Horizon 2020, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტია და ხელს უწყობს ინოვაციების კავშირს. ამ გზით უფრო სწრაფად ხდება დაფინანსების მიღება ინოვაციური კომპანიისათვის და მნიშვნელოვნად მცირდება დრო, რომელიც საჭიროა ბიზნეს იდეიდან, საბოლოოდ მზა პროდუქტის ბაზარზე გასვლამდე. ² (Commission, 2020)

ევროკავშირი, გარდა წევრი სახელმწიფოებისა, რომელთა შორის აქტიურად მიმდინარეობს ცოდნის, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გაცვლა, განვითარება, ასევე დაინტერესებულნი არიან არანევრი, განვითარებადი სახელმწიფოს საქმიანობითაც, რადგან მათ მეტწილად არ აქვთ ათვისებული ინოვაციები და სერიოზულ უარყოფით ზეგავლენას ახდენენ გარემოზე. გარდა ამისა, განვითარებადი ქვეყნები, ევროკავშირს სთავაზობენ მნიშვნელოვან ბაზრებს მწვანე ინოვაციებისათვის, რომელ-

1 (Malaysia Green technology and sustainable solutions in Malaysia, 2020)

2 (Commission E., 2020)

თა პარტნიორობა ძალზე მნიშვნელოვანია ეფექტიანი შედეგისათვის.

საქართველოს გამოცდილება მწვანე ინოვაციების მიმართულებით. საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა ეროვნული გარემოსდაცვითი განახლებისა და რეფორმის მიმართულებით. თუმცა, საჭიროა პოლიტიკის უფრო მეტად გაუმჯობესება და ინვესტიციების, ასევე დაკავშირებული ინსტიტუციების მხარდაჭერის განვითარება.

ბუნებრივი რესურსების დეგრადაციის მოგვარების მიზნით, 2014 წლიდან, საქართველოს მთავრობამ აქტიურად დაიწყო გარემოს დაბინძურების და ბუნებრივი რესურსების მდგრადობის სტატისტიკის შეგროვება და მონიტორინგი. 31 დიდ ქალაქში დამონტაჟებულია ჰაერის დაბინძურების მუდმივი მონიტორინგის რვა სადგური. 2016 წელს, ევროკავშირის მხარდაჭერით, საქართველომ დაიწყო შავი ზღვის წყლის ხარისხის კონტროლი.

ქვეყნის გარემოსდაცვითი სამოქმედო, მესამე ეროვნული პროგრამა (NEAP-3), 2017-2021 წლების ძირითადი დოკუმენტია. პროგრამაში ასახულია შემდეგი ძირითადი მიზნები: 1. გარემოს სტატუსის გაუმჯობესება, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და მდგრადი გამოყენების აზრუნველყოფა, ადამიანის ჯანმრთელობისა და მოსახლეობის კეთილდღეობის რისკების შემცირება; 2. რეგიონული და გლობალური გარემოსდაცვითი ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ზრდა და მაქსიმალურად დაახლოება ევროკავშირის გარემოსდაცვით პოლიტიკასთან, კანონმდებლობასთან და დირექტივის სპეციფიკურ მოთხოვნებთან; 3. ადმინისტრაციული სტრუქტურების შესაძლებლობების გაზრდა; 4. მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, გარემოსდაცვითი ასპექტების სოციალური და ეკონომიკური სექტორის პოლიტიკა.¹ (საქართველოს მთავრობის განკარგულება., 2018)

საქართველოს მთავრობამ, 2020 წლის მაისში მიიღო ტყის ახალი კოდექსი, რომელზე დაყრდნობით შემუშავებულ იქნა, ტყისა და ლანდშაფტის მენეჯმენტის სამთავრობო პროგრა-

1 (საქართველოს მთავრობის განკარგულება, 2018)

მები. ამ პროგრამებმა, ხელი უნდა შეუწყონ დეგრადირებული წყალგამყოფების მენეჯმენტის გაუმჯობესებას.

დასკვნა

მიმოხილული ლიტერატურის, მოხსენებებისა და კვლევების საფუძველზე, შესაძლოა დავასკვნათ, რომ მწვანე ინოვაციებსა და ტექნოლოგიებს აქვთ შემდეგი უპირატესობანი: 1. ხელს უწყობს გარემოს, ბუნებრივი რესურსების, ფლორისა და ფაუნის განადგურების რისკების მნიშვნელოვნად შემცირებას; 2. ბიზნესს აძლევს საშუალებას, რომ მეტად ეფექტიანად გამოიყენონ ბუნებრივი რესურსები, რომელიც დროის სვლასთან ერთად სულ უფრო მცირდება; 3. ხელს უწყობს ახალი, განახლებადი ენერჯის სფეროს განვითარებას, რაც მნიშვნელოვნად ჩაანაცვლებს არაგანახლებად ენერჯიას; 4. მწვანე ინოვაციები და ტექნოლოგიები ქვეყნებს ეხმარება არაგანახლებადი ენერჯის დაზოგვაში (მაგალითად, ჰიბრიდული ტიპის ავტომობილები, გვეხმარება დავზოგოთ სანავი); 5. ბიზნეს კომპანიებს ანიჭებს კონკურენტულ უპირატესობას (მაგალითად ქვეყნებმა, რომლებმაც ხელი შეუწყეს ქარის ტურბინებს, შეიძინეს მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობა); 6. ხელს უწყობს ცირკულარული ეკონომიკის სტიმულირებას, რაც გულისხმობს წარმოებული პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის გაზრდას, მისი ხელახალი გამოყენებით, განახლების, შეკეთების, ან გადამუშავების გზით;

გარდა ჩამოთვლილისა, მოქმედ მთავრობებს აქვთ პასუხისმგებლობა, რომ მომავალ თაობებს შეუნარჩუნონ ბუნებრივი რესურსები, რათა მათაც სრულფასოვნად შეძლონ ცხოვრება.

გამოყენებული ლიტერატურა/ REFERENCES:

1. Commission, .. E. (2020). Eco-innovations the key to Europe's future competitiveness. Commission, ..
2. European, .. C. (2013). Eco-innovation. Publications Office.
3. Malaysia, K. o. (2020). Green technology and sustainable solutions in Malaysia. Kingdom of the Netherlands in Malaysia.
4. Yu Fu., A. S. (2020, 08 20). Effects of Regional Innovation Capability on the Green Technology Efficiency of China's. pp. 3-9.
5. აბესაძე, რ. (2017). მწვანე ეკონომიკა: არსი და გამოწვევები. თბილისი.; Abesadze, R. (2017). Green Economics: Meaning and Challenges. Tbilisi
6. საქართველოს მთავრობის განკარგულება. (2018). საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა 2017-2021. თბილისი.; Directives of Georgian Government. (2018). Third National Environmental Action Program of Georgia 2017-2021. Tbilisi.

**ADVANTAGES OF GREEN
INNOVATIONS AND TECHNOLOGIES**

Madona Kantidze

Georgian Technical University, PhD student
madona.kantidze@gmail.com

R E S U M E

The aim of the research is to explore the benefits of green innovations and technologies in the natural, economic and social environment.

As for the methodology, the article presents an empirical study. The reports of the European Union and the World Bank are re-

viewed, as well as the relevant conclusions are made based on the results of a research conducted in China, the analysis of the reforms adopted in Malaysia and the experience of Georgia.

Based on the reviewed reports and researches, we can conclude that green innovations and technologies have the following advantages:

- ✓ Contributes significantly to the risks of destruction of the environment, natural resources, flora and fauna;
- ✓ Allows businesses to use natural resources more efficiently, which decrease as time goes on;
- ✓ Promotes the development of a new, renewable energy field, which will significantly replace non-renewable energy;
- ✓ Green innovations and technologies help countries save non-renewable energy (for example, hybrid cars, help us save fuel);
- ✓ Gives business companies a competitive advantage (for example, countries that have promoted the idea of wind turbines have acquired a significant competitive advantage);
- ✓ Promotes the circular economy by increasing the life cycle of a product by reusing, renewing, repairing, or recycling it.

Keywords: green, innovations, technologies, environment, protection.

**ტექნოლოგიური მეგატრენდის ეკონომიკური
ანალიზი და მისი განვითარების მიმართულუბები
პოსტ-პანდემიურ სამყაროში**

doi.org/10.36962/104/6-9/20216941

ბადრი რამიშვილი

თსუ, ასოცირებული პროფესორი

badri1971@hotmail.com

რეზიუმე

ტექნოლოგიური პროგრესი ცივილიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მამოძრავებელია და ის ადამიანის ცხოვრების ყველა მიმართულებაზე ახდენს გავლენას. გადაჭარბებული არ არის სამეცნიერო ნაშრომში გატარებული მოსაზრება, რომ ტექნოლოგიური მეგატრენდი ურთიერთზემოქმედების ხარისხით გამოირჩევა დანარჩენ ეკონომიკურ, დემოგრაფიულ, ენერგეტიკულ და მილიტარისტულ მეგატრენდებს შორის.

ტექნოლოგიური განვითარების უმნიშვნელოვანეს ტრიგერად ყოველთვის გვევლინებოდა ომი, თუ მისთვის მზადება. ოდითგან, ვიდრე ცივი ომის დასრულებამდე, კაცობრიობას ნიშანდობლივი თვისება ახასიათებდა, ის საუკეთესო რესურსებს, როგორც მატერიალურს, ასევე ადამიანურს, სამხედრო მიზნებისთვის გაიღებდა და გამომდინარე აქედან, ტექნოლოგიური პროგრესის ერთ-ერთი მამოძრავებელი უხსოვარი დროიდან სწორედ სამხედრო სფერო იყო. ამიტომ, დიდი ყურადღება ეთმობა მილიტარისტული და ტექნოლოგიური ტრენდების ურთიერთზეგავლენას. ეს იმიტაცაა გამართლებული, რომ სადღეისოდ პლანეტაზე მიმდინარე ახალი კორონავირუსით გამოწვეული კოვიდ 19-ის პანდემია, ექსტრემალური მოთხოვნის ფორმირების ხასიათით ჰგავს საომარ ვითარებას.

ნაშრომში ტექნოლოგიური მეგატრენდის ჭრილით, რელევანტური ინდიკატორების გამოყენებით განხორციელებულია სამი - გლობალური დასავლური, რუსული და ჩინური

ძალის ანალიზი, რის საფუძვლზეც ავტორი ასკვნის, რომ საქართველოსთვის დასავლურ გლობალურ ძალასთან ალიანსი არამარტო უსაფრთხოების თვალსაზრისითაა სასიცოცხლო მნიშვნელობის, არამედ მხოლოდ ასე შეიძლება იმ სავალალო მაჩვენებლების სწრაფად გამოსწორება, რაც მას აქვს ტექნოლოგიური განვითარების თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: ტექნოლოგიური მეგატრენდი; გლობალური ძალა; ინოვაცია; პატენტი; კოვიდ 19-ის პანდემია.

შესავალი

მოცემული სტატია გაგრძელებაა იმ კვლევისა, რასაც ბოლო წლებში რამდენიმე სამეცნიერო შრომა მიეძღვნა და სადაც შევეცადეთ განგვესაზღვრა საქართველოს ადგილი გლობალურ გეოსტრატეგიულ ლანდშაფტში. ციკლის პირველივე პუბლიკაციაში ჩვენს მიერ იდენტიფიცირებულ იქნა კვლევის ობიექტი-გლობალური ძალები, რომელთა შეფასება მეგატრენდების კონტექსტით უნდა განხორციელებულიყო. საქართველოსთვის აქტუალურ გლობალურ ძალებად განისაზღვრა დასავლური, რუსული ორბიტისა და ჩინური ძალები. გლობალურ გეოსტრატეგიულ ლანდშაფტზე ზემოქმედ მეგატრენდებად კი, ეკონომიკური, დემოგრაფიული, ენერგეტიკული, მილიტარისტული და ტექნოლოგიური მეგატრენდები.(1)

მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მეგატრენდი მეტ-ნაკლებ გავლენას ახდენს ერთმანეთზე, ციკლის ბოლო ეტაპზე ტექნოლოგიური მეგატრენდის ანალიზს განაპირობებს ის გარემოება, რომ ის ყველაზე მეტად ზემოქმედებს დანარჩენ ტრენდებზე. ოთხიდან სამ – ეკონომიკურ, მილიტარისტულ და ენერგეტიკულ მეგატრენდებზე გავლენა პირდაპირი და ძლიერია, ერთადერთ გამონაკლისად ამ მხრივ შეიძლება მივიჩნიოთ დემოგრაფიული მეგატრენდი, რომელზედაც ძირითადად ირიბი ზემოქმედება შეიმჩნევა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად ენერგეტიკული ტრენდის ერთ-ერთი ძირითადი მამოძრავებელი სწორედ ის ტექნოლოგიური ცვლილებებია, რაც განახლებადი ენერჯის გენერაციის ეფექტიანობის გაუმჯობესე-

ბის, ენერჯის ახალი წყაროების ათვისების, ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების შემუშავების მიმართულებით მიმდინარეობს. აღნიშნულ საკითხებზე ციკლის ერთ-ერთ სტატიაში უკვე გვეკონდა მსჯელობა (2) და რადგან ჩვენი მიერ განხორციელდა ენერგეტიკული მეგატრენდის დამოუკიდებლად ანალიზი წინამდებარე ნაშრომში ენერგეტიკულ საკითხებს აღარ შევეხებით.

ზემოქმედების თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მილიტარისტული ტრენდის შემთხვევა, რადგან ჩვენი აზრით ამ დროს ტექნოლოგიურ მეგატრენდთან ურთიერთქმედება ორმხრივია. კერძოდ, სამხედრო საქმიანობა ხშირად გვევლინება ტექნოლოგიური განვითარების დამაჩქარებლად და პირიქით თანამედროვე ტექნოლოგიების გარეშე წარმოუდგენელია ბრძოლისუნარიანი შეიარაღებული ძალები. თავად ტერმინ მეგატრენდის შინაარსი პროცესის მდგრად მიმდინარეობაზე მიუთითებს, რაზეც მინიმალურ გავლენას ახდენს მოულოდნელი სიტუაციები და შემთხვევითობები, თუმცა, ჩვენი ცვლილებებით აღსავსე ეპოქა ამსხვრევს დამკვიდრებულ სტერეოტიპებს. აღნიშნულის ნათელი მაგალითია ახალი კორონავირუსის შედეგად გამონეული კოვიდ 19-ის პანდემია, რამაც ბევრი რამ შეცვალა კაცობრიობის ყოფიერებაში და ცხადია ტექნოლოგიურ მეგატრენდზეც იქონია გავლენა. ამიტომ ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით გლობალურ ტექნოლოგიურ პროგრესზე პანდემიის ზემოქმედების შეფასებასაც.

საბჭოთა კავშირის ნგრევამ, სოციალისტური ქვეყნების ბანაკის დაშლამ, ცივი ომის დასრულებამ ახალ ეპოქას დაუდო საფუძველი. ბერლინის კედლის დაცემამ სიმბოლურად მიანიშნა საზღვრების მოშლის ტენდენციაზე. ამას დაერთო კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის განვითარება და გლობალიზმის აპოლოგეტებმა ახალი მსოფლიო წესრიგის შესახებ ამცნეს კაცობრიობას. ზოგი უფრო შორსაც წავიდა, აიტაცა რა ამერიკელი ფილოსოფოსის იაშირო ფრენსის ფუკუიამას მოსაზრება ისტორიის დასრულების შესახებ. დაიწყო ერა, რაც

მსოფლიო ეკონომიკის სტაბილური განვითარების თვალსაზრისით კაცობრიობის ოქროს ხანადაც კი შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა ის ვერ აღმოჩნდა ხანგრძლივი, მოიცავდა რა XX საუკუნის ბოლო ათწლეულსა და XXI დასაწყისს. ეს იყო ალბათ იშვიათი შემთხვევა, როდესაც ტექნოლოგიური განვითარება მეტად სწრაფი ტემპებით ხასიათდებოდა და ამავე დროს აღნიშნულის საფუძველი რეგულარული სამომხმარებლო მოთხოვნა იყო. ჩვენ შემდგომ ამ დროებას პანდემიამდელი პერიოდის სახელით მოვიხსენიებთ. მიუხედავად ზედაპირული იდილიისა, ამ წლებში მსოფლიოში არსებულმა წინააღმდეგობებმა არ დაიხია უკან გლობალური წესრიგის წინაშე, ვითარება მწვავედებოდა რესურსების სულ უფრო მზარდი დეფიციტითა და პლანეტარული მასშტაბის ეკოლოგიური პრობლემებით. ყოველივე ამის სიმბოლური ფინიშიც მეტად დრამატული გამოდგა, მხედველობაში გვაქვს ახალი კორონა ვირუსი და მისგან გამომწვეული კოვიდ 19-ის პანდემია.

ომები ქმნიდა ფორსმაჟორულ მოთხოვნას, რის დაკმაყოფილებისთვისაც ამა თუ იმ სახელმწიფოს საკუთარი რესურსების უკიდურესი მობილიზება უწევდა, ეს კი, ტექნოლოგიური გარღვევას უდებდა სათავეს. ასე მოხდა პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროს და იგივე ტენდენცია შენარჩუნდა “ცივი ომის” შემთხვევაშიც, რაც ექსტრემალური მოთხოვნის ფორმირების მხრივ არ ჩამორჩებოდა „ცხელ ომებს“ და რეალური ომისთვის მზადების ყველაზე დრამატული პერიოდი იყო კაცობრიობის ისტორიაში. ეს განსაკუთრებით საბჭოთა კავშირში იგრძნობოდა, სადაც ტექნოლოგიური პროგრესი და ზოგადად ეკონომიკის განვითარება მთლიანად იყო ადაპტირებული სამხედრო მიზნებთან. აღნიშნულზე მეტყველებს შემდეგი ფაქტიც, რასაც ფართო გასაქანი ჰქონდა „ბოროტების იმპერიაში“: „ვისაც სიცოცხლის ცნობიერი ნაწილი საბჭოეთში აქვს გატარებული, ახსოვს, რაოდენ ძვირი ღირდა საყოფაცხოვრებო ტექნიკა, რომლის ფასებიც ხშირად რამდენიმეჯერ აღემატებოდა თვითღირებულებას. ამ პროდუქციის ან მისი მაკომპლექტებლების დიდი ნაწილი სწორედ ორმაგი დანიშნულების ქარხნებში მზად-

დებოდა და ასეთ შემთხვევებში, ხშირად გამოიყენებოდა ე.წ. „ჯვარედინი ფასწარმოქმნის“ მსგავსი მიდგომა და სამხედრო პროდუქციაზე განუღი დასახარჯების გარკვეული ოდენობა სამოქალაქო საქონლის ფასებში აისახებოდა.“(3) ეს არის მაგალითი იმისა, თუ სადამდე შეიძლება მივიდეს სამხედრო მიზნების პრივალირება სამომხმარებლო მოთხოვნასთან მიმართებაში.

შემთხვევითი არც ის არის, რომ სადღეისოდ, ტექნოლოგიური თვალსაზრისით განვითარებული ქვეყნები მძლავრ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსებს ფლობენ ან პირიქით, მხოლოდ დიდი ტექნოლოგიური პოტენციალის პირობებშია მძლავრი და თანამედროვე არმიის ფორმირება შესაძლებელი. აქ გამონაკლისია იაპონია და გერმანია, რომელთა შეიარაღებული ძალების სიძლიერე არ შეესაბამება მათ გრანდიოზულ ტექნოლოგიურ პოტენციალს, მაგრამ ამის მიზეზი ის შეზღუდვებია, რაც ამ ორ სახელმწიფოს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაუწესდა. გამომდინარე აქედან, არ არის საკვირველი, რომ სამეცნიერო თუ ტექნოლოგიური გარღვევების დიდ ნაწილს თავდაპირველად სწორედ სამხედრო დანიშნულება ჰქონდა და მხოლოდ შემდეგ ხდებოდა მათი სამოქალაქო მიმართულებით გამოყენება. მეოცე საუკუნეში დედამიწამ ორი მსოფლიო ომი გადაიტანა, ორივე მათგანმა, გარდა იმისა, რომ უზარმაზარი ტრაგედია იყო, დიდ სამეცნიერო ტექნოლოგიურ გარღვევასაც დაუდო საფუძველი.

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილები მნიშვნელოვან და მრავალფეროვან ინფორმაციას შეიცავს საკვლევ ქვეყნებში ტექნოლოგიური განვითარების დონის შეფასების თვალსაზრისით. მათში მოტანილია ისეთი ინდიკატორები, როგორცაა გლობალური ინოვაციების ინდექსი, ცოდნის ეკონომიკის ინდექსი, ცოდნის ინდექსი, სამეცნიერო-კვლევითი აქტიურობის რეიტინგი, დანახარჯების დონე სამეცნიერო კვლევებზე და საცდელ კონსტრუქტორულ სამუშაოებზე (სკსკს), პატენტზე განაცხადებისა და უკვე გაცემული პატენტების სტრუქტურა და დინამიკა.

ცხრილი 1. ტექნოლოგიური განვითარების ზოგიერთი ინდიკატორი

ქვეყანა	ქვეყნების რეიტინგები ინოვაციის ინდექსის მიხედვით 2019 წელი	ცოდნის ეკონომიკის ინდექსი 2012 წელი	ცოდნის ინდექსი 2012 წელი	სამეცნიერო კვლევითი აქტიურობა 2019 წელი	დანახარჯები სკსკ-ზე % მშპ-დან 2018 წელი
ავსტრალია	48.4	8.88	8.98	53610	1.87*
აშშ	60.6	8.77	8.89	422808	2.84
გაერთ.სამეფო	59.8	8.76	8.61	97681	1.72
გერმანია	56.5	8.90	8.83	104396	3.09
თურქეთი	34.9	5.16	4.81	33536	0.96*
იაპონია	52.7	8.28	8.53	98793	3.26
ინდოეთი	35.6	3.06	2.89	135788	0.65
ისრაელი	53.5	8.14	8.07	12235	4.95
იტალია	45.7	7.89	7.94	71240	1.4
კანადა	52.3	8.92	8.72	59968	1.57
ნიდერლანდები	58.8	9.11	9.22	30457	2.16
რუსეთი	35.6	5.78	6.96	81579	0.99
სამხ. კორეა	56.1	7.97	8.65	66376	4.81
საფრანგეთი	53.7	8.21	8.36	66352	2.20
ჩინეთი	53.3	4.37	4.57	528263	2.19
საქართველო	31.8	5.19	4.49	550	0.3

*ავსტრალიისა და თურქეთის შემთხვევაში მოცემულია 2017 წლის მაჩვენებელი

ცხრილი შედგენილია <https://gtmarket.ru/ratings/>-ისა და <http://data.worldbank.org/indicator/>-ის მონაცემების გამოყენებით

ცხრილი 1-ის პირველი სამი ინდექსი კომპლექსური მაჩვენებელია და მათი გაანგარიშებისთვის სხვადასხვა რაოდენობის და მიმართულების ინდიკატორებია გამოყენებული. სამეცნიერო-კვლევითი აქტიურობის ინდექსი, ზემოთ განხილული მაჩვენებლებისგან განსხვავებით, არ არის კომპლექსური და ის მხოლოდ მაღალრეიტინგულ, რეცენზირებად გამოცემებში სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო წრეების მიერ გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობას ეყრდნობა. მოცემულ ცხრილში წარმოდგენილი უკანასკნელი ინდიკატორია დანახარჯები სკსკს-ზე, რაც მშპ-დან პროცენტული წილის სახითაა გამოსახული.

გლობალური ინოვაციების ინდექსის (გიი) გაანგარიშება ხდება საერთაშორისო პროექტის ფარგლებში, სადაც მონაწილეობს საერთაშორისო ბიზნეს-სკოლა INSEAD-ი, კორნელის უნივერსიტეტი და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ინოვაციურობის შეფასება 82 სხვადასხვა ცვლადის საფუძველზე ხორციელდება, რაც ორ ჯგუფად შეიძლება იქნას განხილული: პირველია, ინოვაციების განხორციელებისთვის საჭირო პირობები და რესურსები, სადაც იგულისხმება ინსტიტუციების, შესაბამისი ადამიანური კაპიტალის, ინფრასტრუქტურის არსებობა, ადგილობრივი ბაზრისა და ზოგადად ბიზნესის განვითარება; მეორე, ინოვაციებით მიღწეული პრაქტიკული შედეგები კი, მოიაზრებს ტექნოლოგიებისა და ცოდნის ეკონომიკის განვითარებასა და შემოქმედებითი საქმიანობის შედეგებს.

გიი ამა თუ იმ ქვეყნის ტექნოლოგიური განვითარების დონის დასახასიათებლად ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ცხრილში. ამ მხრივ ლიდერია აშშ და ეს ბუნებრივია, რადგან მას ყველა პირობა აქვს ამისთვის. კარგი შედეგები აქვს ყველა დასავლურ ქვეყანას, იაპონიასა და სამხრეთ კორეას. ჩინეთი ყველა მიმართულებით მზარდი სახელმწიფოა და გამონაკლისი არც ინოვაციურობის ინდექსია. რაც შეეხება რუსეთს, მისი ინოვაციურობის ინდექსია 35.6 რაც მას ახლოებს ისეთ ქვეყნებთან, როგორცაა თურქეთი და ინდოეთი, თუმცა

ეს უკანასკნელნი მზარდი ეკონომიკების მქონენი არიან და შესაბამისად ინოვაციურობის ინდექსიც მოიმატებს, რასაც ვერ ვიტყვით რუსეთზე. სხვათაშორის, საქართველოს მონაცემი გიი-ს მიხედვით, რაც 31.8 შეადგენს, დიდად არ ჩამოუვარდება რუსეთისას.

ცოდნის ეკონომიკისა და ცოდნის ინდექსები მონათესავე მონაცემებია. მათი გაანგარიშების მეთოდის თანდაპირველად მსოფლიო ბანკის მიერ ფორმირებული სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა, ხოლო კვლევა განხორციელდა 2004-2012 წლებში და სწორედ ამ გამოკვლევის შედეგებია ცხრილში წარმოდგენილი, რაც უახლესია ჯერ-ჯერობით. ცოდნის ეკონომიკის ინდექსი ოთხი: ეკონომიკური და ინსტიტუციონალური რეჟიმის, განათლების, ინოვაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების ინდექსების საშუალო არითმეტიკულია, ხოლო ცოდნის ინდექსი კი, მხოლოდ ბოლო სამის. აღნიშნული ორი ინდექსის მიხედვით გაცილებით უკეთესი მონაცემები აქვთ დასავლურ ძალასთან ასოცირებულ ქვეყნებს, ხოლო ჩინეთისა და რუსეთის ინდიკატორები საკმაოდ ჩამორჩება მათ. სამწუხაროდ ამ მხრივ დაბალია საქართველოს მაჩვენებელიც.

როგორც აღვნიშნეთ, სამეცნიერო-კვლევითი აქტიურობის რეიტინგი არ არის კომპლექსური მაჩვენებელი და შესაბამისად ნაკლებ ინფორმაციულია, თუმცა გარკვეულწილად ავსებს სურათს. ერთი შეხედვით, ამ მონაცემის მიხედვით საუკეთესოა ჩინეთი, მაგრამ, ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობაც. ასეთ ვითარებაში კი, ჩინეთზე გაცილებით უკეთესი შედეგები აქვთ აშშ-ს, გერმანიას, გაერთიანებულ სამეფოს, იაპონიასა და დასავლურ ძალასთან ასოცირებულ სხვა ქვეყნებს. ყოფილ საბჭოთა კავშირში, მეცნიერების სხვადასხვა დარგში საკმაოდ მაღალი დონის სამეცნიერო სკოლები არსებობდა და შესაბამისად მათი აქტიურობა საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემებში მნიშვნელოვანი იყო. ამას ვერ ვიტყვით რუსეთზე. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების მხრივ ის მკვეთრად ჩამორჩება

დასავლური ძალის სახელმწიფოებს, თუმცა მოსახლეობის რაოდენობის ფონზე ჯერ-ჯერობით უსწრებს ჩინეთს. სამწუხაროდ საქართველოს ამ მხრივაც ძალიან მოკრძალებული შედეგი აქვს.

ზემოთ განხილული მაჩვენებლები ლოგიკურ მიმართებაშია სკსკს-ზე განეული დანახარჯების დონესთან. იმ ქვეყნებს, რომლებიც მშპ-ის დიდ პროცენტს ხარჯავენ ტექნოლოგიური პროგრესისთვის, სხვა შესაბამისი ინდიკატორებიც შთამბეჭდავი აქვთ და პირიქით. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ისრაელი და სამხრეთ კორეა, ეს ქვეყნები სკსკს-თან დაკავშირებულ აქტივობებზე ხარჯავენ მშპ-ს თითქმის 5 პროცენტს, რაც მკვეთრად აღემატება ცხრილის შესაბამის პუნქტში მოტანილ სხვა სახელმწიფოების მონაცემებს. ეკონომიკის სიდიდის ფონზე გამოირჩევა აშშ-ს და ასევე ჩინეთის მაჩვენებლებიც. საკმაოდ დაბალია რუსეთის ფინანსური მხარდაჭერა ტექნოლოგიური სფეროებისადმი, რაც ამ ქვეყნის დეგრადაციაზე მიუთითებს და არამარტო ტექნოლოგიური მეგატრენდის კონტექსტით.

ცხრილი 2-ში წარმოდგენილია პატენტზე განაცხადებისა და გაცემული პატენტების რაოდენობა. ამასთან ორივე მათგანში განცალკევებითაა მოტანილი მონაცემები როგორც ერთობლივი, ასევე რეზიდენტი პირების მიხედვით. თავად ქვეყნის შიგნით სკსკს-ის მხრივ არსებული მდგომარეობის მიხედვით წარმოდგენას სწორედ რეზიდენტი პირების მაჩვენებლები იძლევა. თუ საერთო მონაცემს გამოვაკლებთ რეზიდენტი პირების მონაცემებს მივიღებთ არარეზიდენტი პირების მიერ საპატენტო განაცხადების ან მიღებული პატენტების რაოდენობას, რაც მიუთითებს მოცემულ ქვეყანაში ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ბიზნეს-გარემოსა და საინვესტიციო კლიმატზე.

ცხრილი 2. პატენტებზე განაცხადებისა და მიღებული პატენტების დინამიკა და სტრუქტურა

ქვეყანა	პატენტზე განაცხადების რაოდენობა სულ		რეზიდენტების მიერ პატენტზე განაცხადების რაოდენობა		გაცემული პატენტების რაოდენობა სულ		რეზიდენტებზე გაცემული პატენტების რაოდენობა	
	2009	2019	2009	2019	2009	2019	2009	2019
ავსტრალია	23681	29758	2494	26372	12410	17010	926	829
აშშ	456106	621453	224912	285113	167349	354430	82382	167115
გაერთ. სამეფო	22465	19250	15985	12061	5428	5948	2118	3081
გერმანია	59583	67434	47859	46632	14435	18255	10284	11770
თურქეთი	2732	8088	2555	7871	648	1941	406	1756
იაპონია	348596	307969	295315	307969	193349	179910	164459	140865
ინდოეთი	34287	53627	7262	19454	6168	23578	1725	3690
ისრაელი	6774	7738	1387	1368	2015	4197	295	750
იტალია	9717	10127	8814	9229	18277	8617	16319	8275

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

კანადა	37477	36488	5067	4238	19497	22009	2029	2035
ნიდერლანდები	2854	2677	2575	2228	1948	1936	1643	1578
რუსეთი	38564	35511	25598	23337	34824	34008	26294	20113
სამხ. კორეა	163523	218975	127316	171603	56732	125661	42129	125661
საფრანგეთი	15693	15869	14100	14103	10529	13593	9228	11673
ჩინეთი	314604	1400661	229096	1243568	128389	452804	65391	360919
მსოფლიო	1855900	3224200	1146400	231200	814700	1500900	486700	912100
საქართველო	474	197	256	85	293	115	147	31

ცხრილი შედგენილია: <https://www.wipo.int/portal/en/index.html> მონაცემების საფუძველზე.

პატენტებზე განაცხადებისა და განსაკუთრებით გაცემული პატენტების საერთო რაოდენობა, სამეცნიერო-ტექნოლოგიური საქმიანობის ერთგვარ საშედეგო მაჩვენებლადაც შეიძლება მივიჩნიოთ. ამავე დროს, აქ დიდ როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკური და კონკრეტულად კი, საინვესტრიციო მიმზიდველობა. ამიტომ, ლოგიკურია, რომ ამ ინდიკატორების მიხედვით საუკეთესო შედეგი აქვს ჩინეთს და აშშ-ს. აღსანიშნავია ისიც, რომ 2009 წელთან შედარებით 2019 წელს ამ ქვეყნებში მოცემული მიმართულებით ზრდა აღინიშნა და ეს განსაკუთრებით ჩინეთს ეხება, რაც განპირობებულია ამ ქვეყნის გრან-

დიოზული ეკონომიკური პოტენციალით. დასავლურ ძალასთან ასოცირებულ ქვეყნებში ამ მხრივ გარკვეულ სტაგნაციას აქვს ადგილი. რუსეთს არც 2009 წელს ჰქონდა შთამბეჭდავი მონაცემები, როგორც პატენტებზე განაცხადების, ასევე გაცემული პატენტების მხრივ და ეს მაჩვენებლები 2019 წელს უფრო შემცირდა, რაც ადასტურებს ჩვენს მიერ ამ და ციკლის სხვა სტატიებში გამოთქმულ მოსაზრებას მოცემული ქვეყნის სისტემური პრობლემების შესახებ. ცხრილი 2-ში მოტანილი საქართველოს მაჩვენებლები, არც 2009 წელს იყო სახარბიელო, მაგრამ 2019 წლისთვის იმდენად შემცირდა, რომ შეიძლება ითქვას, ჩვენს ქვეყანაში საპატენტო საქმიანობა თითქმის შეწყვეტილია.

კორონა ვირუსის მიერ გამოწვეული კოვიდ 19-ის პანდემია მრავალი მოაზროვნის მიერ უკვე გაიგივებულია ომთან. ამგვარ მოსაზრებას ისიც ამყარებს, რომ არსებობს ეჭვი აღნიშნული ვირუსის ხელოვნური წარმოშობის შესახებ, რაც დროთა განმავლობაში სულ უფრო მყარდება. მიუხედავად იმისა, ხელოვნურადაა ეს პანდემია გამოწვეული თუ არა, ცვლილებების დრამატიზმისა და ზიანის ტრაგიკულობის ხარისხით ის უკვე აღარაფრით ჩამოუვარდება რეგიონული მნიშვნელობის ფართომასშტაბიან სამხედრო კონფლიქტს და არ არის გამორიცხული მისგან გამომწვეული შედეგები კიდევ უფრო გამძაფრდეს. ის, აგრეთვე დიდ გავლენას მოახდენს კაცობრიობის ტექნოლოგიურ პროფილზე. ამ მხრივ უპირველესად აღსანიშნავია ის უარყოფითი გავლენა, რაც პანდემიამ ადამიანის ჯანმრთელობაზე იქონია. ამ შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ როგორც პირდაპირ, ასევე ირიბ ზიანზე. კოლექტიური ტრამვა - მსხვილმასშტაბიანი ნეგატიური მოვლენაა, რაც დიდ გავლენას ახდენს მოსახლეობაზე და ახასიათებს როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი ზემოქმედების ფსიქოლოგიური ეფექტები. რაც შეეხება კოვიდ 19-ს, პირდაპირი ტრამვა დაკავშირებული იყო უშულოდ კონკრეტული ინდივიდის ან მისი ნაცნობის ინფიცირებასთან, ხოლო ირიბი კი, ისეთი მოვლენებია, როგორც არის სამსახურის დაკარგვა, მობილობის შეზღუდვა, დისტანციურ განათლებასა თუ მუშაობაზე გადასვლა და ა.შ. (7) შექმნილმა დრამატულმა

ვითარებამ წარმოქმნა ექსტრემალური მოთხოვნა. რამაც დიდი ბიძგი მისცა სამედიცინო ტექნოლოგიებისა და გენური ინჟინერიის განვითარებას, რაც დიდი ხნის განმავლობაში იქნება სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი მთავარი ტრენდული მიმართულება. ასევე მნიშვნელოვანია ტექნოლოგიების როლი იმ პრობლემების დაძლევაში, რაც პანდემიის დროს სოციუმში დისტანციის დაცვასთანაა დაკავშირებული. ამან კი, წინა პლანზე წამოსწია დისტანციური საქმიანობისა და ურთიერთობების ხელისშემწყობის ტექნოლოგიების უფრო სწრაფი ტემპებით განვითარების აუცილებლობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ერთ-ერთი ვერსიით 2021 წლიდან ტექნოლოგიურ ტრენდში აქტუალური იქნება შემდეგი მიმართულებები: ხელოვნური ინტელექტისა და მანქანური სწავლების ტექნოლოგიები, რობოტული პროცესების ავტომატიზაცია, პერიფერიული კომპიუტერიზაცია, კვანტური კომპიუტერები, ვირტუალური რეალობისა და რეალობის გაუმჯობესებული აღქმის ტექნოლოგიები, ბლოკჩეინტექნოლოგიები, საგნების ინტერნეტი, 5G ინტერნეტი, კიბერ-უსაფრთხოების ტექნოლოგიები.(8) თუმცა აქტუალობას არ დაკარგავს სხვა, მაგალითად ნანოტექნოლოგიების მიმართულებით წარმოებული კვლევები.

დასკვნა

წინამდებარე კვლევის შედეგად ცალსახად წარმოჩნდა, რომ დასავლურ გლობალური ძალას ტექნოლოგიური თვალსაზრისით დამორგუნველი უპირატესობა აქვს რუსული გლობალური ძალის, ხოლო შთამბეჭდავი უპირატესობა ჩინური გლობალური ძალის მიმართ. მიუხედავად ამ უკანასკნელის სწრაფი ტექნოლოგიური განვითარებისა, მის მიმართ უპირატესობა შენარჩუნდება თვალსაზრისით მომავალშიც. რაც შეეხება რუსული ძალის პერსპექტივებს ტექნოლოგიური კონტექსტით, აშკარაა რუსეთის დეგრადაცია ამ მიმართულებით. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენ რუსეთთან ერთად არ განვიხილეთ მისი მოკავშირეების ტექნოლოგიური პერსპექტივები, რადგან ამ მხრივ

მათი მაჩვენებლები მიზერულია და ხარისხობრივი ჭრილით ვერ ცვლის სურათს. უკანასკნელ წლებში დასავლური გლობალური ძალის მიერ შემოღებულმა სანქციებმა გამოიწვია რუსეთის სასარგებლოდ ვითარების უკეთესობისკენ შეცვლის პერსპექტივა.

ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე, საქართველომ, მისთვის აქტუალურ სამ - დასავლურ, რუსულ და ჩინურ ძალას შორის, უსაფრთხოების, ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარების წმინდად პრაგმატული მოსაზრებებიდან გამომდინარე არჩევანი უნდა გააკეთოს დასავლურ ძალასთან ალიანსზე. ასეთი არჩევანის სასარგებლოდ მეტყველებს კულტურული, ისტორიული, გეოპოლიტიკური თუ სხვა ასპექტებიც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბ. რამიშვილი, საქართველოს პოზიცია გლობალურ გეოსტრატეგიულ ლანდშაფტში, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2015, №1.

2. ბ. რამიშვილი, ენერგეტიკული ტრენდის განვითარების მიმართულებები და მისი გავლენა საქართველოს სტრატეგიულ მდგომარეობაზე, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2015, №2.

3. ბ. რამიშვილი, “მილიტარისტული მეგატრენდის ეკონომიკური ანალიზი და მისი გავლენა მსოფლიო გეოსტრატეგიული ლანდშაფტის ფორმირებაზე” “ეკონომიკა და ბიზნესი”, 2017, №3.

4. <https://gtmarket.ru/ratings/>

5. <http://data.worldbank.org/indicator/>

6. <https://www.wipo.int/portal/en/index.html>

7. <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC7436915/>

8. <https://www.simplilearn.com/top-technology-trends-and-jobs-article>

REFERENCES:

1. Ramishvili, B., “Georgia’s position in the global geostrategic landscape” 2015 Economics and Business Journal number 1
2. Ramishvili, B., “Development of Energy Trend and Its Influence on the Georgian Strategic Position” 2015 Economics and Business Journal number 2
3. Ramishvili, B., “Economic analysis of the military megatrend and its influence on the formation of the world geostrategic landscape” 2017 Economics and Business Journal number 3
4. <https://gtmarket.ru/ratings/>
5. <http://data.worldbank.org/indicator/>
6. <https://www.wipo.int/portal/en/index.html>
7. <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC7436915/>
8. <https://www.simplilearn.com/top-technology-trends-and-jobs-article>

**ECONOMIC ANALYSIS OF THE TECHNOLOGICAL
MEGATREND AND ITS DEVELOPMENT DIRECTIONS
IN THE POST-PANDEMIC WORLD**

Badri Ramishvili,
PhD TSU, Associate Professor
badri1971@hotmail.com

RESUME

Technological progress is one of the most important drivers of civilization and it affects all areas of human life. It is no exaggeration to say in the scientific paper that the technological megatrend differs in the degree of interaction between other economic, demographic, energy and militaristic megatrends.

The most important trigger of technological development has always been the war, or the preparation process for it. From earlier

times, before the end of the Cold War, the mankind was characterized by a remarkable feature, it used the best resources, both material and human, for military purposes, and therefore one of the drivers of technological progress from time immemorial was the military field. Therefore, much attention is paid in the article to the interinfluence of the militaristic and technological trends. This is also justified by the fact that the Covid-19 pandemic caused by the new coronavirus on the planet today, by nature of the formation of the extreme demand, resembles a state of war.

Moreover, the paper analyzes the technological megatrend using the relevant indicators, and analyzes three global western, Russian and Chinese forces, on the basis of which the author concludes that for Georgia the alliance with the Western Global Forces is not only vital in terms of security, but as well as for rapid improvement of those bad markers that our country has in the technological development direction.

Keywords: Technological megatrend; Global power; Innovation; Patent; Covid-19 pandemic.



**უმაღლესი და პროფესიული
სასწავლებლის დამთავრება
ყოველთვის არ მთავრდება დასაქმებით**

doi.org/10.36962/104/6-9/20216957

ზაირა ღუდუშაური

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
სტუ პროფესორი
ირინე წიკლაური
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

განხილულია ახალგაზრდების უმუშევრობის პრობლემა და ამის მიზეზად დასახელებულია საქართველოს უმაღლეს და პროფესიულ განათლების სისტემის შეუსაბამობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

საქართველოს უმუშევარ მოსახლეობას შორის დომინანტია ახალგაზრდობა. ისინი ამთავრებენ პროფესიულ სასწავლებლებს ან უმაღლეს სასწავლებლებს, მაგრამ პროფესიით ვერ საქმდებიან, ამას ადასტურებს შრომის ბაზრის კვლევები და აგრეთვე, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების დეპარტამენტის მიერ 2017 წელს ჩატარებული კვლევა, რომლის დასკვნით ნაწილში კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლად 56,2 დასახელდა.

სტატიის ავტორებს ახალგაზრდობის უმუშევრობის პირველ მიზეზად სწორედ შრომის ბაზარზე არსებული სამუშაო ძალის მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსი აქვთ დასახელებული, ახალგაზრდებში არასაკმარისი ცოდნის და ბაზარზე მოთხოვნადი უნარების არარსებობის ერთ-ერთ მიზეზად კი, ავტორები

განათლებისთვის სახელმწიფო დაფინანსების სიმცირეს ასახვლებენ. ასეთი მცირე რესურსებით უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებს უჭირთ მაღალკვალიფიციური პროფესიონალი პედაგოგების დაქირავება, რაც, ცხადია, ამცირებს სწავლების ხარისხს. მცირე დაფინანსების გამო პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლები (განსაკუთრებით კერძო სექტორში) ეკონომიას ძირითადად შრომის ანაზღაურებაში აკეთებენ. 5-10 ლარიანი საათობრივი ხელფასი მათთან ნორმალურად ითვლება. ასეთ ანაზღაურებაზე კი მოდის მხოლოდ დაბალი კვალიფიკაციის მასწავლებელი. ავტორები თვლიან, რომ კურსდამთავრებულთა თითქმის ნახევარი სწორედ ცოდნის დაბალი დონის გამო არის უმუშევარი.

მეორე მიზეზად ავტორებს ცოდნის გაკონტროლების ტექსტური მეთოდი მიაჩნიათ და, თვლიან, რომ ამ მეთოდით შეუძლებელია სტუდენტის ცოდნის სიღრმის შეფასება.

სტატია მთავრდება შემაჯამებელი დასკვნით.

საკვანძო სიტყვები: დასაქმება; ახალგაზრდების უმუშევრობა; უმაღლესი განათლება; პროფესიული განათლება; შრომის ბაზარი; მოთხოვნა-მიწოდება შრომის ბაზარზე.

შესავალი

ეპოქები ერთმანეთისგან განსხვავდებიან იმით, თუ იმ დროს მცხოვრებმა ხალხებმა როგორი მატერიალური და სულიერი კულტურა შექმნეს. ამ კულტურას განათლებული ადამიანები ქმნიან. აქედან გამომდინარე, ყველა ქვეყანა უნდა მიისწრაფოდეს განათლების სისტემის სრულყოფისკენ, მოსახლეობის ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებისკენ.

ის ფაქტი, რომ ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკური ინდექსი საქართველოში არის 4,969155 და არა 10,0, რაც განათლების სისტემის საუკეთესოების მაჩვენებელია [1, გვ. 57-58], ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ამ მხრივ ჩვენთან ყველაფერი რიგზე არ არის.

ქირითადი ტექსტი

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის ინფორმაციით 2020 წელს, ახალი მეთოდოლოგიით გამოთვლილი უმუშევრობის დინე 18,5%-ს შეადგენდა [2, გვ. 42]. მართალია, ეს მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით შემცირებულია, კერძოდ, 2014 წელთან შედარებით, მან 5,4 პუნქტითაც კი მოიკლო, მაგრამ, უმუშევრობის ბუნებრივ დინეზე (5-7%) მის დასვლას, ამ ტემპის პირობებში, 10-ზე მეტი წელი დასჭირდება. ასეთ დროს, საქართველოს დაუსაქმებელი მოსახლეობა შიმშილობს. სოციალურ შემწეობაზე ერთი მილიონი ადამიანი რეგისტრირებული, და, აქედან მხოლოდ 532 ათასი იღებს მინიმალური სიდიდის სოციალურ შემწეობას, მთლიანი შიდა (სამამულო) პროდუქტის სულადობრივი მოცულობა შემცირდა 4739 დოლარიდან 4275 დოლარამდე, დანაზოგის დონე 14,3%-დან 13,4%-მდე და ა. შ. [1].

საქართველოში გამეფებული ქრონიკული უმუშევრობის დაძლევა საქართველოს ეკონომიკისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზით ირკვევა სოციალურ-შრომითი ურთიერთობის მთელი რიგი პრობლემებიც, რომელთა არსებობა კიდევ უფრო ამწვავებენ ამ საკითხს. ესენია [3, გვ. 19]:

1. სამუშაო ძალის მოთხოვნა-მინოდებას შორის არსებული დისბალანსი (უმუშევრობის მაღალი დონის პირობებში სახეზეა ცალკეულ პროფესიების და კვალიფიკაციის სამუშაო ძალის დეფიციტი).

2. არაეფექტიანი დასაქმება, ე. წ. „ღარიბი დასაქმებულების“ არსებობა.

3. კადრების მომზადება-გადამზადების და პროფესიული განათლების სისტემის ორგანიზაციის დაბალი დონე.

4. უმუშევრობის მაღალი დონე ახალგაზრდებში (უმალეს და პროფესიულ განათლების მქონე პირთაგან მხოლოდ 24%-ია დასაქმებული და მუშაობს პროფესიით) და ა. შ.

ახალგაზრდები ჩვენი მოსახლეობის მეტად მნიშვნელოვანი სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფია. მათი ღირსეული დასაქმების პრობლემის გადაწყვეტა ყველა განვითარებული ქვეყნის

უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს. ასეთ რაკურსში უნდა განიხილებოდეს იგი ჩვენთანაც. ჩვენს ქვეყანას არსებული სირთულეებიდან გამოიყვანს მხოლოდ ახალგაზრდა თაობის სწორი აღზრდა-განათლება. იგი საზოგადოების გადარჩენისა და შემდგომი წინსვლის რეალური გზაა [4, გვ. 18].

დღეს, საქართველოს უმუშევარ მოსახლეობას შორის დომინანტია ახალგაზრდობა. მოთხოვნა ახალგაზრდა სამუშაო ძალაზე, თუ მას არ გააჩნია სამუშაო გამოცდილება და მაღალი პროფესიული უნარ-ჩვევები, შრომის ბაზარზე დაბალია. სამუშაო გამოცდილების არ ქონის გამო, რაც სწავლა ახლადდამთავრებულთათვის სრულიად ბუნებრივია, ისინი დაბალკონკურენტუნარიანები არიან. მაგრამ არის მეორე უფრო მტკივნეული პრობლემა. ეს არის მათი დაბალი პროფესიონალიზმი. ისინი ამთავრებენ უმაღლეს ან პროფესიულ სასწავლებლებს, იღებენ სათანდი დიპლომებს, მაგრამ, ვერ საქმდებიან. 2015 წელს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების დეპარტამენტის კვლევით დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა 50,6% დაუსაქმებელია [5]. არც შემდეგ გამოსწორდა მდგომარეობა. იგივე ორგანიზაციამ უკვე 2017 წელს ჩატარებულ კვლევაში კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლად მხოლოდ 56,2% დაასახელა [3, გვ. 25]. ძირითადი მიზეზი, რის გამოც კურსდამთავრებულები ვერ პოულობენ სამუშაოს, არის დაბალი მოთხოვნა პროფესიაზე (23,7%), საკმარისი ცოდნის და უნარების უქონლობა (15%), გამოცდილების უქონლობა (23,1%).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ახალკურსდამთავრებულს რომ გამოცდილება არ ექნება, ეს ბუნებრივია, მაგრამ, რა უშლის ხელს ჩვენს უმაღლეს თუ პროფესიულ სასწავლებლებს, რომ ახალგაზრდები მოამზადონ მოთხოვნად პროფესიებში? ან რატომ ვერ აძლევენ ისინი მათ საკმარის ცოდნას და ვერ უვითარებენ უნარებს? საქართველოს მოსახლეობის უმუშევართა სტრუქტურაში, რომ 32,34% უმაღლესი განათლების, ხოლო 21,86% პროფესიული განათლების მქონე პირია [3, გვ. 26], ეს ამ

სასწავლებელთა სისუსტეს აშკარად ადასტურებს. დასაწინაა, რომ საქართველოს განათლების სისტემამ ბოლო პერიოდის რეფორმების არაერთი მცდელობის მიუხედავად, დასახულ მიზანს - ხარისხიან და დასაქმებაზე ორიენტირებულ განათლების უზრუნველყოფას, ვერ მიაღწია. კიდევ უფრო დასაწინაა, რომ 2018 წლის ინფორმაციით საქართველოს განათლების ხარისხის მაჩვენებელი 24 პოზიციით არის გაუარესებელი და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მიხედვით 137 ქვეყანას შორის 107-ე ადგილი გვიკავია [6, გვ. 88].

ქართველები ნიჭიერი ხალხიაო, - ამბობენ. ეს მოარული გამოთქმა უსაფუძვლოდ არ შექმნილა. ეს რომ ასეა, ამას ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ნაშრომ-ნაღვანი ადასტურებს. ეს გამოჩნდა წლების მანძილზე, მათ მიერ შექმნილ ინტელექტუალურ პროდუქტში, იქნება ეს მედიცინაში, არქიტექტურაში, ავიაციაში, საინჟინრო საქმეში, თუ სხვაგან. დღევანდელი ახალგაზრდობა მათი მემკვიდრეებია, მათი გენური კოდის მატარებლები. ნუ ჩავკლავთ ამ ნიჭს ამ ახალგაზრდებში, ნუ ვაქცევთ მათ ემიგრანტებად, გერმანიაში ყოლოს თუ მარწყვის კრეფაზე, მის დასაწყობებასა და შეფუთავზე გამოცხადებულ 467 ვაკანსიაზე, რიგში ჩამდგარ 97436 ქართველის უიმედო წევრებად...

შექმნილი პრობლემის ერთ-ერთი დიდი მიზეზი, ჩვენი აზრით, ალბათ, ამ სასწავლებლების დაფინანსების სიმცირეც არის. 2019 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან განათლებაზე გამოყოფილა 1499,8 მლნ ლარი [7, გვ. 14]. იმ წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასიგნებების მთლიანი მოცულობა 9975,5 მლნ ლარს შეადგენდა [1, გვ. 235], ანუ განათლებაზე დაიხარჯა მისი მხოლოდ 15%. ასეთ დროს, იმავე წელს თითქმის იმდენივეა (1387,7 მლნ ლარი) დახარჯული საბაზრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, გზების მოვლა-შენახვაზე, ახალი მაგისტრალის, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მშენებლობაზე [7, გვ. 13].

ჩვენი სტატიის წამკითხველმა შეიძლება იფიქროს, რომ შეცდომა გაგვეპარა. არა და არა. როგორც აღვნიშნეთ, განათ-

ლებზე დაიხარჯა 1499,8 მლნ ლარი, გზების მშენებლობასა და მოვლ-შენახვაზე - 1387,7 მლნ ლარი. პირველი საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მთლიანი ასიგნების (9975,5 მლნ ლარი) 15%-ია, მეორე - 13,9%. მათ შორის განსხვავება მხოლოდ 1,1%-ია.

ახლა, ჩვენ, ამ სტატიის ავტორები - ზაირა ლუდუშაური და ირინე ნიკლაური, ვეკითხებით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ავტორებს: გლობალურ სამყაროში ქართველი ერის ღირსეული პოზიციის წარმოსაჩენად თავისი წონადობით ქართველი ახალგაზრდობის ანუ ჩვენი მომავლის სწავლა-განათლება და გზების და მაგისტრალების მშენებლობა ტოლფასად მიგაჩნიათ? ვერ დავიჯერებ, რომ თქვენ ასე ანაწილებთ საკუთარ ოჯახის ბიუჯეტსაც და იქაც, თქვენი საცხოვრებელი სახლის კარ-მიდამოს მოწყობაზე იმდენსვე ხარჯავთ, რამდენსაც შვილების განათლებაზე. დიახ, გზებიც, მაგისტრალებიც, ხიდებიც და გვირაბებიც საქართველოს კარ-მიდამოა. დიახ, ისინიც საუკეთესო უნდა გვექონდეს, მაგრამ, როცა ბიუჯეტური რესურსი არასაკმარისია, მაშინ, პრიორიტეტებია ასარჩევი. ასეთ დროს, ახალგაზრდობის განათლებას არაფერი არ უნდა დაუდგეს წინ, მისი საპირწონეც არაფერი არ უნდა აიყოს! კი, ფორს-მაჟორულ სიტუაციებში - ომი, რევოლუცია და სხვა მისთანები, გამონაკლისებიც არსებობს, მაგრამ, მითხარით, მათ შორის რომელი გვექონდა საქართველოში 2019 წელს?

ასეთი მწირი დაფინანსებით, ცხადია, უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლები სტუდენტებს სათანადო ცოდნას ვერ აძლევენ. ეკონომიას ისინი ძირითადად შრომის ანაზღაურებაში აკეთებენ. 5-10 ლარი საათობრივი ხელფასი მათთან, ჩვეულებრივად, ნორმალურად ითვლება. ასეთ ანაზღაურებაზე კი მოდის მხოლოდ დაბალი კვალიფიკაციის მასწავლებელი. ჰოდა, შედეგიც სახეზეა - კურსდამთავრებულთა ნახევარი უმუშევარია სწორედ ცოდნის დაბალი დონის გამო.

ასე თუ გაგრძელდა, „განათლების მზე საქართველოში ვეღარ იკაშკაშებს“. ასე თუ გაგრძელდა, ჩვენი ახალგაზრდობა ჯიბეში უმაღლესის თუ პროფესიული სასწავლებლის დიპლო-

მით შავ მუშად თუ გამოადგება ევროპელ დამსაქმებელს. სამწუხაროდ, ეს პროცესი საქართველოში დაწყებულია - გერმანიაში მარწყვის კრეფაზე დასასაქმებლად საქართველოს დასაქმების სააგენტოსთან ქართველი ახალგაზრდების რიგი დგას.

აი, ეს არის ჩვენი დღევანდელი რეალობა!

გვინდა ჩვენ ასეთი საქართველო?

გვინდა ჩვენ ასეთი ქართველები?

ალარ გვიშველის იმით თავისმოწონება, თექვსმეტი საუკუნის წინ ბერძენი მოღვაწე თემიტიოსი (თუ ევგენიოსი), რომ აცხადებდა: - „მე განათლება კოლხეთში მივიღეო“. დღეს, თავი დღევანდელი განათლებით უნდა მოვიწონოთ. გამოგვიჩნდებიან ოპონენტები და გვეტყვიან: „ჩვენ კი ვასწავლით, მაგრამ, სტუდენტები ზარმაცობენო“. როცა კურსდამთავრებულთა უმრავლესობა დაუსაქმებელია, შეუძლებელია ეს სტუდენტების სიზარმაცეს დავაბრალოთ. ბოლოს და ბოლოს, არსებობს ინდივიდუალური სიზარმაცე, მაგრამ, კოლექტიური სიზარმაცე ხომ არ არსებობს? ჩვენი აზრით, სწავლა/სწავლების ხარისხია გასაუმჯობესებელი, ზოგიერთი შემთხვევაში, ფორმაც კი შესაცვლელი. ცოდნის ტესტურმა შემონმებამ მოკლა ცოდნის სიღრმე, იგი ზედაპირული გახადა. ამ შემთხვევაში ჩემი სიმპათია არა ტესტური, არამედ, ზეპირი გამოცდებისკენ იხრება. იქნებ გვეფიქრა ამაზე.

ამის გარდა, განსაკუთრებით მისახედია კერძო უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლები - ვინ ასწავლის და რას ასწავლის, თუ რა უნდა ასწავლონ, ეს კლასიფიკატორით არის განსაზღვრული, მაგრამ ვინ არიან ამ 5 თუ 10 ლარიან საათობრივ ანაზღაურებაზე მყოფ მასწავლებელთა რანგში, ეს სიღრმისეულად შესასწავლია. ამის გარკვევა არ იქნება ძნელი, თუ პრაქტიკაში შემოვიღებთ ლექცია-სემინარებზე კომისიურ დასწრებას. ეს ის მექანიზმია, რომლის „შიშით“ უცოდინარი მასწავლებელი თავს დაანებებს მასწავლებლობას, ან შეეცდება კვალიფიკაციის ამაღლებას, მცოდნე კი - კიდევ უფრო ისწავლის.

ეს მეთოდი საბჭოთა დროს არსებობდა და ნუ გვგონია, რომ ყველაფერი საბჭოური ცუდი იყო. ნუ ვინწონებთ თავს იმით, რომ

ჩვენი ცხოვრების გზა ამერიკულ ღირებულებებს დავუკავშირეთ, და, დიდი შემართებით ნუ ვსაუბრობთ ამერიკის სამშალო და უმაღლეს განათლების უპირატესობებზე. თურმე, ამერიკაშიც სერიოზულად დგას განათლების ხარისხის და მეთოდოლოგიის პრობლემა [8, გვ. 391-392]. ამერიკული კოლეჯების ეხლანდელი აბიტურიენტების 52 პროცენტს თურმე არ შეუძლია რუკაზე გაარკვიოს სად მდებარეობს ნიუ-იორკი, 30 პროცენტი კი, რუკაზე ვერ ახდენს წყნარი ოკეანის იდენტიფიცირებას [9]. ჩემი ოპონენტები მეტყვიან - „რა მოხდა, მათ მხოლოდ გეოგრაფია არ სცოდნიათ“; ამერიკელმა პოლიტოლოგმა ზ. ბჟეზინსკიმ, კი, სწორედ ამ და ბევრ სხვა მიზეზის გამო, უმკაცრესი შეფასება მისცა ამერიკის განათლების სისტემას და თქვა: „უნდა ვალიარო, რომ ამერიკელი ხალხი უვიცია. მათ არავითარი წარმოდგენა არა აქვთ გარესამყაროზე“ [9].

ასეთ დროს, მსოფლიოში მხოლოდ 20 წამყვარი უნივერსიტეტია და აქედან 18 ამერიკის შეერთებულ შტატებშია. რადგან ამერიკა, რომელსაც ამდენი წამყვანი უნივერსიტეტი აქვს, და, მაინც ფლობს პრობლემებს განათლებაში, აბა, ჩვენ, რაღა გამონაკლისი ვიქნებით(!). მთავარია დავინახოთ და ვალიაროთ ეს პრობლემები, და, მოვძებნოთ მათი გადაწყვეტის გზები. ეს უნდა გააკეთოს უკლებლივ ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებამ - კერძომაც და სახელმწიფოებრივმაც, ხოლო ამ ღონისძიების თაოსანი უნდა იყოს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო.

დასკვნა. ჩვენი და ჩვენზე უფრო კომპეტენტური მეცნიერების დაკვირვებით, რომლებიც ჩვენ ამ სტატიაში მოვიხსენიეთ, იკვეთება საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შეუსაბამობა განათლებასთან. უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლების კურსდამთავრებულთა სრული დასაქმების მიზნით ეს დისბალანსი აუცილებლად უნდა გამოისწორდეს. ეს მიიღწევა განათლების ხარისხის ამაღლებით, სწავლა/სწავლების ფორმების დახვეწით, და, რაც მთავარია, განათლების სფეროს ბიუჯეტური დაფინანსების გაზრდით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დანელია ს. ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ინდექსის მნიშვნელობა საქართველოში. ჟ. „ეკონომიკა“. 2020. #3-4.
2. საქართველოს სტატისტიკური სამსახურის ინფორმაცია.
3. ცარციძე მ. შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა და ახალგაზრდების დასაქმების თავისებურებები საქართველოში. ჟ. „ეკონომისტი“. #2. 2019.
4. მეტრეველი რ. განათლების მზე საუკუნეებში იკაშკაშებს! ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“. #1. 2018.
5. კვლევა 2015. <http://www.mes.gov.ge/Tracer Study>. 12
6. გაგნიძე ი. კლასტერსა და სამეწარმეო უნივერსიტეტებს შორის სისტემური კავშირის როლი ეკონომიკის განვითარებაში. ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“. #1. 2018.
7. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2021-2024 წლებისთვის (გადამუშავებული ვარიანტი). საქართველოს მთავრობა. თბ., 2020.
8. კვესელავა ი. ქვეყანას სჭირდება კომპასიანი ხელისუფლება, რომლის ხომალდმაც უზიფათოდ და დროულად უნდა მიიღწიოს სასურველ ნაპირს. ჟ. „ბიზნესსტრატეგია“. #3-4. 2018.
9. ბუზინსკი ზ. სტრატეგიული ხედვა: ამერიკა და გლობალური ძლიერების კრიზისი. 2012.

REFERENCES:

1. Danelia S. The Importance of the Knowledge-Based Economy Index in Georgia. Journal “Economics”. 2020. # 3-4.
2. Statistical Yearbook of Georgia. Tb., 2020.
3. Tsartsidze M. Active labor market policy and peculiarities of youth employment in Georgia. journal “Economist”. # 2. 2019.
4. Metreveli R. The sun of education will shine for centuries! journal “Economics and Business”. # 1. 2018.
5. Research 2015. <http://www.mes.gov.ge/Tracer Study>. 12
6. Gagnidze I. The role of the systemic link between the cluster and the entrepreneurial universities in the development of the economy. journal “Economics and Business”. # 1. 2018.

7. Basic country data and directions for 2021-2024 (revised version). The government of Georgia. Tb., 2020.

8. Kveselava I. The country needs a compass government whose ship must reach the desired shore safely and on time. journal "Business-engineering". # 3-4. 2018.

9. Bzezinski Z. Strategic Vision: America and the Global Power Crisis. 2012.

GRADUATION FROM HIGHER AND VOCATIONAL SCHOOL DOES NOT ALWAYS END WITH EMPLOYMENT

Zaira Gudushauri,

Academic Doctor of Economics
Professor of Georgian Technical University

Irine Tsiklauri,

Doctoral Candidate of
Georgian Technical University

RESUME

In the article - "**Graduation from higher and vocational school does not always end with employment**" – it is discussed the problem of youth unemployment and the reason for this is the incompatibility of the higher and vocational education system in Georgia with the requirements of the labor market.

Youth is dominant among the unemployed population of Georgia. They graduate from vocational schools or colleges but do not work according to their professions, it is proved by labor market research, as well as by 2017 survey of the Department of Vocational Education of the Ministry of Education and Science of Georgia, in their conclusion part it was mentioned 56.2 graduates in employment.

The authors of the article mention the demand-labor imbalance in the labor market as the first reason for youth unemployment, and one of the reasons for the lack of knowledge and skills, in the market among young people is the lack of state funding for education. With such small resources, higher and vocational schools find it difficult to hire highly qualified professional teachers, which obviously reduces the quality of teaching. Due to low funding, vocational and higher education institutions (especially in the private sector) make savings mainly on wages. An hourly salary of 5-10 GEL is considered as normal with them. Only the low-qualified teachers come to such payment. The authors consider that almost half of the graduates are unemployed precisely because of their low level of knowledge. The authors consider the test method of knowledge control as the second reason and believes that this method makes it impossible to assess the depth of knowledge of the student.

The article ends with a summarizing conclusion.

Key words: Employment; Youth unemployment; High education; Vocational education; Labor Market; Demand-supply in the labor market.



**აბროსასურსათო სექტორში არსებული
გამონვავები და პერსპექტივები**

doi.org/10.36962/104/6-9/20216968

პაატა კოღუაშვილი

სტუ პროფესორი

paata_koguashvili@hotmail.com

ლეილა გეგენავა

სტუ ასოც. პროფესორი

რეზიუმე

FAO-ს მონაცემებით უახლოეს მომავალში მოსალოდნელია მსოფლიო მოსახლეობის 33%-იანი ზრდა. მოსახლეობის რაოდენობა, არსებული 7.7 მილიარდიდან, 2050 წლისათვის თითქმის 10 მილიარდს მიაღწევს.

მოსახლეობის ზრდა გამოიწვევს სურსათზე მოთხოვნის ძლიერ ზრდას. 2050 წლისათვის საჭირო იქნება 70 პროცენტით მეტი საკვები პროდუქტების წარმოება. სოფლის მეურნეობის წილი კი გლობალურ მშპ-ში დაახლოებით 4%-ია.

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის სექტორში განხორციელებული ინვესტიციები და ინოვაციები იზრდება მოსავლიანობის ზრდის ტემპში საკმაოდ დაბალ ნიშნულზეა. სოფლად მცხოვრები მოსახლეობა მცირდება და დაბერების პროცესი აქტიურად მიმდინარეობს, რაც სერიოზულ გავლენას ახდენს სამუშაო ძალაზე. ამას ემატება ისიც, რომ ბუნებრივი რესურსების ამჟამინდელი გამოყენება არარაციონალურია და ძლიერ წნეხს განიცდის. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 25 პროცენტი ძლიერ დეგრადირებულია და მინა უკვე დიდი ხანია აღიარებულია შეზღუდულ რესურსად, ხოლო წყლის რე-

სურსები ძლიერ დატვირთვას ექვემდებარება და მსოფლიოში წყლის დეფიციტია. სურსათის დანაკარგები და ნარჩენები სექტორის არაეფექტური მხარე და ძლიერი საფრთხეა გარემოსთვის. მსოფლიოში წარმოებული სურსათის 33-დან 50%-მდე არასდროს გამოიყენება საკვებად, ხოლო ამ პროდუქტების საფასური 1 ტრილიონ აშშ დოლარს აღემატება.

აღნიშნულმა ტენდენციებმა გამოიწვია სურსათის დეფიციტის პრობლემა. შედეგად მსოფლიოში გამძაფრდა სიღარიბე და შიმშილი.

ჩამოთვლილი გამონკვევების დასაძლევად საჭიროა მთავრობების, ინვესტორებისა და ინოვაციური სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების ერთობლივი ძალისხმევა, რათა გაზარდონ პროდუქტიულობა და მხარი დაუჭირონ ისეთ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესს, რომელიც ინოვაციებსა და ცოდნას ეფუძნება.

საკვანძო სიტყვები: აგროსასურსათო სექტორი, სიღარიბე, შიმშილი, სასურსათო უშიშროება, სურსათის დანაკარგები და ნარჩენები.

შესავალი

მსოფლიო დგას ცვლილებების წინაშე, რომლებიც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ გარემოზე და ადამიანის ცხოვრების ყოველ ასპექტზე. ამჟამად, მსოფლიოში 7.8 მილიარდი ადამიანიდან 588 მილიონი ცხოვრობს უკიდურეს სიღარიბეში [World Data Lab, 2019], 820 მილიონი ადამიანი შიმშილობს, ხოლო 2.5 მილიარდი განიცდის საკვები მიკროელემენტების დეფიციტის გარკვეულ ფორმას [www.fao.org]. მოსახლეობა იზრდება, აქტიურად მიმდინარეობს მოსახლეობის დაბერებისა და საქალაქო დასახლებებში მიგრაციის პროცესები, რაც აისახება სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა და საკვები პროდუქტების მოთხოვნაზე. აღნიშნული ტენდენცია გარდაქმნის სურსათის მიწოდების ჯაჭვის მუშაობის თავისებურებას და ამასთანავე, ბუნებრივი რესურსების გადაჭარბებული ექსპლუატაციისა და ნიადაგის დეგრადაციის გამოჩვენს გარშემო არსებულ სამყარო-

როს. ამავდროულად, აღსანიშნავია კლიმატის ცვლილების შედეგების ზეგავლენა მსოფლიოში სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობაზე. გარდა ამისა, უთანასწორობა, დისკრიმინაცია და ადამიანის უფლებების დარღვევა (ადამიანის სათანადო და უსაფრთხო კვების უფლების ჩათვლით), ამწვავებს ჩამოთვლილ შედეგებს, განსაკუთრებით მცირე მეურნეობებისათვის.

2015 წელს, გაერომ და საერთაშორისო საზოგადოებამ, 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების დღის წესრიგით, აიღეს სიღარიბის აღმოფხვრის ვალდებულება [Transforming Our World: The 2030 Agenda for Sustainable Development.].

რამდენად ახლოს ვართ აღნიშნული მიზნის მიღწევასთან?

სურსათზე მოთხოვნა მუდმივად ზრდადია, 2050 წლისათვის საჭირო იქნება 70 პროცენტით მეტი საკვები პროდუქტების წარმოება. ამასობაში, სოფლის მეურნეობის წილი გლობალურ მშპ-ში დაახლოებით 4%-ია. რეალობა ასეთია, ბოლო პერიოდში აღნიშნულ სფეროში ინოვაციები ძალიან მცირე მასშტაბით განხორციელდა. ამასთან, იზრდება სხვაობა ცალკეული სახელმწიფოების ფარგლებში სურსათზე მოთხოვნილებასა და მისი წარმოების მასშტაბებს შორის. სურსათზე მოთხოვნილების სულ უფრო მზარდი ნაწილი კმაყოფილდება საერთაშორისო ვაჭრობის ხარჯზე, რის გამოც აგრარული წარმოების და სასურსათო დანიშნულების პროდუქციის გლობალურმა ექსპორტმა 3.5 ტრილიონ აშშ დოლარს მიაღწია (მთლიანი ექსპორტის 18.4%). არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ სურსათის დეფიციტი და შიმშილი მომავალ ათწლეულებში პრობლემა აღარ იქნება. მსოფლიო საჭიროებს რადიკალურ ცვლილებებს: თუ აგრარული წარმოების ამჟამინდელ გზას გავყვებით, ამით პრობლემა არ გადაიჭრება.

ჩამოთვლილი გამოწვევების დასაძლევად საჭიროა მთავრობების, ინვესტორებისა და ინოვაციური სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების ერთობლივი ძალისხმევა. აღნიშნული გამოწვევები შესაძლოა დაძლეულ იქნას, თუმცა ამისათვის აგრარული წარმოების არსებული სისტემის გარდაქმნა უნდა განხორციელდეს.

მთელი რიგი გლობალური ტენდენციები გავლენას ახდენს სასურსათო უშიშროებაზე (უსაფრთხოებაზე), სიღარიბეზე და სურსათისა და სოფლის მეურნეობის სისტემის მდგრადობაზე. აგრარული წარმოების მემკვიდრეობით მიღებულ მოდელზე ოთხი ძირითადი ფაქტორი ახდენს ზენოლას, მათი გადანყვეტის გარეშე სექტორი ვერ გაუმკლავდება მომავალში არსებულ მოთხოვნებს. სწორედ ისინი აძლიერებენ შიმშილისა და საკვების დეფიციტის პრობლემას მსოფლიოში, ზენოლას ახდენენ სოფლის მეურნეობაზე და სექტორის უნარზე - შეძლოს მომავალში არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილება. ეს ფაქტორებია: დემოგრაფია, ბუნებრივი რესურსების სიმწირე, კლიმატის ცვლილება და სურსათის დანაკარგები და ნარჩენები.

შევეცდებით განვიხილოთ აღნიშნული ფაქტორები ცალ-ცალკე:

1. დემოგრაფიული ზრდის მაღალი ტემპი გამოიწვევს სურსათზე მოთხოვნის ძლიერ ზრდას.

მოსახლეობა იზრდება: მომავალ ათწლეულებში, მოსალოდნელია მსოფლიო მოსახლეობის 33-პროცენტის ზრდა. მოსახლეობის რაოდენობა, არსებული 7.7 მილიარდიდან, 2050 წლისათვის თითქმის 10 მილიარდს მიაღწევს. 2100 წლისათვის, პროგნოზით, მსოფლიო მოსახლეობა 11.2 მილიარდს მიაღწევს, თუმცა უფრო თამამი პროგნოზებით, მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობა ზემოსწინებულზე რამდენიმე მილიარდით მეტი იქნება.

მოსახლეობის ზრდა გამოიწვევს სურსათზე მოთხოვნის ძლიერ ზრდას. ეკონომიკური ზრდის თუნდაც მოკრძალებული სცენარის შემთხვევაში, უხეში გათვლებით, სურსათზე მოთხოვნა, 2013 წლის სოფლის მეურნეობის გამოშვებასთან შედარებით, დაახლოებით 50 პროცენტით გაიზრდება.

ამასობაში, დემოგრაფიული სიტუაციის ცვლილების შედეგად, იცვლება გლობალური კვების რაციონი, რაც გულისხმობს მაღალი კვებითი ღირებულების ცხოველურ ცილებზე მოთხოვნის ზრდას. აღნიშნული ტენდენცია, განპირობებულია როგორც, მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის პროცესით ასევე, ურბანიზაციითა და შემოსავლების ზრდით.

ჰუმანიზაციის პროცესი იზრდება: გლობალური ურბანიზაციის შედეგად 2050 წელს მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით 1.3 მლრდ. ადამიანით ზრდის პირობებში ქალაქად 2.4 მილიარდი ადამიანის მატებაა მოსალოდნელი (ნაწილობრივ - ბუნებრივი მატების, ნაწილობრივ კი - სოფლიდან მოსახლეობის ქალაქ დასახლებებში მიგრაციის ხარჯზე). ურბანიზაცია ახდენს ინფრასტრუქტურის განვითარების სტიმულირებას, მაგალითად: სამაცივრე მეურნეობების განვითარება, რომელიც მალფუჭებადი საქონლით ვაჭრობის საშუალებას იძლევა. მას ასევე აქვს ტენდენცია გაზარდოს შემოსავლები გადამუშავებულ საკვებ პროდუქტებზე და ასევე, ცხოველური წარმოშობის საკვებ პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდით, რაც კვების რაციონის ცვლილების ნაწილს წარმოადგენს. ერთ სულ მოსახლეზე ხორცის საშუალო წლიური მოხმარება 2030 წელს საპროგნოზო მაჩვენებლით 45.3 კილოგრამს მიაღწევს, მაშინ, როდესაც აღნიშნული მაჩვენებელი 1997-1999 წლებში 36.4 კილოგრამს შეადგენდა.

თუმცა, მდიდარ კვების რაციონს უარყოფითი მხარეც აქვს - ხორცის ჭარბი მოხმარება. განვითარებულ ქვეყნებში ახალი-სალი საკვები პროდუქტების ნაკლებობამ, სწრაფი კვების პროდუქტებსა (ბევრი მათგანი ხორცისგან მზადდება) და გადამამუშავებულ საკვებ პროდუქტებზე დამოკიდებულებამ, გამოიწვია ბავშვთა ჭარბწონიანობის პრობლემა და ქრონიკული დაავადებების, ისეთი როგორცაა დიაბეტი, ჰიპერტონია, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, მქონე ადამიანთა რაოდენობის ზრდა. აღნიშნული ქრონიკული დაავადებები კი ორმაგ ტვირთად აწვება განვითარებად ქვეყნებს, სადაც ინფექციური დაავადებების მაჩვენებელი კვლავაც ძალიან მაღალია.

მნიშვნელოვანია ის შედეგებიც, რასაც ხორცის წარმოების ზრდა აყენებს გარემოს: სოფლის მეურნეობაში წყლის მოხმარების თითქმის მეოთხედი საქონლის მოშენებაზე მოდის, ასევე, მეცხოველეობის სექტორი სათბურის გაზების გამოფრქვევის (ემისიის) დაახლოებით 18 პროცენტზეა პასუხისმგებელი. მართივად რომ ვთქვათ: მოსახლეობის ზრდა ნიშნავს მეტ მოთხოვ-

ნას სურსათზე, რაც თავის მხრივ ინვესტ გამოშვების ზრდას. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემებით [Realizing the potential of digitalization to improve the agri-food system proposing a new international digital council for Food and Agriculture”, FAO, 2020,] სოფლის მეურნეობაში დასაქმებულებს 2050 წლისათვის 70 პროცენტით მეტი სურსათის წარმოება მოუწევთ. წარმოებული სურსათი მორგებული უნდა იყოს ქალაქის მზარდი მოსახლეობის მოთხოვნებზე, აღნიშნული ფაქტორი კი მოიცავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მთელ ღირებულებათა ჯაჭვს.

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის სექტორში განხორციელებული ინვესტიციები და ინოვაციები ზრდიან პროდუქტიულობას, მოსავლიანობის ზრდის ტემპი შენელებულია და საკმაოდ დაბალ ნიშნულზეა. არანაკლებ აქტუალურია კითხვა: ვინ იქნება ჩართული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში? მაშინაც კი, როდესაც მოთხოვნა საკვებ პროდუქტებზე იზრდება, სოფლად მცხოვრები მოსახლეობა მცირდება. ამასთანავე, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დაბერების პროცესი აქტიურად მიმდინარეობს, რაც სერიოზულ გავლენას ახდენს სამუშაო ძალაზე, წარმოების მოდელებზე, მინათსარგებლობაზე, სასოფლო დასახლებებში სოციალურ წყობაზე და ზოგადად, ეკონომიკურ განვითარებაზე.

2. ბუნებრივი რესურსების ამჟამინდელი გამოყენება არარაციონალურია და ძლიერ წნებს განიცდის.

მსოფლიოში, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები წარმოებისათვის უფრო და უფრო მეტად გამოუსადეგარი ხდება, რაც განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

- სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 25 პროცენტი უკვე შეფასებულია, როგორც ძლიერ დეგრადირებული, ხოლო 44 პროცენტი - ზომიერად, ან მცირედით დეგრადირებული.
- წყლის რესურსები ძლიერ დატვირთვას ექვემდებარება, მაშინ როდესაც სოფლის მოსახლეობის 40 პროცენტზე მეტი სასოფლო ტერიტორიებზე ცხოვრობს, სადაც წყლის დეფიციტია.
- მინა უკვე დიდი ხანია აღიარებულია შეზღუდულ რესურს-

სად, თუმცა უფრო ადრეულ პერიოდებში დეგრადირებული სასოფლო-სამეურნეო სავარგული უბრალოდ ჩანაცვლებული იქნებოდა ახალი დაუმუშავებელი სასოფლო - სამეურნეო მიწებით. დღესდღეობით ასეთი მიწები იშვიათია, ხოლო დარჩენილის მდგრადი მართვა და გრძელვადიანი დამუშავება უმეტესად შეუძლებელია.

- სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შემცირებამ/ნაკლებობამ გამოიწვია აგრარული პროფილის მეურნეობების შემცირება (როგორც რაოდენობრივად, ასევე საშუალო სიდიდითაც), წარმოებული პროდუქციის შემცირება ერთ სულზე, უმინო მეურნეობების მატება, ჩამოთვლილი ფაქტორები სოფლად არსებულ სიღარიბეს საგრძნობლად ამწვავებს.

- სოფლის მეურნეობა წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დეგრადაციის ძირითად გამომწვევ მიზეზსა და მის ირიბ მსხვერპლს. ამასთანავე, სოფლის მეურნეობის განსხვავებული ასპექტები აღნიშნული პროცესის განვითარებას ხელს უწყობენ. ნიადაგის ეროზიას იწვევს ნიადაგის დამუშავება წესების დარღვევით, ფერდობების უსისტემო ათვისება, კულტურების არასწორი შერჩევა, შეუფერებელი, ან არასწორი სასოფლო-სამეურნეო მექანიზმების გამოყენება, ნიადაგის ზედაპირის დამცავი მცენარეული საფარის გამეჩხერება, საძოვრების ინტენსიური გამოყენება და გადაძოვება, ტყის მასივების უსისტემო გაკაფვა. მოსავლიანობის აღსადგენად- გასაზრდელად სასუქების დაუბალანსებელი გამოყენება კი საკვები ნივთიერებების დისბალანსს იწვევს.

პირდაპირი და ირიბი ფაქტორები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო მიწების დეგრადაციას იწვევს:

სასოფლო-სამეურნეო მიწების დეგრადაციას ბევრი განსხვავებული მიზეზი აქვს:

- მცენარეული საფარის უსისტემო გაკაფვა: სოფლად მცხოვრები მოსახლეობა უსისტემოდ კაფავს ბუნებრივ ტყეს და ტყის მასივებს, რათა მოიპოვოს შეშა და სამშენებლო მასალა. ტყის უსისტემო გაკაფვამ გამოიწვია წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზია, რამაც ნიადაგი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყ-

ვანისათვის შეუფერებელი გახადა.

- საძოვრების ინტენსიური გამოყენება და გადაძოვება: იგი პირდაპირ ინვევს მცენარეული საფარის რაოდენობისა და ხარისხის შემცირებას, რაც თავის მხრივ ინვევს ნიადაგის ფიზიკური თვისებებისა და ეროზიის მიმართ მდგრადობის შემცირებას.

- არასწორი თესლბრუნვა: ეკონომიკური ნნეხის გამო, ფერმერები ახორციელებენ მარცვლეულ კულტურებზე დაფუძნებულ ინტენსიურ თესლბრუნვას, უფრო მეტად დაბალანსებული როტაციის ნაცვლად.

- სასუქების არაბალანსირებული გამოყენება: იქ, სადაც ნიადაგის ნაყოფიერება შემცირებულია, ფერმერები მოსავლის შენარჩუნებას სასუქების გამოყენების მეშვეობით ცდილობენ, თუმცა ამას ნიადაგში საკვები ნივთიერებების დისბალანსამდე მიყვავართ.

3. კლიმატის ცვლილება ამცირებს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობას

კლიმატის ცვლილება წარმოადგენს ობიექტურ რეალობას და მისი ზემოქმედება გარემოზე მზარდია. კლიმატის ცვლილების სამთავრობათაშორისო საბჭოს (IPCC) 2014 წლის ანგარიშის მიხედვით, სათბურის გაზების გამოფრქვევის (ემისიის) (GHGs) დონემ უმაღლეს ნიშნულს მიაღწია.

სოფლის მეურნეობა წარმოადგენს სათბურის გაზების ერთ-ერთ ძირითად მწარმოებელს: უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში სათბურის გაზების გამოფრქვევა მინათსარგებლობის შედეგად თითქმის გაორმაგდა. მსოფლიოში მეთანისა და აზოტის ოქსიდის ემისიის უდიდესი წილი სოფლის მეურნეობაზე მოდის. პროგნოზით, მოიაზრება აღნიშნული მაჩვენებლის ზრდა 2050 წლისათვის.

პროდუქტიულობის შემცირება სოფლის მეურნეობაში: კლიმატის ცვლილების გვერდით ეფექტს ნალექების ცვალებადობის ზრდა და გვალვისა და წყალდიდობის სიხშირის მატება წარმოადგენს, რაც სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის შემცირებას ინვევს. მიუხედავად იმისა, რომ მა-

ღალმა ტემპერატურამ შეიძლება გააუმჯობესოს კულტურის ზრდის პროცესი, კვლევებმა აჩვენა, რომ მოსავლიანობა მნიშვნელოვნად მცირდება, როდესაც დღის მანძილზე ტემპერატურა აღემატება გარკვეულ კულტურებისთვის ჩვეულ, სპეციფიკურ დონეს.

კლიმატის ცვლილება გავლენას მოახდენს საკვები პროდუქტების წარმოების ყველა ასპექტზე: ნალექების ცვალებადობის ზრდასა და გვალვისა და წყალდიდობის სიხშირის მატებას მოსავლიანობის შემცირების გამოწვევა შეუძლია. კლიმატის ცვლილება ხელს შეუწყობს არსებულ ხანგრძლივ ეკოლოგიურ პრობლემებს, როგორცაა მინისქვეშა წყლების გამოლევა და ნიადაგის დეგრადაცია, რაც თავის მხრივ გავლენას მოახდენს სურსათისა და სოფლის მეურნეობის წარმოების სისტემებზე.

კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის მცდელობის გარეშე, სასურსათო უსაფრთხოებას მნიშვნელოვანი რისკები შეექმნება: კლიმატის ცვლილება გავლენას ახდენს გლობალურ სასურსათო უსაფრთხოებაზე, აისახება არა მხოლოდ სურსათის მიწოდებაზე, არამედ ასევე სურსათის ხარისხზე, სურსათზე წვდომასა და მის უტილიზაციაზე.

4. სურსათის დანაკარგები და ნარჩენები - სექტორის არაეფექტური მხარე და ძლიერი საფრთხე გარემოსთვის.

მსოფლიოში წარმოებული სურსათის 33-დან 50%-მდე არასდროს გამოიყენება საკვებად, ხოლო ამ პროდუქტების საფასური 1 ტრილიონ აშშ დოლარს აღემატება. თვალსაჩინოდ წარმოსადგენად, აშშ-ში სურსათის დანაკარგები/ნარჩენები მშპ-ის 1.3%-ს წარმოადგენს, რაც მსოფლიოში ეკონომიკის სიდიდით უღარიბესი 62 ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ჯამური სიდიდის ეკვივალენტურია. სურსათის დანაკარგები/ნარჩენები - ეს არის ბაზრის არაეფექტური მხარე, რომლის მსგავსიც სხვა სექტორებში არ ფიქსირდება. ამავე დროს, მსოფლიოში არასწორი კვების გამო ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსწორებაზე გაღებული ხარჯები და ის ზარალი, რასაც მოსახლეობა აღნიშნული გარემოების გამო განიცდის (ძირითადად, საშუალო და მაღალგანვითარებულ ქვეყნებში) ყოველწლიურად და-

ახლოებით 1.3 ტრილიონ აშშ დოლარს აღწევს.

ამასობაში 800 მილიონი ადამიანი განიცდის შიმშილს ყოველდღიურად. ყოველი მათგანი შესაძლოა გამოკვებულ იქნას იმის მეოთხედზე ნაკლებით, რაც აშშ-ში, გაერთიანებულ სამეფოში და ევროპაში ყოველწლიურად სურსათის დანაკარგებად და ნარჩენებად იქცევა.

იმის გამო, რომ ჩვენ გვაქვს სურსათის მინოდების გლობალური სისტემა, სურსათზე დასაველეთში არსებულმა მოთხოვნამ შესაძლოა გაზარდოს განვითარებად ქვეყნებში ექსპორტისათვის წარმოებული სურსათის ფასი, ასევე მოახდინოს ადგილობრივი მოსახლეობის საკვებად საჭირო კულტურების ცვლილება/გამოდევნა/ჩანაცვლება. უფრო მეტიც, შიმშილი არ არის მხოლოდ პრობლემა, რომელიც ხდება „სადმე სხვაგან“ – იგი ყველა ქვეყანაში არსებობს, მიუხედავად მისი განვითარების დონისა.

ამასთან ერთად, სურსათის დანაკარგები და ნარჩენები ზიანის მომტანია სხვა მხრივაც - გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების ასპექტით. საკვები პროდუქტების წარმოება, რომელიც საბოლოოდ არ მოიხმარება, საჭიროებს მინის ფართობს, რომელიც ფაქტობრივად ჩინეთის ტერიტორიას აღემატება - გაჩეხილი ტყეები, გადაშენების ზღვარზე მისული სახეობები, დეგრადირებული ნიადაგი და ყველაფერი სურსათის სანარმოებლად, რომელიც საბოლოოდ უბრალოდ გადაყარეს. გარდა ამისა, სურსათზე, რომელიც არასდროს მოიხმარება, მსოფლიოში მტკნარი წყლის მოხმარების 25 პროცენტი მოდის.

გარდა ამისა, რომ მოუხმარებელი სურსათის წარმოებისათვის გამოყენებული ყველა რესურსი ფუჭად დაიხარჯა (მინა, წყალი, სამუშაო ძალა, ენერჯია, წარმოება და შეფუთვა), როდესაც სურსათის დანაკარგები და ნარჩენები ნაგავსაყრელზე ხვდება (მათი უმეტესი ნილი კი სწორედ ნაგავსაყრელზე ხვდება), ის ჟანგბადის წვდომის გარეშე იხრნება და ქმნის მეთანს, რომელიც ნახშირორჟანგზე 23-ჯერ უფრო მომაკვდინებელია. სურსათის დანაკარგები და ნარჩენები, ჩვენი გარემოს განადგურების მთავარი მონაწილეა.

5. შედეგი: სიღარიბე და შიმშილი

აღნიშნულმა ტენდენციებმა გამოიწვია სურსათის დეფიციტის პრობლემა. შედეგად მსოფლიოში გამძაფრდა სიღარიბე და შიმშილი: 588 მილიონი ადამიანი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს, 820 მილიონი ადამიანი ქრონიკული შიმშილის მდგომარეობაში იმყოფება, ხოლო 2.5 მილიარდი - საკვები მიკროელემენტების ქრონიკულ დეფიციტს განიცდის. აღნიშნული 820 მილიონი ადამიანიდან, მსოფლიო ბანკის შეფასებით, მესამედი განვითარებადი ქვეყნების სასოფლო დასახლებებში ცხოვრობს. მათი უმეტესობა ცხოვრობს ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური კრიზისი და ძალადობრივი კონფლიქტებია, რის გამოც მათ სოციალური დაცვის მექანიზმებზე წვდომა, ფაქტობრივად, არ გააჩნიათ.

აღნიშნულ ტენდენციებთან ბრძოლისათვის მთელი რიგი მიმართულებები არსებობს. უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში სურსათისა და სოფლის მეურნეობის სექტორში უზარმაზარი, წარმატებული ნაბიჯები გადაიდგა: მწვანე რევოლუციის ტექნოლოგიებმა 1960 წლიდან გაასამშაგეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება და დარგი სულ უფრო გლობალიზებული გახდა. მსოფლიოში სიღარიბისა და შიმშილის აღმოსაფხვრელად საჭიროა აღნიშნული ტენდენციების გამოვლენა და ასევე, ბრძოლა შემოსავლების უთანასწორობის წინააღმდეგ. საჭიროა ზრდის სტრატეგიების შექმნა, რომელიც კონცენტრირებული იქნება არა მხოლოდ სოფლის მეურნეობაზე, არამედ სამუშაო ადგილების შექმნასა და შემოსავლების დივერსიფიკაციაზე.

ამასთან, ერთი რამ ცხადია: ბიზნესი, ჩვეული წესებით ვეღარ იმუშავებს. სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ანგარიშის თანახმად, მსოფლიოში შიმშილის აღმოსაფხვრელად საჭირო დამატებითი ინვესტიციები წელიწადში 265 მილიარდ აშშ დოლარს საჭიროებს.

დასკვნა

ინოვაციურ ტექნოლოგიებზე და ცოდნაზე დამყარებული სოფლის მეურნეობის დარგი აღარ იქნება დამოკიდებული მთლიან არეალზე ერთგვაროვანი რაოდენობის წყლის, სასუქებისა და პესტიციდების გამოყენებაზე. ამის ნაცვლად, მეურნეები გამოიყენებენ აღნიშნული რესურსების მინიმალურ, საჭირო რაოდენობას გათვლილს კონკრეტული ფართობისათვის. მათ საშუალება ექნებათ მოიყვანონ კულტურები მშრალ, გვალვიან ადგილებში და გამოიყენონ უხვი და სუფთა რესურსები, როგორცაა მზე და ზღვის წყალი.

თანამედროვე სასოფლო მეურნეობებმა და სანარმოებმა განსხვავებული სახით უნდა იმუშაონ, ძირითადად ამის მიზეზს ტექნოლოგიური უპირატესობების გამოყენება წარმოადგენს.

მომავალში სოფლის მეურნეობამ უნდა გამოიყენოს რთული ტექნოლოგიები და მოწინავე მონოკულტურები. ზუსტი მინათ-მოქმედება და რობოტული სისტემების გამოყენება უზრუნველყოფს უფრო მომგებიან, ეფექტურ, უსაფრთხო და გარემოსთვის ნაკლები ზიანის მომტან აგრარულ წარმოებას.

FAO-ს ანგარიშის მიხედვით, აღნიშნული ძალისხმევა საკმარეს რესურსს მოითხოვს: 2030 წლისთვის შიმშილის აღმოფხვრა და დემოგრაფიულ წნეხთან გამკლავება 265 მილიარდი აშშ დოლარის წლიურ ინვესტიციას მოითხოვს.

მთავრობას შეუძლია საკვანძო როლი ითამაშოს სურსათის დეფიციტის აღმოფხვრის საკითხში, რაც გულისხმობს უფრო ფართო და თვალსაჩინო როლის თამაშს, ვიდრე ტრადიციული მარეგულირებელი და ხელშემწყობი ფუნქციებია. ამჟამინდელ გარდაქმნის ეპოქაში არავინ არ უნდა მოქმედებდეს მარტო. აუცილებელია ფართო და საერთაშორისო თანამშრომლობის ჩამოყალიბება და ამასთანავე, ინოვაციების სტიმულირებისათვის საჭირო მოქნილობის შენარჩუნება. მთავრობას შეუძლია სამიზნე პროგრამების შექმნის სტიმულირება მოახდინოს, რომელიც მიმართული იქნება სასურსათო უშიშროების (უსაფრთხოების) დილემის გადაწყვეტაზე. აღნიშნული პროგრამები, არ უნდა მისდევდნენ მხოლოდ ტიპიურ ეკოსისტემურ და კლას-

ტერულ მიდგომას, რომლის დროსაც მთავრობა ქმნის ეკონომის-ტემას და უზრუნველყოფს გარემოს, რომელშიც მოთამაშეებს კონკურენცია შეუძლიათ. ასეთი სახის პროგრამები მოითხოვს საერთაშორისო თანამშრომლობის დამყარებას, რომელიც ეფუძნება პარტნიორულ ურთიერთობებს საჯარო, კერძო და სამეცნიერო-კვლევით სექტორებს შორის, სადაც დაფინანსების ოდენობა იზომება პრობლემის გადაწყვეტის შედეგით და საუკეთესო სპეციალისტების მოზიდვით. პროგრამები უნდა იყოს მიმართული ახალი პროდუქტების, გადაწყვეტილებებისა და ბაზრის ლიდერების შექმნაზე. თუმცა ამისათვის აუცილებელია მთავრობამ აილოს პასუხისმგებლობა, გადადგას ნაბიჯი და ჩამოაყალიბოს ზუსტი სტრატეგია აღნიშნული მიზნის მისაღწევად. ასევე კოვიდ პანდემიის პირობებში სურსათით საგარეო ვაჭრობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ლოგისტიკური პრობლემების გადაჭრას, რაც ბოლო პერიოდის დაკვირვებით ძალიან ხშირია.

თუ კრიტიკულად მივუდგებით მემკვიდრეობით მიღებულ სოფლის მეურნეობის ტრადიციულ მოდელს და განვახორციელებთ ინოვაციურ პროგრამებს, სახელმწიფოებს შესაძლებლობა მიეცემათ:

- თანდათან შეამცირონ დამოკიდებულება აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტზე, რომლის წილი იმპორტის მთლიან მოცულობაში 4.5-ჯერ აღემატება აგარარული სექტორის წილს ეკონომიკაში და ამით უზრუნველყონ სახელმწიფოთა სასურსათო უშიშროება;

- გახდენენ ნეტო-ექსპორტიორები არა მხოლოდ პროდუქტების, არამედ ინტელექტუალური საკუთრებისა და ახალი გადაწყვეტილებების ხარჯზე;

- გაზარდონ პროდუქტიულობა და მხარი დაუჭირონ ისეთ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესს, რომელიც ინოვაციებსა და ცოდნას ეფუძნება.

ლიტერატურა:

1. World Data Lab, 2019. - <https://sdgs.un.org/2030agenda>
2. FAO, IFAD, UNICEF, WFP და WHO, 2019 2019 SAFEGUARDING AGAINST ECONOMIC SLOWDOWNS AND DOWNTURNS. - <http://www.fao.org/3/ca5162en/ca5162en.pdf>
3. Transforming Our World: The 2030 Agenda for Sustainable Development.
4. Realizing the potential of digitalization to improve the agri-food system proposing a new international digital council for Food and Agriculture”, FAO, 2020
5. არჩვაძე ი. აგრარული სექტორის როლი და მნიშვნელობა თანამედროვე საქართველოს ეკონომიკაში. – „ეკონომიკური პროფილი“, N17.
6. კოლუაშვილი პ., არჩვაძე ი. საქართველოს სოფლის მეურნეობა თანამედროვე გამონვევების წინაშე. – „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2020, N3.
7. კოლუაშვილი პ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების გამოცდილება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. – „ეკონომიკა და ბიზნესი“ N2.
8. კოლუაშვილი პ. სოფლის გადარჩენა კოოპერაციული ტიპის ინტეგრირებული სისტემის შექმნაშია. „სოციალური ეკონომიკა“, №4.
9. საქართველოს სოფლის მეურნეობა. სტატისტიკური წელიწდეული. - თბილისი, 2021.
10. Digital Technologies in Agriculture And Rural Areas”, FAO, 2019, <http://www.fao.org/3/ca4887en/ca4887en.pdf>
11. “Precision Agriculture And The Future Of Farming In Europe”, EPRS, 2016, [https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2016/581892/EPRS_STU\(2016\)_581892_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2016/581892/EPRS_STU(2016)_581892_EN.pdf), <http://www.fao.org/3/ca7485en/ca7485en.pdf>
12. <http://www.fao.org/home/en/>
13. <https://www.worldbank.org/>
14. <https://www.worldgovernmentsummit.org/api/publications/document?id=95df8ac4-e97c-6578-b2f8-ff0000a7ddb6>

15. https://ec.europa.eu/eip/agriculture/sites/agri-eip/files/eip_agri_brochure_digital_revolution_2018_de_web.pdf

REFERENCES:

1. World Data Lab, 2019. - <https://sdgs.un.org/2030agenda>
2. FAO, IFAD, UNICEF, WFP და WHO, 2019 2019 SAFEGUARDING AGAINST ECONOMIC SLOWDOWNS AND DOWNTURNS. - <http://www.fao.org/3/ca5162en/ca5162en.pdf>
3. Transforming Our World: The 2030 Agenda for Sustainable Development.
4. Realizing the potential of digitalization to improve the agri-food system proposing a new international digital council for Food and Agriculture”, FAO, 2020
5. Archvadze I. The Role and Importance of the Agrarian Sector in the Economy of Modern Georgia. - “Economic Profile”, N17.
6. Koguashvili P., Archvadze I. Georgian Agriculture faces Modern Challenges. - “Economics and Business”, 2020, N3.
7. Koguashvili P. The Development Experience of Agricultural Cooperation in Different Countries of the World. - “Economics and Business” N2.
8. Koguashvili P. Rural Survival is in the Creation of the Cooperative-type Integrated System. “Social Economics”, №4;
9. Georgian Agriculture. Statistical Yearbook. - Tbilisi, 2021.
10. Digital Technologies in Agriculture And Rural Areas”, FAO, 2019, <http://www.fao.org/3/ca4887en/ca4887en.pdf>
11. “Precision Agriculture And The Future Of Farming In Europe”, EPRS, 2016, [https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2016/581892/EPRS_STU\(2016\)_581892_EN.pdf](https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2016/581892/EPRS_STU(2016)_581892_EN.pdf), <http://www.fao.org/3/ca7485en/ca7485en.pdf>
12. <http://www.fao.org/home/en/>
13. <https://www.worldbank.org/>
14. <https://www.worldgovernmentsummit.org/api/publications/document?id=95df8ac4-e97c-6578-b2f8-ff0000a7ddb6>
15. https://ec.europa.eu/eip/agriculture/sites/agri-eip/files/eip_agri_brochure_digital_revolution_2018_de_web.pdf

CHALLENGES AND PROSPECTS IN THE AGRI-FOOD SECTOR

Paata Koguashvili,

Professor of Georgian Technical University
paata_koguashvili@hotmail.com

Leila Gegenava,

Assoc. Professor of Georgian Technical University

RESUME

The world is facing changes that have a significant impact on the environment and every aspect of human life. Currently, 588 million of the world's 7.8 billion people live in extreme poverty, 820 million people are starving, and 2.5 billion suffer from some form of micro-nutrient deficiency. The population is growing, the processes of aging and migration to urban settlements are actively underway, which is reflected in agricultural production and food demand. At the same time, the impact of the effects of climate change on the state of food security in the world is noteworthy. In addition, inequality, discrimination, and human rights abuses (including the right to adequate and safe human food) exacerbate these consequences, especially for small farms.

According to the FAO, 33% of world population growth is expected in the near future. The population, from the existing 7.7 billion, will reach almost 10 billion by 2050.

The population growth will lead to a strong increase in food demand. By 2050, it will be necessary to produce 70 percent more than 50-types foods, while the share of agriculture in global GDP is about 4%.

While investments and innovations in the agricultural sector are increasing, the growth rate of yields is quite low. The rural population is declining and the aging process is actively underway, which has a serious impact on the labor force. Added to this is the fact that the current use of natural resources is irrational and under se-

vere pressure. Twenty-five percent of agricultural land is severely degraded and land has long been recognized as a limited resource, while water resources are under heavy strain and there is a shortage of water in the world. Food losses and waste are an inefficient side of the sector and a strong threat to the environment. Up to 33% to 50% of the world produced food is never used for food, and the cost of these products exceeds \$ 1 trillion.

These trends have led to the problem of food shortages. As a result, poverty and hunger have intensified in the world.

Moreover, there are four main factors that put pressure on the inherited model of agricultural production, without their solution the sector will not be able to cope with future demands. They are exacerbating the problem of hunger and food shortages in the world, putting pressure on agriculture and the ability of the sector to be able to meet future needs. These factors include: demographics, scarcity of natural resources, climate change, and food losses and waste.

In Summary, overcoming these challenges requires the joint efforts of governments, investors, and innovative agricultural technologies to increase productivity and support the transition to an economy based on innovation and knowledge.

Modern farms and enterprises have to work differently, mainly due to the use of technological advantages.

In the future, agriculture must use sophisticated technologies and advanced equipment. Precision farming and the use of robotic systems ensure more profitable, efficient, safe and environmentally friendly agricultural production.

According to the FAO report, these efforts require considerable resources: to eradicate hunger by 2030 and deal with the demographic pressures that will require an annual investment of \$ 265 billion.

Keywords: Agri-food sector, poverty, hunger, food security, food losses and waste.

**მინის რესურსების რაციონალური
გამოყენება - ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების
განმსაზღვრელი ფაქტორი**

doi.org/10.36962/104/6-9/20216985

რუსუდან ფირცხალავა

სტუ ი. ჟორდანიას სახ. საწარმოო ძალებისა და
ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი
ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი,
საინჟინრო ეკონომიკის პროგრამის
დოქტორანტი
rusikopirtskhalava@yahoo.com

რეზიუმე

„სასურსათო უსაფრთხოება - არის ხალხის უფლება ჰქონდეთ წვდომა ეკოლოგიურად სუფთა მეთოდებით წარმოებულ უვნებელ საკვებ პროდუქტებზე, რომლებიც შეესაბამება მათ კულტურულ ტრადიციებს. ასევე უფლება თავად გადანიჭონ თავიანთი სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო სისტემების მიმართულებები, გლობალური კორპორაციების ინტერესების მიუხედავად¹“. ამიტომ, სასურსათო უსაფრთხოება, პირველ რიგში, არის სახელმწიფოს ვალდებულება, როგორც ჩვეულებრივ, ასევე ექსტრემალურ პირობებში (შიდა და გარე საფრთხეების არსებობის მიუხედავად) განახორციელოს ქვეყნის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა ისეთ დონეზე, როგორც აუცილებელია ადამიანების აქტიური, ჯანმრთელი ცხოვრებისათვის.

მოსახლეობის კვების ხარისხი განსაზღვრავს, თუ როგორია ქვეყანაში ეკონომიკისა და სოციალური ცხოვრების განვითარების დონე. ამასთან სასურსათო უსაფრთხოება პირდაპირ კავშირშია ეკოლოგიურ უსაფრთხოებასთან. მინის რესურსების

1 ushrussia.ru/information/articles/107093

არარაციონალური გამოყენება კი განაპირობებს ქვეყანაში ეკოლოგიური პირობების გაუარესებას, ამცირებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპებს და ქმნის პირობებს სხვადასხვა ტოქსიკური ნივთიერებებით დაბინძურებული ნედლეულისა და პროდუქციის შესაქმნელად. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, როდესაც ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები გადაჯაჭვულია, სასურსათო უსაფრთხოება გლობალური პრობლემის სტატუსს იღებს და მისი გადაწყვეტა - ნებისმიერი სახელმწიფოს სტრატეგიული ამოცანაა.

წინამდებარე სტატიაში განხილულია საქართველოში მინის რესურსების რაციონალურად გამოყენების მნიშვნელობა ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფაში. ნაჩვენებია მინის (ნიადაგის) გამოყენების დონესა და სასურსათო უსაფრთხოების ურთიერთკავშირების ფორმირების ფაქტორები და განსაზღვრულია მინის ეფექტიანობის ამაღლების ძირითადი მიმართულებები.

საკვანძო სიტყვები: მინის რესურსები, ეფექტიანობა, საარსებო მინიმუმი, სასურსათო უზრუნველყოფა, კონსოლიდაცია, ეკონომიკური პროტექციონიზმი.

ძირითადი ტექსტი

სასურსათო უსაფრთხოება არის ეროვნული უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი. ამიტომ სახელმწიფო ვალდებულია სურსათით უზრუნველყოს და აარიდოს ქვეყანას როგორც შიდა ასევე გარე საფრთხეები. ლიტერატურაში აღნიშნულია საფრთხეების რამდენიმე ტიპი, კერძოდ, აგროსამრეწველო პროდუქციის წარმოების აბსოლუტური და სულადობრივი მოცულობის შემცირება, სურსათის ეკონომიკური წვდომის შეუძლებლობა ქვეყნის მოსახლეობის უმეტესი ნაწილისათვის, სურსათის დაბალი ხარისხი და სურსათით მომარაგების დიდი იმპორტ დამოკიდებულება (20%-ზე მეტი). სახელმწიფოს მთავარი ამოცანაა ამ ფაქტორების მინიმინიზაცია და თითოეული მათგანის მიხედვით ჩამოყალიბდეს მიზნობრივი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოებას.

სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა დღევანდელ მსოფ-

ლიოში არა მხოლოდ აგრარულ-საწარმოო მნიშვნელობისაა, არამედ მას აქვს განსაკუთრებული სოციალურ-ეკონომიკური დატვირთვა. მისი ანალიზი შესაძლებელია სხვადასხვა დისციპლინების ურთიერთდამოკიდებულების გადაკვეთაზე, სადაც ერთიანდება ეკონომიკური, ისტორიული, ეკოლოგიური, სოციალური და სხვა პროცესები.

FAO-ს ორგანიზაციის მიერ მიღებული მსოფლიოს სასურსათო უზრუნველყოფის სტრატეგია განიხილავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს: ცენტრალიზებული დახმარების განწევა იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც საჭიროებენ სასურსათო უსაფრთხოების რთული და მრავალნაზნაგოვანი პრობლემის გადაწყვეტას; ადგილობრივი წარმოების მდგრადი განვითარება, რათა მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი გახდეს მცენარეული, ცხოველური, თევზეული და სატყეო მეურნეობის პროდუქტებზე წვდომა; მინის, ნყლის, აკვაკულტურების, გენეტიკური და სხვა ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენება და მათი დაცვის უზრუნველყოფა; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, სურსათისა და ნედლეულის საერთაშორისო მსოფლიო ვაჭრობის სისტემის განვითარება გლობალური შეთანხმებების, ქვეყნის კოდექსების, სტანდარტების და სხვა ინსტრუმენტების საფუძველზე; მუდმივი მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირება - მსოფლიოს ქვეყნებში სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობის შესახებ და ამავე დროს პროგნოზირება ამ ქვეყნებში სასოფლო, სატყეო და მეთევზეობის მდგომარეობის გათვალისწინებით; სასურსათო უსაფრთხოების პრობლემების კონტროლი სურსათით უზრუნველყოფის შესახებ (1996 წლის მსოფლიო სამიტი); სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, ნედლეულისა და სურსათის წარმოებითა და იმპორტირებული სურსათის დახმარებით ქვეყანაში იმ აუცილებელი დონის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობას აუცილებელი სურსათით; ქვეყნის მოსახლეობისათვის ხარისხიანი სურსათის ფიზიკური და ეკონომიკური წვდომის შესაძლებლობა¹.

1 Комитет по всемирной продовольственной безопасности. 15-19.10. 2018 год. Рим.Италия

სასურსათო უსაფრთხოების გადაწყვეტა - სისტემურ მიდგომებს საჭიროებს. აქ გასათვალისწინებელია პრობლემის სამართლებრივ-საკანონმდებლო მხარეც.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების საკანონმდებლო ბაზა ჩამოყალიბების პროცესშია. ჯერ კიდევ არ არსებობს სასურსათო უსაფრთხოების საერთო სტრატეგია, ცალმხრივია მიღებული ნორმატიული და საკანონმდებლო აქტები, სათანადოდ კოორდინირებული არ არის სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობა.

გლობალურ ეკონომიკაში ცალკეული ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების განხილვა ხდება მსოფლიო ვაჭრობის განვითარების პრობლემების გათვალისწინებით. სასურსათო უსაფრთხოების პრობლემების ანალიზის დროს გასათვალისწინებელია როგორც ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება, ასევე ცალკეული ადამიანის (ინდივიდის) სასურსათო უსაფრთხოებაც.

ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება მოიცავს: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, ნედლეულისა და სურსათის წარმოების მოცულობას; მოსახლეობის მიერ საკვები პროდუქტების ნორმის მეცნიერულად დასაბუთებას; სურსათით თვითდაკმაყოფილების ნორმების რეგულირებას არა მხოლოდ სამომხმარებლო კალათით გათვალისწინებული ნორმების, არამედ მეცნიერულად გამოკვლეული და დასაბუთებული ნორმების საფუძველზე. ყოველივე ეს დამოკიდებულია ქვეყნის ნიადაგურ-კლიმატურ პირობებზე, შრომით ტრადიციებზე და სხვ.

ცალკეული ადამიანის (საოჯახო მეურნეობის) სასურსათო უსაფრთხოების ნორმების ჩამოყალიბების დროს ითვალისწინებენ ქვეყანაში ჩამოყალიბებულ სურსათის ფასებს, მოსახლეობის შემოსავალს, განსხვავებას მეცნიერულად დასაბუთებულ ნორმებსა და ფაქტიურად მოხმარებული სურსათის რაოდენობას (კალორიების მიხედვით) შორის, რაც ფაქტიურად არის სურსათზე ეკონომიკური წვდომის მაჩვენებელი. მოსახლეობის შემოსავლები და სასურსათო პროდუქტების ფასები კი დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე (ქვეყნის მშპ, შრომის ნაყო-

ფიერება, უმუშევრობის დონე, მოსახლეობის დიფერენციაციის ხარისხი შემოსავლების მიხედვით, საშემოსავლო დარიცხვები, სოციალური გადასახადები, მინიმალური სახელფასო დონე, პენსიები და ა.შ.). ამასთან საქართველოში სურსათზე ეკონომიკური წვდომის მაჩვენებლები ობიექტურად არ ასახავს ქვეყანაში არსებულ რეალურ სურათს, რადგან არ არის ნაჩვენები მოსახლეობის სხვადასხვა ფენების შემოსავლების მიხედვით არსებული უთანასწორობის დონე.

საარსებო მინიმუმის გათვლისათვის გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები: სტატისტიკური (ქვეყნის მცირე შემოსავლიანი მოსახლეობის 10-20%), ნორმატიული (სამომხმარებლო კალათაში შემაგალი ფაქტიური სამომხმარებლო ფასები და მომსახურება), კომბინირებული (მოხმარებული სასურსათო პროდუქტები განისაზღვრება ნორმებით, ხოლო სხვა საქონელი და მომსახურება - მათი წილით საერთო დანახარჯებში), სუბიექტური (სოციოლოგიური გამოკითხვების საფუძველზე), რესურსული (განისაზღვრება ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობით და მცირე შემოსავლიანი მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობით) და სხვ. სხვადასხვა მეთოდოლოგიების გამოყენება დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეზე.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ფენებად დაყოფის პროცესს, სიღარიბის მიზეზების, ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანის შესაძლებლობების შესწავლას, უმუშევრობის დონის შემცირების ღონისძიებათა შემუშავებას და სხვ.

სასურსათო უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი პირობაა სურსათზე ფიზიკური წვდომა. იგი არსებითადაა დამოკიდებული ქვეყანაში ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაზე. თუ როგორ ვიყენებთ მიწის რესურსებს, თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორია მუშაკთა კვალიფიკაციის დონე და სხვ.

ცხრილში 1 ნაჩვენებია საქართველოში 1989-2020 წლებში

მოსახლეობის რაოდენობის ცვლილების დინამიკა. 2020 წელს მოსახლეობის რაოდენობა 1989 წელთან შედარებით შემცირდა 1683,9 ათასი კაციით. ეს საგანგაშო ტენდენციაა.

ცხრილი 1

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 1989-2020 წლებში

წელი	ქვეყნის მოსახლეობა სულ (ათასი კაცი)	სოფლის მოსახლეობა (ათასი კაცი)	სოფლის მოსახლეობის წილი ქვეყნის მოსახლეობაში %
1989 ¹	5400,8	2409,5	44,6
2002	3991,3	1744,2	43,7
2003	3965,8	1744,2	43,6
2012	3739,3	1610,0	43,1
2014	3713,8	1591,2	42,9
2019	3723,5	1539,1	41,3
2020	3716,9	1522,4	41,0

ამ ფონზე განვიხილოთ მინის რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ადგილობრივი წარმოების განვითარების ტენდენციები. ცხრილი 2 მოიცავს 1990-2020 წლებში ქვეყანაში ნათესი ფართობების დინამიკას. როგორც ჩანს, 2020 წელს 1990 წელთან შედარებით ნათესი ფართობები შემცირდა 492 ათასი ჰა-ით, მარცვლოვანი და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურების ფართობი შემცირდა 167,7 ათასი ჰა-ით, კარტოფილისა და ბოსტნეულ-ბალჩყელის ფართობები შემცირდა 35,8 ათასი ჰა-ით. ხორბლის ნათესი ფართობი შემცირებულია 44,3 ათასი ჰა-ით, სიმინდისა კი - 24,6 ჰა-ით. როგორც ჩანს, სახეზეა ქვეყანაში ნათესი ფართობების მკვეთრად შემცირების ტენდენცია.

1 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2019 წ. გვ.17

ცხრილი 2

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობები (ათასი ჰა)

ფართობი	1990 ¹	1995	2003 ²	2012 ³	2014	2019	2020 ⁴	2020 წ 1990 წლის მი- მართ +/-
ნათესი ფარ- თობი სულ	701,9 100%	453,1 100%	561,7 100%	259,6 100%	274,9 100%	203,0 100%	209,9 100%	-492
მათ შორის მარცვლოვანი და მარცვლო- ვან-პარკოსანი კულტურები	269,8 38,4%	259,9 57,4%	371,0 66,0%	132,8 51,2%	184,6 58,3%	98,6 48,5%	102,1 48,7%	-167,7
მათ შორის								
ხორბალი	91,7 13,1%	61,3 13,5%	117,3 20,9%	50,0 19,3%	48,6 17,7%	43,8 21,6%	47,4 22,6%	-44,3
სიმინდი	107,0 15,2%	142,4 31,4%	197,6 35,2%	114,8 44,2%	129,1 46,9%	74,7 36,8%	82,4 39,3%	-24,6
კარტოფილი და ბოსტნეულ- ბალჩეული	67,3 9,6%	54,0 11,9%	88,2 15,7%	52,9 20,4%	39,5 14,4%	32,1 15,8%	31,5 15,0%	-35,8

ნათესი ფართობების შემცირებას თან ახლდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების შემცირება (ცხრილი 3). როგორც ჩანს ხორბლის წარმოება შემცირდა - 2,5-ჯერ, სიმინდის მარცვლის - 1,1-ჯერ, კარტოფილისა - 1,4-ჯერ, ბოსტნეულის - 22,5-ჯერ, ხილის - 2,6-ჯერ, ყურძნის - 2,2-ჯერ, ციტრუსების - 5-ჯერ, ჩაის ფოთლისა - 208,6-ჯერ.

1 საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 1999 წ. თბ. გვ. 173-175
 2 საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2009 წ. გვ. 172-173
 3 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სოფლის მეურნეობა 2014 წ. გვ. 30
 4 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. სოფლის მეურნეობა 2020 წ. გვ. 31

ცხრილი 3

სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების მაჩვენებლები
1990-2020 წლებში (ათასი ტონა)

	1990 ¹	1995	2003 ²	2012 ³	2014	2019 ⁴	2020	2020 წელი 1990 წელთან შედარებულ ბით +/-
ხორბალი	257,7	76,6	225,4	80,7	47,5	100,6	102,4	-155,3
სიმინდის მარცვალი	270,2	386,5	461,9	267,0	291,6	207,1	255,0	-15,2
კარტოფილი	293,8	353,3	425,2	252,0	215,3	194,7	208,6	-85,2
ბოსტნეული	443,2	428,3	430,1	198,5	153,6	161,1	176,1	-267,1
ბალჩეული	38,8	12,9	125,0	36,7	86,1	79,9	83,6	+44,8
ხილი	591,2	383,9	260,0	157,9	210,8	502,2	228,6	-362,6
ყურძენი	691,0	422,4	200,0	144,0	172,6	293,8	316,9	-374,1
ციტრუსები	283,1	118,0	40,0	77,0	69,8	64,0	56,8	-226,3
ჩაის ფოთოლი	501,7	38,5	24,0	2,6	1,8	2,0	2,4	-499,3
თხილი				24,7	33,8	24,0	32,7	-

ასევე მკვეთრად შემცირდა მეცხოველეობის პროდუქცი-

1 საქსტატი. საქართველო ციფრებში 1990 წელი. თბ. 1991, გვ.94

2 საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2009, გვ.181

3 საქსტატი საქართველოს სოფლის მეურნეობა 2014, გვ. 33, 45, 48, 58, 59, 66

4 საქსტატი საქართველოს სოფლის მეურნეობა 2020, გვ.60, 64, 75, 82

ის წარმოება (ცხრილი 4). 2020 წელს 1990 წელთან შედარებით შემცირდა ხორცის წარმოება (დაკლულ წონაში) 2,5-ჯერ, კვერცხის წარმოება - 1,2-ჯერ, რძის წარმოება - 1,2-ჯერ, მატყლის წარმოება - 3,3-ჯერ.

ცხრილი 4

**მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მაჩვენებლები
1990--2020 წლებში (ათასი ტონა)**

	1990 ¹	1995	2003	2012	2014	2019	2020 ²	2020 წელი 1990 წელთან შედარებით +/-
ხორცი (დაკლულ წონაში, ათასი ტონა)	170,3	115,4	108,9	42,6	878,9	69,5	69,4	-100,9
რძე (მლნ ლიტრი)	659,4	475,4	765,1	589,5	555,3	561,8	569,0	-90,4
კვერცხი (მლნ ცალი)	769,2	269,4	458,1	474,0	634,8	661,2	674,5	-94,7
მატყლი (ათასი ტონა)	6,2	3,1	2,0	1,6	1,9	1,8	1,9	-4,3

აღნიშნული ტენდენციების ფონზე 2010-2020 წლებში საქართველოში სამომხმარებლო ფასების ცვლილებების დინამიკა გვიჩვენებს, რომ ფასები გაიზარდა: ძროხის ხორცზე - 2,4-ჯერ, ღორის ხორცზე - 1,64-ჯერ, ქათმის ხორცზე - 1,1-ჯერ, ძხვეულზე - 1,3-ჯერ, გაყინულ თევზზე - 1,7-ჯერ, მზესუმზირის ზეთზე - 1,4-ჯერ³. ამრიგად, 1990-2020 წლებში ქვეყანაში მოსახლეობის ნათესი და მრავალწლიანი წარგავების ფართობების და შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრად შემცირების ჩამოყალიბებული ტენდენციის გამომწვევი მიზეზები და

1 საქსტატი საქართველოს სოფლის მეურნეობა 2012, გვ. 61

2 საქსტატი საქართველოს სოფლის მეურნეობა 2020, გვ. 82

3 საქსტატი საქართველოს სოფლის მეურნეობა 2020, გვ.18

განვითარების პერსპექტივები კომპლექსურად განხილვას საჭიროებს.

იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ როგორია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ქვეყნის უზრუნველყოფის ძირითადი მაჩვენებლები, საჭიროა ძირითადი სასურსათო პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების ბალანსების განხილვა. თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტმა 2019 წელს (პანდემიის წინა წელი) შეადგინა: ხორბალში - 15%, კარტოფილში - 93%, ბოსტნეულში - 96%, ხორციში - 47%, რძეში - 81%, კვერცხში - 96%¹.

სურსათით უზრუნველყოფის რეალური მდგომარეობის შეფასებისათვის აუცილებელია განვიხილოთ თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი. თანამედროვე პირობებში მისი განგარიშება ხდება საყოველთაოდ აღიარებული ფორმულით: ადგილობრივი წარმოება შეფარდებული ადგილობრივი წარმოებისა და წმინდა ექსპორტის სხვაობასთან, გამრავლებული 100-ზე².

ადგილზე წარმოებული პროდუქციის მოცულობისა და მოხმარების ფაქტობრივი მონაცემების შედარებით უფრო რეალურ სურათს მივიღებთ. ამაში შეიძლება დავრწმუნდეთ 3 ძირითადი პროდუქტის - ხორბლის, ხორცის და ბოსტნეულის მაგალითზე. 2020 წელს საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 3728,6 ათას კაცს³. ამავე წელს წარმოებული იყო ერთ სულ მოსახლეზე 27 კგ ხორბალი, ხოლო მოხმარებული შეადგენდა 130 კგ-ს. მათ შორის სხვაობა კომპენსირებულია იმპორტით. ასევე ბოსტნეული 2020 წელს წარმოებული იყო 47 კგ, მოხმარებული - 57 კგ (-10 კგ). შესაბამისად, ხორცი - 19 კგ და - 38 კგ (- 19 კგ); მათ შორის: ფრინველის ხორცი - 6 კგ და - 19 კგ (-13 კგ); რძე და რძის პროდუქტები - 153 კგ, მოხმარებული - 183 კგ (-30 კგ). ეს მონაცემები გვიჩვენებს, თუ რაოდენ დიდია სასურსათო პროდუქციით უზრუნველყოფის რისკები.

1 საქსტატი საქართველოს სოფლის მეურნეობა 2020, გვ. 91

2 საქსტატი საქართველოს სოფლის მეურნეობა 2020, გვ. 12

3 საქსტატი - მოსახლეობა და დემოგრაფია, 2021 წელი

ცხრილი 5
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბალანსი

პროდუქციის დასახელება		2010 ¹	2012	2014	2017 ²	2018	2019	2020
სორბალი (ათასი ტონა)	მარაგი ნ. დას.	35	95	95	95	46	76	71
	ადგ. წარმოება	48	81	50	98	107	101	102
	იმპორტი	797	970	651	603	643	587	561
	ექსპორტი	36	176	42	48	24	4	-
	მოს. 1 სულზე, კგ				130	130	129	130
	თვითუზრ. კოეფიციენტი	6	9	8	15	15	15	15
ბოსტნეული (ათასი ტონა)	მარაგი ნ. დას.	8	14	30	52	27	48	95
	ადგ. წარმოება	176	199	191	126	142	161	176
	იმპორტი	67	63	90	84	106	110	113
	ექსპორტი	14	8	10	17	13	12	10
	მოს. 1 სულზე, კგ				56	56	56	57
	თვითუზრ. კოეფიციენტი	77	78	70	65	59	62	63
სორცი (ათასი ტონა)	მარაგი ნ. დას.	1,9	2,3	2,2	2,2	2,4	2,3	2,3
	ადგ. წარმოება	56,4	42,6	54,8	66,2	72,6	69,5	69,4
	იმპორტი	61,9	77,5	78,8	84,7	82,7	89,6	86,5
	ექსპორტი	0,7	0,8	1,1	10,5	16,7	10,4	13,5
	მოს. 1 სულზე, კგ				37	37	40	38
	თვითუზრ. კოეფიციენტი	48	36	41	47	52	47	49

1 საქსტატი საქართველოს სოფლის მეურნეობა 2014, გვ. 79, 80, 82, 83, 84, 88, 90

2 საქსტატი საქართველოს სოფლის მეურნეობა 2020, გვ.93, 94, 95,96,97, 98, 102, 103, 104

ფრინველის ხორცი (ათასი ტონა)	მარაგი ნ. დას.	0,2	0,2	0,2	0,4	0,4	0,4	0,4
	ადგ. წარმოება	11,6	11,7	15,2	22,3	22,6	22,8	24,2
	იმპორტი	40,8	45,5	47,0	52,3	51,8	54,4	56,7
	ექსპორტი	0,7	0,4	0,7	5,4	8,6	4,2	8,7
	მობ. 1 სულზე, კგ				18	18	20	19
	თვითუზრ. კოეფიციენტი	22	21	25	32	34	31	34

ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფის კომპლექსური ამოცანის გადასაწყვეტად მიზანშეწონილია:

- მიწის როგორც ბუნებრივი რესურსის და წარმოების ფაქტორის ეფექტიანობის ამაღლება უნდა მივიჩნიოთ ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების დაცვის უმთავრეს პირობად. ამისათვის საჭიროა მიწის ნაყოფიერების ამაღლების კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელება. კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო მიწის არსებული ფართობების ზუსტი აღრიცხვა, კატეგორიების მიხედვით მათი დაყოფა, დეგრადაციის (გაუდაბნობა, ეროზია, დამარილიანება, გაჭუჭყიანება, მეორადი დაჭაობება და სხვ.) საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელება, თანამედროვე ტექნოლოგიების, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის ფორმების გამოყენება, კვალიფიციური კადრების მომზადების სისტემის ჩამოყალიბება, მიწის (ნიადაგის) დაცვის მონიტორინგი, მიწათმონყობის თანამედროვე დონეზე ორგანიზაცია და სხვ.

- მიწის რაციონალური გამოყენება მოითხოვს ეკონომიკის მართვის სახელმწიფო და საბაზრო მექანიზმების შეთანხმებით წარმართვას. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს რესურსული პოტენციალის ობიექტურად განსაზღვრას, პროგნოზირებას და სტრატეგიულ დაგეგმვას. 2030 წლამდე პერიოდის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მიწის საერთო ფართობიდან სახნავი მიწის პერსპექტიული ფართობების ათვისების ღონისძიებათა განხორციელებას.

- მიწის რესურსების მრავალფუნქციონალურობის (ბუნებრივი რესურსი, წარმოების ფაქტორი, უძრავი ქონება, ადამიანის ცხოვრების სივრცე და სხვ.) გათვალისწინებით უნდა შეიქმნას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა (უნდა დაჩქარდეს მიწის კოდექსისა და მიწის კადასტრის მიღება). მომავალშიც მწვავე პრობლემად რჩება მიწის კონსოლიდაციის საკითხი, რომელიც მიწის დაქუცმაცების, აღმოფხვრის მიზანთან ერთად უნდა ემსახურებოდეს ქვეყნის მთელი ტერიტორიის მრავალფუნქციური გამოყენების ხელსაყრელი პირობების მომზადებას. ასეთი ფუნქციის შესრულებისათვის აუცილებელია ქვეყნის მიწის ფონდის სრული ინვენტარიზაცია, უნდა განისაზღვროს მიწის სახელმწიფო მარაგი.

- იმის გათვალისწინებით, რომ სასურსათო უსაფრთხოება როგორც პრობლემა კომპლექსურია და სისტემური მიდგომებით გადაწყვეტას მოითხოვს, აუცილებელია ქვეყანაში შემუშავდეს გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი სასურსათო პროგრამა. მასში უნდა აისახოს არა მხოლოდ მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების მიზნები, არამედ მასთან ერთად ძირითადი სასურსათო პროდუქტების (პური და პურპროდუქტები, ხორცი და ხორცპროდუქტები, რძე და რძის პროდუქტები, კვერცხი, შაქარი, ცხიმები, ხილი, ბოსტნეული, კარტოფილი და სხვ.) წარმოების ეტაპობრივი მიზნები (მოცულობები) მიწის ფონდის სტრუქტურის შესაბამისად. ეს მისცემს საშუალებას სახელმწიფოს, საზოგადოებას, მიზნობრივად, თანაც ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების და საბაზრო მექანიზმების შეთანხმებით, მიწის საერთო ფონდი (მიუხედავად საკუთრების ფორმებისა) რაციონალურად (ქვეყნის სასურსათო ინტერესებისათვის) გამოიყენოს.

- განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს სურსათის უვნებლობის საკითხის გადაწყვეტა. ეს განპირობებულია იმით, რომ სურსათის წარმოების ზრდის შეუქცევადი პროცესი დიდ რისკებთანაა დაკავშირებული. მით უფრო პოსტპანდემიურ პერიოდში რისკების შეფასება დარჩება უმნიშვნელოვანეს ამოცანად.

- სასურსათო პროგრამაში უნდა განისაზღვროს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების ღონისძიებანი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ushruussia.ru/information/articles/107093
2. Комитет по всемирной продовольственной безопасности. 15-19.10. 2018 год. Рим.Италия
3. dissercat.com/content/socialno-ekonomisheskie-aspekty-obespechenya-prodovolstvenoi-bezopasnosti/
4. autoref-prodovolstvennaya-bezopasnost-rossii-teoria-metodologia-praktika.
5. autoref-organizacionno-ekonomiceskie-aspekty-dostichenya-prodovolstvennoi-bezopasnosti-v-rossii.pdf.
6. პ.კოლუაშვილი. სასურსათო უსაფრთხოების დაცვა მთავრობის უპირველესი მოვალეობაა. აგრარული საქართველო, 22.07. 2017 წელი
7. პ.კოლუაშვილი. სიღარიბე სასურსათო უსაფრთხოების განუხორციელობის პირდაპირი შედეგია. გაზ. საქართველო, 22.12. 2020 წელი
8. ნ.ჭითანავა. საქართველოს სოფლის მეურნეობა. ტრანსფორმაცია, პრობლემები, პერსპექტივები. თბილისი 2015 წელი.
9. ნ.ჭითანავა. საქართველოს ეკონომიკის გამონეწევი და სტრატეგია. თბილისი 2018 წელი
10. FAO - სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სექტორების შეფასება აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის ქვეყნებში. ევროპის კავშირის სამეზობლო პროგრამა. საქართველო, 31.12. 2012 წელი
11. საქსტატი საქართველოს სოფლის მეურნეობა 2014
12. საქსტატი საქართველოს სოფლის მეურნეობა 2020
13. საქსტატი - მოსახლეობა და დემოგრაფია, 2021 წელი
14. საქსტატი. ინფლაციის გაანგარიშების მეთოდოლოგიის შესახებ. 2021 წელი
15. საქსტატი. სურსათის ექსპორტ-იმპორტი. 2021 წელი
16. Продовольственная безопасность. greater_political.academic.ru/158

REFERENCES:

1. ushruussia.ru/information/articles/107093 (internet resources)
2. Committee of World Food Security. 15-19.10. 2018. Rome. Italy
3. dissercat.com/content/socialno-ekonomisheskie-aspekty-obespecheniya-prodovolstvenoi-bezopasnosti/ (internet resources)
4. autoref-prodovolstvennaya-bezopasnost-rossii-teoria-metodologia-praktika (internet resources).
5. autoref-organizacionno-ekonomiceskie-aspekty-dosticheniya-prodovolstvennoi-bezopasnosti-v-rossii.pdf (internet resources).
6. P. Koghuashvili. Food security – Governments' first duty. Agrarian Georgia. 22.07. 2017
7. P. Koghuashvili. Poverty is the Direct Result Of Food safety Implementation Failure. Georgia. 22.12. 2020
8. N. Chitanava „Agriculture of Georgia: Transformation, the Problems, Perspectives”, Tbilisi, 2015.
9. N. Chitanava. Challenges and Strategy of Georgian Economy. Tbilisi. 2018;
10. FAO –Agriculture and Rural Development Sectors Rate in Eastern Europe Partner Countries. European Union Neighbourhood Programm.31.12.2012
11. Statistical Publication. Agriculture of Georgia 2014
12. Statistical Publication. Agriculture of Georgia 2020
13. Statistical Publication. Population and Demographics. 2021
14. Statistical Publication. Inflation Calculation Methodology. 2021
15. National Statistics of Georgia. Foods Export-Import. 2021
16. Food Security. greater_political.academic.ru/158

**RATIONAL USE OF LAND RESOURCES –
THE DETERMINING FACTOR
OF COUNTRY FOOD SECURITY**

Rusudan Pirtskhalava

Researcher of I. Zhordania’s Center for Studying
Productive Forces and Natural Resources
of Georgia, the Georgian Technical University;
Doctoral Candidate of the Faculty of
Engineering Economics of
the Same University
rusikopirtskhalava@yahoo.com

RESUME

Food security is a significant part of the national security. Therefore, food security in the first place is a state duty to provide country population with food products in both ordinary conditions and extreme situation (without regard to the existence of either internal or external threat), at a level necessary for human active and healthy life. “Food security is people’s right to get access to the non-hazardous food products which are manufactured with the use of ecologically clean methods and comply with their cultural traditions. Also, it is their right to determine by themselves the directions of their agricultural and product system regardless of the interests of global corporations”.

The given article does research into the dynamic of Georgias’ population change (1989-2020) and the share of rural population in the initiative population. Also, the decrease tendency in sown and harvested areas (1990-2020) and alongside the reduction of agricultural products is considered in the article.

In addition, the data of animal husbandry production in 1990-2020 and fluctuation in consumer prices have been considered here, as well. The work includes food balance sheets of wheat, vegetables,

meat, also the self-sufficiency ratios and average indices on food consumption.

The quality of population nutrition determines the development level of country's economics and social life. At the same time, food security is directly connected with environmental security. And the misuse of land resources causes the deterioration of ecological conditions in the country, lowers the growth rate of agricultural production and provides a background for manufacturing of raw materials and products contaminated by various toxic substances. Under the conditions of modern globalization, where countries' economic and political relations are intertwined, food security attains the global problem status, and its solving becomes a strategic purpose for any state.

Finally, this article considers the importance of rational use of land resources in Georgia for providing the country with food products. Factors forming the relationship of land (soil) usage level and food security are demonstrated, and the main directions for the increase of land usage effectiveness are determined.

Keywords: land resources, effectiveness, subsistence minimum, food security, consolidation, economic protectionism.

**პროფესიული განათლების როლი
საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის
სექტორის განვითარებაში**

doi.org/10.36962/104/6-9/202169102

ნათია გორგაძე
სტუდენტორი
Natia_gorgadze@yahoo.com;

რეზიუმე

საქართველოში დღეს მევენახეობისა და მეღვინეობის სექტორს განვითარების კარგი პოტენციალი გააჩნია. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, წლიდან წლამდე მზარდია ქვეყნისათვის ღვინის წარმოებიდან მიღებული შემოსავალი. მევენახეობა-მეღვინეობის სექტორში მწარმოებლობის მზარდი პოტენციალის შენარჩუნება დაკავშირებულია ყურძნისა და ღვინის ხარისხის სტაბილურობაზე. მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოებაში კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი კვალიფიციური მუშაძალის არსებობას ეკისრება. პროფესიულ სწავლებას შეუძლია საჭირო შრომითი უნარების გამომუშავებაში დაეხმაროს როგორც პოტენციურ, ისე მევენახეობისა და მეღვინეობის სექტორში დასაქმებულ კადრებს.

თითოეულ ქვეყანას აქვს თავისი უნიკალური კულტურული, ეკონომიკური და სოციალური მხარეები, რომლებიც აუცილებლად გასათვალისწინებელია ქვეყნის საგანმანათლებლო პოტენციალის შეფასებისა თუ რეფორმირების პროცესში. ბევრი ქვეყანა ეყრდნობა „შერეულ სისტემებს“, რომელშიც გაერთიანებულია სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების სხვადასხვა ტიპი, მათ შორის სკოლაზე დაფუძნებული პროფესიული განათლება და დუალური პროგრამები. თუმცა, კარგი საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, მეღვინეობა-მევენახეობის მიმართულებით პროფესიულ პროგრამებზე სწავლების საუკეთ-

ესო ფორმად მიჩნეულია დუალური პროგრამებით სწავლება.

ბოლო წლებში სახელმწიფოს მხრიდან წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ე.წ. დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით მომზადების შემოღება. ასევე, კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში მომზადება-გადამზადების მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლების დანერგვა.

მევენახეობისა და მეღვინეობის სექტორი არის პირველი, რომელიც, ტურიზმთან ერთად, სახელმწიფოს მხრიდან ყველაზე პრიორიტეტულ მიმართულებად ჩაითვალა და საპილოტე რეჟიმში დაიწყო დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით სტუდენტების მომზადება.

დუალური საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლება გულისხმობს სტუდენტის ორ ადგილას სწავლას: პროფესიულ სასწავლებელში, სადაც ის მომავალ პროფესიასთან დაკავშირებით თეორიულ კურსს გადის და სწავლებას საწარმოო პრაქტიკის ადგილას, სადაც ეუფლება პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

სწავლების აღნიშნული ფორმა საჯარო-კერძო პარტნიორობის გაღრმავების მეტ შესაძლებლობას იძლევა საგანმანათლებლო სივრცეში. იგი, ერთი მხრივ, ხელს უწყობს სახელმწიფოს მხრიდან საბიუჯეტო დანახარჯების შემცირებას და, მეორე მხრივ, სისტემას აძლევს დამატებითი ფინანსური და არამატერიალური სარგებლის მიღების შესაძლებლობას. კერძო სექტორის დაინტერესება, ჩაერთოს საგანმანათლებლო პროცესში, მრავალმხრივია, თუმცა, ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი არის ის, რომ მათ მომავალში ეძლევათ გამოცდილი მუშაკების დაქირავების კარგი შესაძლებლობა. კერძო სექტორის ჩართულობის გაღრმავება და სახელმწიფოს მხრიდან პასუხისმგებლობათა ნაწილის მათზე დელეგირება კარგი შესაძლებლობაა კვალიფიციური კადრების მომზადების/გადამზადებისა. აღნიშნული ფაქტორი კი სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შესაბამისობის მიღწევის წინაპირობად შეიძლება მივიჩნიოთ. მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება უმუშ-

ევრობისა და სიღარიბის დაძლევის, ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების გარანტიაა.

საკვანძო სიტყვები: პროფესიული განათლება, დუალური პროფესიული პროგრამა, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება, მევენახეობისა და მეღვინეობის სექტორი.

შესავალი

საქართველოში ვაზი და ღვინო ერის სოციალურ-კულტურული ცხოვრების განუყოფელი ნაწილი და კეთილდღეობის საშუალება იყო საუკუნეების განმავლობაში. მეცნიერები თანხმდებიან, რომ ვაზის კულტურული ჯიშების გაშენების პროცესი და ღვინის წარმოება სამხრეთ კავკასიის, დღევანდელი აღმოსავლეთ თურქეთისა და დასავლეთ ირანის ტერიტორიაზე დაიწყო. საქართველოში, არქეოლოგიური კვლევის შედეგად, ქვემო ქართლში, აღმოჩენილია ძვ.წ. VI ათასწლეულით დათარიღებული უძველესი ყურძნის ნიჰნები. კომპლექსური კვლევით დადგენილია, რომ ველური ვაზი ადამიანმა პირველად საქართველოს ტერიტორიაზე მოიპინაურა და კულტურული ვაზისგან ღვინო დანურა. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში ღვინის დამზადებას 8 ათასი წლის წინ ჩაეყარა საფუძველი და ეს პროცესი დღემდე უწყვეტად მიმდინარეობს.

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა მნიშვნელოვანია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების გაძლიერებისა და დარგის მდგრადი განვითარებისათვის. მევენახეობა-მეღვინეობა კი სოფლის მეურნეობის ტრადიციული და სტრატეგიული მნიშვნელობის სექტორია. თითქმის ყველა რეგიონშია წარმოდგენილი ვაზის კულტურები და იზრდება როგორც საოჯახო ტიპის მარნების რაოდენობა, ასევე მსხვილი ღვინის საწარმოების რაოდენობა. აღნიშნული გარემოება დასაქმების მეტ შესაძლებლობებს იძლევა სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის, რაც მნიშვნელოვანია განსაკუთრებით მაშინ, როცა ქვეყნის მთავარ გამოწვევას უმუშევრობისა და სიღარიბის დაძლევა წარმოადგენს.

საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის სექტორის

განვითარებას კარგი პოტენციალი გააჩნია როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. ღვინის ტურიზმს შეუძლია ბიზნესის განვითარების შესაძლებლობების, სამუშაო ადგილებისა და შემოსავლების შექმნით შესაბამისი მულტიპლიკატორის ეფექტის გამოწვევა ეროვნულ ეკონომიკაში.

დღეს ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ინტეგრაცია ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ქვაკუთხედაა. შესაბამისად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოსა და ევროკავშირის შორის მიღწეულ ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ასევე, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმებით (DCFTA) მიღებული პერსპექტივების გამოყენებას. სწორედ აღნიშნული შეთანხმება მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს.

ბოლო წლების სტატისტიკურ მონაცემებს თუ გადავხედავთ, აგროსასურსათო პროდუქტებიდან ღვინო კონკურენტუნარიანობის შედარებით მაღალი დონით გამოირჩევა. ქართული ყურძნის ნატურალური ღვინოების ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი ბოლო 10 წლის განმავლობაში 30%-ით არის გაზრდილი. დღეისათვის უმსხვილეს საექსპორტო საქონლის სიაში ყურძნის ნატურალური ღვინოების წილი ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 5.6%-ს შეადგენს. 2019 წლის მონაცემებით სხვადასხვა მოცულობის ღვინის ექსპორტი 376-მა კომპანიამ განახორციელა.

მაღალი კონკურენციის პირობებში, ევროკავშირის ქვეყნებისა და დასავლეთის ბაზარზე ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესვლა და იქ გარკვეული ნიშის დამკვიდრება წარმოშობს მოთხოვნას მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოებაზე. ქართული ღვინის კონკურენტუნარიანობის ამაღლება ბევრ ფაქტორს ემყარება, მათ შორის, უდაოდ უმნიშვნელოვანესია ვაზის მოვლა-შენახვისა და ღვინის წარმოების პროცესში კვალიფიციური მუშაძალის არსებობა.

კვალიფიციური მუშაძალის მომზადების საქმეში უმნიშვნე-

ლოვანესი როლი პროფესიულ განათლებას ეკისრება. აღნიშნულ საგანმანათლებლო სისტემას შესწევს უნარი სწრაფი რეაგირება მოახდინოს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე და მოკლე დროში უზრუნველყოს კვალიფიციური კადრების მომზადება.

ძირითადი ტექსტი

მეღვინეობა-მევენახეობა რომ ქართული თვითმყოფადი კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, ამაზე დღეს აღარ დავობენ. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში პროფესია - მეღვინეობა ადამიანების ყოველდღიური ყოფის ნაწილია. ბევრს სჯერა, რომ ამ დარგს დამატებითი შესწავლა და გაცნობა აღარ სჭირდება, რადგან მათ ეს ყველაზე უკეთ იციან. გავრცელებული შეხედულების თანახმად, ეს ტრადიციაა, რომელიც ყველას თავისებურად და აუცილებლად ადეკვატურად ესმის. თუმცა, მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში, მაშინ, როცა გამძაფრებულია კონკურენცია ეროვნულ და საერთაშორისო ბაზრებზე, სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა პროდუქციის ხარისხს. ამ პირობებში ისმის კითხვა, რა ადგილი უჭირავს პროფესიულ განათლებას მევენახეობისა და მეღვინეობის სექტორში? ასევე, რამდენად მნიშვნელოვანი და საჭიროა ამ მიმართულების განვითარება ღვინის აკვნის სტატუსით მოსარგებლე ქვეყანაში?

თუ გადავხედავთ ტრადიციული მევენახეობა-მეღვინეობის ქვეყნებს, მეღვინეობის ისეთ პრესტიჟულ რეგიონში როგორც საფრანგეთია, აღნიშნული მიმართულებით ხუთამდე მსხვილი უნივერსიტეტი და რამდენიმე დარგობრივი კოლეჯი ფუნქციონირებს. ასეთივე მდგომარეობაა იტალიაში, გერმანიაში, აშშ-ში და მეღვინეობის ისეთ ახალ რეგიონებშიც კი, როგორებიც სამხერთ აფრიკა და ავსტრალიაა. მეღვინეობით, როგორც ქვეყნის კულტურისა და ნაციონალური სტატუსის განმსაზღვრელი დარგით, ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებს არც საქართველო ჩამოუვარდება, თუმცა, საგანმანათლებლო დონეზე აბსოლუტურად განსხვავებული მდგომარეობაა. არათუ დამოუკიდებელი დარგობრივი სასწავლებლის არსებობა, რომელიც გაზრდიდა

მაღალკვალიფიციურ მეღვინეებს, არამედ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს აღნიშნული მიმართულებით დღეს მხოლოდ 2 საჯარო პროფესიული კოლეჯი და ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) ახორციელებს, ხოლო, უმაღლესი განათლების მიმართულებით, მხოლოდ რამდენიმე უნივერსიტეტს აქვს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბოლო 3 წლის მონაცემებით საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების აგრეგირებული მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით, რომლებშიც მოიაზრება მევენახეობა-მეღვინეობის პროგრამებიც, სწავლება 2017 წელს 1 297 კურსდამთავრებულმა დაასრულა, რაც მთლიანი კურსდამთავრებულთა რაოდენობის 13% იყო, 2018 წელს – 1 667 კურსდამთავრებულმა (მთლიანი რაოდენობის 14%) და 2019 წელს – 1 705 კურსდამთავრებულმა (მთლიანი რაოდენობის 16%) დაასრულა. არსებული სტატისტიკური მასალიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მიუხედავად მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების მზარდი ტენდენციისა, პროფესიულ საგანმანათლებლო დონეზე, როგორც სპეციალობა, კვლავ ნაკლებად პრესტიჟულ მიმართულებად რჩება და არ იწვევს პოტენციური სტუდენტების მაღალ ინტერესს.

მიმდინარე ეტაპზე, პროფესიული განათლების სისტემის წინაშე მდგარ მრავალ გამოწვევას შორის, უმთავრეს გამოწვევად შესაძლებელია ჩაითვალოს საზოგადოებაში განათლების აღნიშნული ფორმის მეტად პოპულარიზება, შრომის ბაზარზე სწრაფი დასაქმების უპირატესობების ჩვენება პოტენციური სტუდენტებისათვის და კერძო სექტორის როლის გაძლიერება საგანმანათლებლო პროცესებში. პროფესიულ საგანმანათლებლო საქმიანობაში კერძო სექტორის როლის გააქტიურება მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების წინაპირობაა, რაც შრომის ბაზარზე უკეთ დასაქმების მეტ შესაძლებლობებს იძლევა კურსდამთავრებულთათვის.

ზემოაღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ, სახელმწიფოს

მხრიდან წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს პროფესიული განათლების სისტემაში სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ე.წ. დუალური პროფესიული განათლების მოდელის შემოღება და ასევე, კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამებით სწავლების დანერგვა.

გერმანიაში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებლობა სრულად აიღო სახელმწიფომ, ხოლო პროფესიულზე უფრო მეტი პასუხისმგებლობა დაეკისრა კერძო სექტორს – ბიზნესს. რატომღა მნიშვნელოვანი კერძო სექტორის როლის გაძლიერება პროფესიულ განათლებაში? რას გვაძლევს დუალური პროფესიული განათლება? აღნიშნული ფორმის საგანმანათლებლო პროგრამების შემოღებამდე სტუდენტები სასწავლებლებიდან სანარმოო პრაქტიკაზე მიდიოდნენ, თუმცა სანარმოებს არ ჰქონდათ ვალდებულება პრაქტიკაზე მყოფი სტუდენტების მიერ გავლილი სასწავლო კურსი შეეფასებინათ. ხშირ შემთხვევაში, მსგავსი პრაქტიკები მაინც უფრო გაცნობით, თეორიულ ხასიათს ატარებდა და ნაკლები იყო სტუდენტების ჩართულობა უშუალოდ ნარმოების პროცესში. მსგავსი ტიპის სწავლება სტუდენტებს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების შესაძლებლობას არ აძლევდა. დუალურ განათლებაში კი სასწავლო დანერგულებასაც და სანარმოსაც ერთნაირი უფლება აქვს, სტუდენტი დროის 60%-ს ატარებს სანარმოში, 40%-ს თეორიული ცოდნის მისაღებად სასწავლებელში, ორივე მხარე აფასებს და ორივეა პასუხისმგებელი სტუდენტის კვალიფიკაციაზე.

საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის სექტორში პროფესიული განათლების გაძლიერების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამ (GIZ). 2014 წელს საქართველოს ღვინის ასოციაციამ, GIZ-ის კერძო სექტორის განვითარების პროგრამასთან ერთად, ჩაატარა მეღვინეობაში კერძო კომპანიების საჭიროების ანალიზი, დანერგული ვენახიდან საბოლოო შეფუთვამდე დამთავრებული მოხდა ყველა პრობლემისა და

შესაძლებლობების იდენტიფიცირება, ასევე, განვითარებისა და პოტენციალის გამოვლენა ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე. ღვინის სექტორის განვითარებაში არსებული ბარიერების შესახებ ანალიზმა დაგვანახა პირველადი საჭიროებისა და პროფესიულ განათლებაში დუალური მოდელის პოტენციალის რამდენიმე საკითხი. კვლევამ წარმოაჩინა ორგანული ფერმერობის უნარების სიმწირე და ტექნიკური კადრების არასაკმარისი პროფესიონალიზმი.

ქვეყნისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ტექნიკური კადრების უნარების განვითარება, რაც მევენახეობისა და მეღვინეობის სექტორში ოპერირებად სანარმოებს მისცემს საშუალებას წარმოების პროცესში აქტიურად გამოიყენონ თანამედროვე ტექნიკა-იარაღები. ასევე, ადგილობრივი ტექნიკური კადრების კვალიფიკაციის ამაღლება შეამცირებს ისეთ სანარმო ხარჯებს, რომლებიც უკავშირდება გამოყენებული ხელსაწყოების შეკეთებას და უცხოელ ტექნიკოსებზე დამოკიდებულების ხარჯებს. ტექნიკური კადრების უნარების გაძლიერების საჭიროებას ასევე ხაზს უსვამს ვენახებში თანამედროვე ტექნიკის გამოყენების მზარდი ტენდენციაც. საქართველოს ესაჭიროება კვალიფიციური ადამიანური რესურსი, რომელსაც შეეძლება თანამედროვე ტექნოლოგიების უფრო ინტენსიურად და ეფექტურად გამოყენება და ვინც შეძლებს აწარმოოს ადგილობრივი პროდუქცია კონკურენტულ ფასად.

ზემოაღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამ (GIZ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით 2016 წელს პროექტის - „საქართველოს ღვინის სექტორის მხარდაჭერა“- ფარგლებში საქართველოში პირველად, საპილოტე რეჟიმში, მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულებით დაიწყო დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლება. თავდაპირველად პროგრამის განხორციელებაზე ავტორიზაცია მოიპოვა ორმა კოლეჯმა (სსიპ - კოლეჯი „აისი“ და სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი), რომლებმაც რვა სანარმოსთან ერ-

თად („ქინძმარაულის კორპორაცია“, „შატო მუხრანი“, „შუხმან ვაინს“, „შუმი“, „მარანული“, „შადრევანი“, „ქინძმარაულის მარანი“, „კახური ტრადიციული მეღვინეობა“) დაიწყო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება. კერძო სექტორთან მჭიდრო ურთიერთ-თანამშრომლობის ფარგლებში 2019 წლიდან დაიწყო მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.

სამსუხაროდ, დღეისათვის საქართველოში დაბალია პროფესიულ სასწავლებლებში სწავლების მსურველთა (ყოველწლიურად საშუალოდ ათი ათასი) რიცხვი და სასწავლებლებიდან პროფესიული სტუდენტების გადინების მაჩვენებელი (საშუალოდ 30%) მაღალია. აღნიშნული ტენდენცია ვრცელდება ნებისმიერი დარგის პროფესიული მომზადების პროგრამაზე. მიუხედავად მევენახეობა-მეღვინეობის სექტორის მზარდი პოტენციალისა, ამ მიმართულებითაც დაბალია ტექნიკური კადრების მომზადების კუთხით საზოგადოების დაინტერესების მაჩვენებელი. დღეისათვის, არსებული სტატისტიკური მონაცემებით, 2016-2020 წლებში მევენახეობა-მეღვინეობის პროგრამაზე ჩარიცხულია 91 სტუდენტი, საიდანაც სწავლება დაასრულა 16-მა პირმა. სსიპ - კოლეჯ „აისში“ მომზადება-გადამზადების მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით სასწავლო კურსს გადის 30 პირი. აღნიშნული რაოდენობა საკმაოდ მწირია ისეთი მზარდი პოტენციალის მქონე დარგისათვის, როგორც მეღვინეობისა და მევენახეობის სექტორია.

სამსუხაროდ, საქართველოში დღეს შრომის ბაზრის კვლევები ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს. შრომით უნარებზე მოთხოვნის შეფასება ქვეყნის ეკონომიკურ პერსპექტივებთან დამოკიდებულებაში უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო და სოციალური პარტნიორები აღიარებენ გადამზადებული და კვალიფიციური სამუშაო ძალის დიდ მნიშვნელობას ეკონომიკური განვითარების პროცესში, შრომის ბაზრისა და პროფესიული განათლების ურთიერთკავშირი შესწავლილი არ არის. საჭიროა კვლევები, რათა დროულად მოხდეს შრომის ბაზრის დინამიკის მონიტორინგი

და სწორედ მისი მოთხოვნების შესაბამისად განხორციელდეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო გარემოსა და სასწავლო პროგრამების დაგეგმვა-მოდიფიცირება.

დასკვნა

მიუხედავად საერთაშორისო პრაქტიკისა და გამოცდილების მნიშვნელობისა, პროფესიული განათლების განვითარების საქმეში ყველაფერი დამოკიდებულია ქვეყნის შიგნით არსებულ დაინტერესებულ მხარეებზე (კერძო სექტორი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, მთავრობა, სტუდენტები და სათემო ორგანიზაციები) აწარმოონ ღია დიალოგი, დააზუსტონ კონკრეტული საჭიროებები თითოეული მონაწილისათვის და განავითარონ იმგვარი პროფესიული პროგრამები, რომლებიც დააკმაყოფილებს ზემოთ ხსენებულ მოთხოვნებს. საჭიროა მეტად განვითარდეს თანამშრომლობისა და ნდობის კულტურა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, კერძო კომპანიებსა და მთავრობას შორის.

ქვეყნისათვის პროფესიული განათლების როლის გაძლიერებისა და აღნიშნული სისტემიდან მიღებული პირდაპირი და ირიბი სარგებლის ზრდისათვის საჭიროა პარალელური ქმედებები ყველა ჩართული მხარის მიერ. კერძო სექტორს უნდა მიეცეს თავისი საჭიროებისა და პრიორიტეტების მეტად გამოხატვის შესაძლებლობა. მათ ასევე უნდა გამოყონ თავიანთი რესურსები პროფესიული განათლებისათვის. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები მეტად უნდა შევიდნენ კომუნიკაციაში კომპანიებთან. საზოგადოებრივი ცნობიერება კვალიფიციური მუშახელის საჭიროებისა და პროფესიული განათლების, როგორც კარიერული კიბის, უპირატესობების შესახებ უნდა გაუმჯობესდეს, ამ კუთხით საჭიროა მეტად კონსოლიდირებული ძალისხმევა, განსაკუთრებით მთავრობის შესაბამისი ინსტიტუციების, ბიზნეს სექტორისა და პროფესიული სასწავლებლების მხრიდან. ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზების მიზნით, საჭიროა კერძო სექტორის მეტი ჩართულობა პროგრამების შემუშავების, მოდიფიცირების

სა და განხორციელების საქმეში. ეს შესაძლებელია გაფართოებული საკოორდინაციო მექანიზმებით, ფინანსური და არაფინანსური სტიმულირებით.

ლიტერატურა:

1. აფციაური ს. „როგორ გადარჩა ქართული ღვინო“ თბილისი, 2017 წელი;

2. გაბულდანი მ. ელ. ჟურნალი „ევროპა საქართველოსთვის“ სტატია, 2018 წელი. ვებგვერდი: <http://eugeorgia.info/ka/article/384/giz-ma-megvineobis-mimartulebit-dualuri-profesiuli-ganatilebis-modeli-ukve-sheimushava/>;

3. კაკუტია თ. „ადგილობრივი შრომის ბაზრის როლი პროფესიული განათლების დაგეგმვასა და განვითარებაში“, თბილისი, 2017 წელი;

4. პორტალი „მარანი“ „პროფესიული განათლება მეღვინეობა-მევენახეობის დარგში“, თბილისი, 2013 წელი. ვებგვერდი: <http://vinoge.com/print/4186>;

5. სარიშვილი ს., ჭანტურია გ. და სხვ. „მომავალზე ორიენტირებული დუალური პროფესიული კვალიფიკაციები სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში“;

6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ვებგვერდი: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/637/eksporti>;

7. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წერილი (სტატისტიკური ინფორმაცია), 2021 წელი;

8. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2020, 2019, 2018 წლების. ვებ-გვერდი: <https://www.geostat.ge/ka/single-archive/3351>;

9. ჟურნალი „აგროკავკასია“ „დუალური განათლება – გერმანული გამოცდილება – საქართველოსთვის“, 2016 წელი. ვებგვერდი: <https://agrokavkaz.ge/agroplus/dualuri-ganathleba-germanuli-gamotsdileba-saqarthvelosthvis.html>;

10. ჟურნალი „კომერსანტი“ „უძველესი მეღვინეობის კერა საქართველოში“, 2016 წელი. ვებგვერდი: <https://commerciant>.

ge/ge/post/udzvelesi-megvineobis-kera-saqartvelosh;

11. ხარაიშვილი ე. „ღვინის ბაზარი და მევენახეობა-მელვინეობის დივერსიფიკაციის კონკურენტული მოდელები საქართველოში“, თბილისი, 2017 წელი. ვებგვერდი: <http://eprints.tsu.ge/340/1/Wine%20Market%20and%20Competitive%20Models%20of%20Diversification%20of%20the%20Viticulture-Wine-making%20Industry%20in%20Georgia.pdf>;

REFERENCES:

1. Aptsiauri S. “How the Georgian wine survived”. Tbilisi, 2017;
2. Gabuldani M. online journal “Europe for Georgia”, article, 2018. Web-page: <http://eugeorgia.info/ka/article/384/giz-ma-megvineobis-mimartulebit-dualuri-profesiuli-ganathlebis-modeli-ukve-sheimushava/>;
3. Kakutia T. “The Role of local labor market in planning and development of vocational education”, Tbilisi, 2017.
4. Portal “Marani” “Vocational Education in Viticulture and Oenology”, Tbilisi, 2013. Web-page: <http://vinoge.com/print/4186>;
5. Sarishvili S., Chanturia G. et al. “Dual vocational qualifications focused on future in Armenia, Azerbaijan and Georgia”;
6. National Statistics Office of Georgia, web-page: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/637/eksporti>;
7. Letter (statistical data) of LEPL Education Management Information System, 2021;
8. Georgia’s statistical years 2020, 2019, 2018. web-page: <https://www.geostat.ge/ka/single-archive/3351>;
9. Journal “Agro Caucasus” “Dual Education – German Experience for Georgia, 2016. Web-page: <https://agrokavkaz.ge/agroplus/dualuri-ganathleba-germanuli-gamotsdileba-saqarthvelosthvis.html>;
10. Journal “Comersanti” „Ancient wine-making in Georgia”, 2016. Web-page: <https://commersant.ge/ge/post/udzvelesi-megvineobis-kera-saqartvelosh>;
11. Kharaiashvili E. “Wine market and specific models of viticulture and oenology diversification in Georgia”, Tbilisi, 2017.

**THE ROLE OF VOCATIONAL EDUCATION
IN THE DEVELOPMENT OF THE VITICULTURE AND
OENOLOGY SECTOR OF GEORGIA**

Natia Gorgadze

PhD student,
Georgian Technical University,
Natia_gorgadze@yahoo.com

RESUME

Today, the viticulture and oenology sector in Georgia has a fair potential for development. According to the statistical data, the income from the wine production is growing year by year for the country.

Maintaining the growing potential of productivity in the viticulture and oenology sector is linked to the stable quality of grape and wine. The skilled workforce represents one of the essential components for ensuring production of high-quality products. Vocational trainings can provide both, the prospective and existing employees of the viticulture and oenology sector with the possibility to develop necessary skills.

Moreover, each country has its own unique cultural, economic and social aspects that have to be taken into consideration in the process of assessing and reforming the country's educational potential. Numerous countries rely on the "mixed systems" that combine different types of work-based learning, including school-based vocational education and dual vocational education programs.

However, in view of international best practice, dual programs are considered to be the best mode of instruction for vocational programs in the direction of viticulture and oenology.

Introduction of work-based learning with the so called dual vocational education programs by the state in recent years, can be considered as a step forward in this direction.

Also, the state offers short-term vocational education programs within the framework of close cooperation with the private sector.

The viticulture and oenology sector is the first, together with the tourism sector, to be recognized as a priority by the state, therefore the training of students with dual vocational education programs has been piloted.

In summary, for a vocational student, dual vocational education programs involve pursuing studies at a vocational education institution, where a student takes a theoretical course on a future profession, as well as a practical course necessary for acquiring practical and technical skills for the profession. This form of teaching provides more opportunities for deepening the public-private partnerships in education. On the one hand, it helps to reduce budgetary expenditures of the state and, on the other hand, allows the system to receive additional financial as well as intangible benefits. The interest of the private sector to participate in the educational process is multifaceted. However, one of the main reasons for the interest is possibility to hire experienced workforce in the future. Increasing the private sector involvement and delegating responsibilities to the private sector by the state represents a good opportunity to train/retrain qualified staff. This factor can be considered as a prerequisite for matching workforce demand and supply on the labor market. Training of highly qualified staff guarantees reduction of unemployment and poverty and ensures sustainable economic development of the country.

Keywords: vocational education, dual vocational education programs, work-based learning, viticulture and oenology sector.



**ბიზნესი, მენეჯმენტი,
მარკეტინგი**



სინერგიის ეფექტის ფორმირების მექანიზმი

doi.org/10.36962/104/6-9/202169116

თამარ ღამბაშიძე
სტუ პროფესორი
მაყვალა რობაქიძე
სტუ დოქტორანტი
mrobakidze@beeline.ge

რეზიუმე

სინერგია განიხილება, როგორც ორი ან მეტი ფაქტორის ერთობლივი, დამატებითი და ურთიერთდამოკიდებული მოქმედება რომელიმე ერთი მიმართულებით. ამავე დროს, სინერგიის ამჟამინდელ ეტაპზე შესაბამისობა განისაზღვრება საკმაოდ რთული სისტემების განსაკუთრებული მდგომარეობით არასტაბილურობის პირობებში, არასტაბილური პოზიციის, ნონასნორობის და შესაბამისად, მათი თვითორგანიზაციის დინამიკაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სინერგია შეიძლება განისაზღვროს როგორც ერთგვარი თანამშრომლობა, ურთიერთდაკავშირებული და კოორდინირებული ქმედებები, რომლებიც შეიძლება გამოიხატოს სტრატეგიული პარტნიორობის, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის, შერწყმისა და თანამშრომლობის ურთიერთქმედების სახით.

საკვანძო ტერმინები: სინერგიული ეფექტი, სტატიკური და დინამიური სინერგია, კომბინირებული ძალისხმევა, საინვესტიციო სინერგია.

ქირითადი ტექსტი

გარე გარემოში მომხდარმა ცვლილებებმა, სხვადასხვა თანამედროვე ბიზნეს ინოვაციების გაჩენამ და მენეჯმენტის პრო-

ცესში ინოვაციურმა მიდგომებმა, ხელი შეუწყო იმ რეალობის დადგომას, რომ ბიზნეს გარემო გახდა არასტაბილური და არაპროგნოზირებადი. ამისათვის საჭირო გახდა ახალი შეხედულებების და ინსტრუმენტების შემოტანა მენეჯმენტში. ჯერ კიდევ 1980-იან წლებში. მენეჯმენტის გარემოში გაითვალისწინეს, რომ ჩვეულებრივი ტრადიციული იერარქიული მოდელები, “საათის” მოდელები, რაც გარკვეულწილად საშუალებას აძლევდა ორგანიზაციას განხორციელებულიყო პროგნოზირება და კონტროლი, ახლა უკვე საჭიროებს ჩანაცვლებას არატრივიალური მენეჯერული გადაწყვეტილებებით და მიდგომებით.

რიგმა ორგანიზაციებმა და საწარმოებმა გამოსავალი იპოვნეს თავიანთი საქმიანობის დივერსიფიკაციაში, სხვები კი პრობლემის გადაჭრის გზას მიადგნენ შერწყმისა და გაერთიანების გზით, ასევე სტრატეგიულ ბიზნეს ერთეულებზე დაფუძნებული მასშტაბის ეკონომიკის კომპეტენტური გამოყენებით. ეს, თავის მხრივ, განსაზღვრავს სინერგიული პროცესების გამოყენების აუცილებლობას, ეფექტებს ორგანიზაციების განვითარებისა და ეფექტურობისთვის და, შესაბამისად, მთლიანად ეკონომიკის განვითარებაზე.

სინერგია ეკონომიკაში ვლინდება, როგორც საქმიანობის ეფექტიანობის ზრდა, კომბინაციის, შეერთების, ინტეგრაციის, ცალკეული ნაწილების ერთ სისტემაში შერწყმის შედეგად, ე.წ. სისტემური ეფექტის წარმოქმნის გამო, ანუ შედეგად ვლენულობთ სისტემის ახალი თვისებების ნაერთს.

სინერგია განიხილება, როგორც ორი ან მეტი ფაქტორის ერთობლივი, დამატებითი და ურთიერთდამოკიდებული მოქმედება რომელიმე ერთი მიმართულებით. ამავე დროს, სინერგიის ამჟამინდელ ეტაპზე შესაბამისობა განისაზღვრება საკმაოდ რთული სისტემების განსაკუთრებული მდგომარეობით არასტაბილურობის პირობებში, არასტაბილური პოზიციის, წონასწორობის და შესაბამისად, მათი თვითორგანიზაციის დინამიკაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სინერგია შეიძლება განისაზღვროს როგორც ერთგვარი თანამშრომლობა, ურთიერთდაკავშირებული და კოორდინირებული ქმედებები, რომ-

ლებიც შეიძლება გამოიხატოს სტრატეგიული პარტნიორობის, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის, შერწყმისა და თანამშრომლობის ურთიერთქმედების სახით.

სტრატეგიული მენეჯმენტის წამყვანმა ექსპერტებმა დევიდ ა. აიკერმა და ჯერი ჯონსონმა განსაზღვრეს “სინერჯის” არსი - მთლიანობაში უფრო მეტი ხდება, ვიდრე მისი ნაწილების ჯამი, ანუ კომპანიის ორი ან მეტი სტრატეგიული ბიზნეს ერთეულის ურთიერთქმედება უფრო მეტს იძლევა, ვიდრე თითოეული მათგანის ცალკეული საქმიანობა. ამავდროულად, განვითარებულ სინერჯიას შეუძლია გაზარდოს არა მხოლოდ პროდუქტის ან მომსახურების ღირებულება მომხმარებლისთვის, არამედ ზოგადად გაყიდვების მოცულობა, ასევე ხელი შეუწყოს ორგანიზაციაში წარმოების ხარჯების მნიშვნელოვან შემცირებას.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ ორი ან მეტი ფაქტორის ერთობლივი გამოყენება და მოქმედება თითქმის ყოველთვის მნიშვნელოვნად განსხვავდება ცალკეული ეფექტების ჯამისგან და დღეს ეს ეფექტი განისაზღვრება როგორც სინერჯიული ეფექტი, რომელიც მოქმედებს როგორც ურთიერთქმედების ფაქტორი, განისაზღვრება როგორც კოოპერაციული ეფექტი და წარმოადგენს სინერჯიის გარკვეულ რაოდენობრივ გამოხატულებას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს ეფექტი გაცილებით ძლიერია, ვიდრე თითოეული ფაქტორის ცალკეული ეფექტის ჯამი. დღეს სინერჯიის ეფექტი ყველაზე ხშირად განისაზღვრება ფორმულის სახით “ $1 + 1 \gg 3$ ”, “ $2 + 2 \gg 4$ ”, “ $2 + 2 \gg 5$ ”. ეს შეიძლება განისაზღვროს, როგორც “მთლიანობა უფრო მეტია, ვიდრე ცალკეული ნაწილების ჯამი”.

ამჟამად, მენეჯმენტის პრაქტიკაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სინერჯიულ მოქმედებაში განხორციელებულ სამ მთავარ პროცესს, რომლებიც შეიძლება გაერთიანდეს, როგორც ერთგვარი “კოლექტიური აზროვნება” - ეს, პირველ რიგში, არის:

- ადეკვატური დაგეგმვა;
- ორგანიზაციის თანამშრომლებს შორის ცოდნისა და მიმდინარე ინფორმაციის ეფექტური გაცვლა;
- სამუშაოების მუდმივი კოორდინაცია.

გარდა ამისა, სინერგიული ეფექტი ფასდება სამი ცვლადით - მოგების ზრდა, საოპერაციო ხარჯების შემცირება და ინვესტიციების საჭიროების შემცირება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სინერგია თანამედროვე პირობებში შეიძლება მოხდეს როგორც ვერტიკალურად, ისე ჰორიზონტალურად. ამ შემთხვევაში, სინერგიის ეფექტი, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი, შეიძლება წარმოიშვას ორგანიზაციის ყველა შემადგენელი ელემენტისა და ფაქტორის ურთიერთქმედების შედეგად. ასე რომ, თუ ელემენტები და ფაქტორები არ ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან, მაშინ, ბუნებრივია, არსებობს უარყოფითი სინერგიული ეფექტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ეს ადეკვატურია, დადებითიც.

ამ თვალსაზრისით, ორგანიზაციის მართვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა მენეჯმენტის ყველა დონეზე, როგორც კორპორატიული, ასევე საქმიანი და ფუნქციურის, არის სრული ჰარმონიის ფორმირების ხელსაყრელი პირობების შექმნა. ამას კი უზრუნველყოფს სინერგიის კლასიფიკაცია. (იხ. ცხრილი)

შესაბამისად, სინერგიის კანონის მოქმედება მიზნად ისახავს ორგანიზაციის ფუნქციონირების ეფექტიანობის ძირითად პარამეტრებს, ხოლო მენეჯმენტის აპარატმა უნდა შეიმუშაოს ამ კანონის გამოყენების ეფექტური მექანიზმი. უნდა აღინიშნოს, რომ სინერგიული ეფექტის კონცეფცია და ტიპები ხელს უწყობს ორგანიზაციის მენეჯმენტს, უფრო დეტალურად განიხილოს და მოიძიოს კონკურენტული შესაძლებლობები ორგანიზაციის საქმიანობისთვის. დღეისათვის ნიშანდობლივია გამოვყოთ შემდეგი სინერგიული ეფექტები:

- სინდრომის სინერგია
- შრომის კომბინაცია, როგორც ჰეტეროგენული ძალისხმევის კავშირი - ეს ეფექტი ემყარება ორგანიზაციაში შრომის დანაწილების პრინციპს;
- გაყიდვების სინერგია - ემყარება განაწილების არხების და ლოგისტიკის რგოლის პერსონალის ერთობლივ მუშაობას სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების გასაყიდად;
- ოპერატიული სინერგია;

კლასიფიკაციის ნიშნები	სინერგიის სახეები
მოგების წყარო	<ul style="list-style-type: none"> • ვაჭრობა • მოქმედი • ინვესტიცია • მენეჯერული
საქმიანობის დაწყება	<ul style="list-style-type: none"> • ფულადი დანაზოგი • დროის დაზოგვა
ოპერაციული საქმიანობა	<ul style="list-style-type: none"> • ეფექტი, მასშტაბი • დიდი ოდენობით პროდუქციის ზედნადები ხარჯების განაწილება
ფუნქციური სფერო: ზოგადი მენეჯმენტი და ფინანსები, კვლევა და განვითარება, მარკეტინგი, ოპერაციები	<ul style="list-style-type: none"> • მშობლიური კომპანიის წვლილი • ახალი ორგანიზაციის წვლილი • ერთობლივი შესაძლებლობების სახით • სასაქონლო ბაზრებზე წვდომა
დროის პერიოდების მიხედვით	<ul style="list-style-type: none"> • სტატიკური სინერგია • დინამიური სინერგია
ურთიერთობის ტიპი განყოფილებებს შორის	<ul style="list-style-type: none"> • მასალა • არამატერიალური • კონკურენტუნარიანი
სინერგიული ღირებულების შექმნის მექანიზმი	<ul style="list-style-type: none"> • რესურსების გაზიარება • "მსგავსი" ინდუსტრიები • ზოგადი სურათი

- საინვესტიციო სინერგია;
- "საერთო საქონლის" მოდელი;

შეგვიძლია ვთქვათ, რომ სინერგია არის მენეჯმენტის პროცესში ორგანიზაციის სტრატეგიული პოტენციალის კომპეტენტურად გამოყენების მექანიზმი, სადაც ელემენტები და ფაქტორები ერთობლივად ხელს უწყობენ ახალი საქონლისა და მომსახურების წარმოებას, ახალი ბაზრების დაპყრობას, ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიის მაღალი ხარისხით უზრუნველყოფას.

თანამედროვე ეკონომიკაში, განვითარების ამჟამინდელ ეტ-

აპზე ვლინდება მრავალი სინერგიული თვისება. ეკემპბელი ამტკიცებს, რომ სინერგიის უპირატესობა წარმოიქმნება მაშინ, როდესაც საქმიანობა ან პროცესი ერთმანეთს ავსებს ისე, რომ მთლიანი ეფექტი აღემატება მისი შემადგენელი ნაწილების მარტივ ჯამს.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეს მენეჯერებს ყოველთვის არ შეუძლიათ მიიღონ სასურველი სინერგიის ეფექტი, რადგან მათ არ შეუძლიათ ობიექტურად შეაფასონ სიტუაცია და მკაფიოდ გამოთვალონ სხვადასხვა მოვლენის რეალური ეფექტი, მნიშვნელოვანია შესაძლო რისკების იდენტიფიცირება გარემოში, რომლებიც ხელს უშლის მენეჯმენტის გადანყვეტილებების განხორციელების ეფექტიან პროცესს. მაიკლ პორტერი წიგნში „კონკურენტული უპირატესობა“, აღნიშნავს რომ სინერგიის ფიასკოს მიზეზი არის კომპანიის ხელმძღვანელობის უუნარობა, ზუსტად ჩანვდნენ მის არსს და სულაც არ არის ეს თავად კონცეფციის „ხარვეზებით“ გამონვეული.

სინერგიული ეფექტი ეკონომიკაში, გარემო ფაქტორების ცვლილებებით გამონვეულ გარემოცვაში, ვლინდება მსგავსი ბიზნეს ინტერესების მქონე კომპანიების შენაძენების, შერწყმისა და კომბინაციების სახით ან იგივე ბაზრის ნიშის დაკავების სახით. ნებისმიერი სახის აქტივების ინტეგრაცია საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაიზარდოს რესურსების ბაზა და ისეთი თანხები მოიძებნოს ინვესტიციებისათვის, რომელთა მოძებნა ერთეული ორგანიზაციისთვის რთულად მოსაძიებაელია. კომპანიებს აქვთ უნიკალური შესაძლებლობა გამოიყენონ ერთმანეთის მიღწევები, ძლიერი მხარეები, რისი საშუალებითაც ხდება საფრთხეების მინიმიზაცია და მეტიც - შესაძლებლობებად გადაქცევა.

გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:

1. <http://www.cnn.com/2004/BUSINESS/02/17/att.wireless/>.
2. P.A. "Synergy and Self-organization in the Evolution of Complex Systems." *Systems Research* 12, no. 2 (2005): 89–121.
3. Gupta, D., and Y. Gerchak. "Quantifying Operational Synergies in a Merger/Acquisition." *Management Science* 48, no. 4 (2009): 517–33.
4. Kreps, G.L. *Organizational Communication*. 2nd ed. Boston: Addison-Wesley, 2000.
5. Lehman, C.M., and D.D. DuFrene. *Business Communication*. 14th ed. Mason, OH: Thomson/South-Western, 2007.
6. Millman, G.J. "Desperately Seeking Synergy." *Financial Executive* 16, no. 2 (March 2015):

SYNERGISTIC EFFECT FORMATION MECHANISM

Ghambashidze Tamar

Associate Professor of Georgian Technical University

Makvala Robakidze

PhD Student of Georgian Technical University

mrobakidze@beeline.ge

RESUME

Synergy, also known as synergism, refers to the combined effects produced by two or more parts, elements, or individuals. Simply stated, synergy results when the whole is greater than the sum of the parts. For example, two people can move a heavy load more easily than the two working individually can each move their half of the load. Synergy can be a positive or negative outcome of combined efforts.

According to the American Heritage Dictionary, the term “synergy” is derived from the Greek word *sunergos*, meaning “working together.” Positive synergy is sometimes called the $2 + 2 = 5$ effect. Operating independently, each subsystem can produce two units of output. However, by combining their efforts and working together effectively, the two subsystems can produce five units of output. Negative synergy can be called the $2 + 2 = 3$ effect. Again, individuals operating alone can each produce two units of output. However, with negative synergy, the combination of their efforts results in less output than what they would have achieved if they had each worked alone. Negative synergy can result from inefficient committees, business units that lack strategic fit, and from other poorly functioning joint efforts.

The state and efficiency of any organization is influenced by many internal and external factors. According to the property of emergence, the combined effect of several factors is almost always different from the sum of separate effects. It is this difference, commonly referred to as the synergy effect, interaction factor, or cooperative effect, that is the quantitative expression of synergy.

The paradigm of synergy proceeds from the recognition of the fact that in the process of development, beneficial results obtained by the integrity of the organization are responsible for the well-being of its parts, members. In essence, the doctrine of synergy is an “economic” theory of complexity.

Synergy is emphasized in organization theory. The principle of emergence of complex systems is put at the head of the law of synergy: the joint action of several factors always or almost always differs from the sum of separate effects.

Thus, the synergy effect is not only a favorable combination of resources, but also coordinated behavior, connections, relationships; in a word, the entire set of parameters characterizing a complex developing

Key terms

Keywords: Synergy effect, Combined efforts, Statistical and dynamic synergy, Investment synergy system.

**ტექნოლოგიური ინოვაციები სახელმწიფო
მმართველობის
ტრანსფორმაციის კონტექსტში**

**ბლოკჩეინ ტექნოლოგია: დანერგვის პრობლემები,
უპირატესობები და ნაკლოვანებები**

doi.org/10.36962/104/6-9/202169124

ნატალია კანდელაკი
სტუ-ს დოქტორანტი
nataliakandelaki89@gmail.com

რეზიუმე

XXI საუკუნე ხასიათდება ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებით და მათი დანერგვით სხვადასხვა სფეროში. აღნიშნულმა პროცესმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მმართველობით სფეროზე და გამოიწვია სახელმწიფოების მართვის პარადიგმის ცვლილება.

დღესდღეობით, ეფექტიანი სახელმწიფო მართვა წარმოუდგენელია ელექტრონული მმართველობის გარეშე. ელექტრონული მმართველობა სახელმწიფო მმართველობის მდგრადი განვითარების ინსტრუმენტია, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო მმართველობის ტრანსფორმაციას თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიური ინოვაციების გამოყენებით.

ციფრულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ელექტრონული მმართველობის ინოვაციური გადაწყვეტილებების დანერგვა, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე, ქვეყნისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. სტატიაში განხილულია მსოფლიო ტექნოლოგიური ინოვაცია - ბლოკჩეინი, გაანალიზებულია მისი დანერგვის პრობლემები, უპირატესობები და ნაკლოვანებები, რაც მნიშვნელოვანია ელექტრონული მმართველობის, როგორც სახელმწიფო მართვის ახალი ფორმის დამკვიდრებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ბლოკჩეინი, ინოვაციური ტექნოლოგიები, სახელმწიფო მმართველობა, ელექტრონული მმართველობა.

შესავალი

„თავდაპირველად ისინი ვერ გამჩნევენ, შემდეგ დაცინვის საგნად გაქცევენ, შემდეგ იწყებენ შენთან ომს, საბოლოოდ ხოტბას გასხამენ ...“ – ეს ციტატა ამერიკელ ადვოკატს ნიკოლას კლეინს ეკუთვნის, რომელიც მან თავის ერთ-ერთ გამოცდაში წარმოთქვა. ხშირად ამ ციტატას შეცვლილი ფორმით მაჰათმა განდის¹ მიაკუთვნებენ. კლეინმა ციტატა დაახლოებით 100 წლის წინ წარმოთქვა სრულიად სხვა ვითარებაში, მაგრამ ეს სიტყვები საუკეთესოდ მიესადაგება სიტუაციას, რომელიც განვითარდა არც თუ ისე დიდი ხნის წინ კონკრეტული ფენომენის გარშემო, რომელიც თანამედროვე ცხოვრებაში სწრაფად ვითარდება და წარმოშობს მრავალ მოსაზრებას. დისკურსის ფაქტი, ნიშნავს, რომ ფენომენი, რომელიც აქტუალურია ფართო წრეებისთვის არის არაორდინალური და იმსახურებს გააზრებულ შესწავლას. ეს ფენომენი - არის **ბლოკჩეინ (ინგლ. Blockchain ანუ “ბლოკჯაჭვი”)** ტექნოლოგია და მის საფუძველზე შექმნილი პროექტები.

ბლოკჩეინის ისტორია 90-იანი წლების დასაწყისით თარიღდება. კერძოდ, **სტიუარტ ჰაბერმა და სკოტ სორნოტმა** 1991 წელს წარმოადგინეს ნამუშევარი, რომელშიც აღწერილი იყო კრიპტოგრაფიულად დაცული ბლოკების ჯაჭვის მუშაობის პრინციპი[1]. ისინი მიზნად ისახავდნენ ისეთი სისტემის შექმნას, რომელიც გააერთიანებდა რამდენიმე დოკუმენტს და შეუძლებელი იქნებოდა მათი გაყალბება[2]. 1992 წელს განხორციელდა შექმნილი სისტემის მოდერნიზაცია, მას დაემატა მერკლის (ინგლ. Merkle tree) ხეები², ამით შესაძლებელი გახდა

1 მოჰანდას კარამჩანდ განდი ან მაჰათმა განდი - ხალხის ეროვნული წინამძღოლი ინდოეთში. ის იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ინდოეთის დამოუკიდებლობის მოპოვებაში. <https://en.wikipedia.org/wiki/MahatmaGandhi>

2 მერკლის ხე (ინგლ. Merkle tree) - ჰეშების (კრიპტოგრაფიულად გადაქმნილი მონაცემების) ერთობლიობა. მერკლის ხის სტრუქტურაში წა-

ერთ ბლოკში მეტი დოკუმენტის შეგროვება, რამაც გაზარდა სისტემის მუშაობის ეფექტურობა. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ბლოკჩეინ ტექნოლოგიამ მსოფლიო მასშტაბით, აქტუალურობა შეიძინა 2008 წელს. მისი შექმნა დაკავშირებულია ანონიმურ პირთან /პირთა ჯგუფთან, რომელიც ცნობილია სატოში ნაკამოტოს (Satoshi Nakamoto) სახელით. სატოში ნაკამოტომ პირველი ბლოკჩეინის კონცეპტუალიზაცია მოახდინა სწორედ 2008 წელს, საიდანაც იწყება ბლოკჩეინის განვითარება და გამოყენება სხვადასხვა აპლიკაციებისთვის. 2009 წელს სატოში ნაკამოტომ პირველად გამოაქვეყნა ტექნიკური დოკუმენტი ინოვაციური ტექნოლოგიის შესახებ სახელწოდებით - „Bitcoin: A Peer-to-Peer Electronic Cash System“. დოკუმენტში დეტალურად იყო აღწერილი ტექნოლოგიის დეცენტრალიზაციის შესახებ, რაც მიუთითებდა მის სანდო გამოყენებაზე. ამავე წელს ბლოკჩეინი საფუძვლად დაედო კრიპროვალუტის - ბიტკოინის ეფექტიან ფუნქციონირებას.

ძირითადი ნაწილი

ბლოკჩეინ ტექნოლოგია მისი განვითარების ადრეულ სტადიაზეა. ლიტერატურის და პუბლიკაციების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ბლოკჩეინის საჯარო სექტორში დანერგვის პერსპექტივა არაერთ ავტორს აქვს განხილული, რომლებიც აანალიზებენ ბლოკჩეინ ტექნოლოგიის დანერგვის ეფექტურობას და პერსპექტივებს სახელმწიფო ორგანოთა მმართველობაში. **Svein Ølnes, Jolien Ubacht, Marijn Janssen** თავიანთ ნაშრომში „Blockchain in government: Benefits and implications of distributed ledger technology for information sharing“ [3] აღნიშნავენ, რომ ტექნოლოგია შეცნობის სტადიაშია, ამიტომ მისი დანერგვა უნდა დაიწყოს ეტაპობრივად, მცირე მასშტაბიანი ექსპერიმენტებით. ნებისმიერი წარუმატებლობა ამ კუთხით, იქნება „ძვირადღირებული“. აღნიშნული საკითხი

რმოადგენილია ერთი ძირითადი (ფუძე) ჰეში, რომელიც დაკავშირებულია სხვა ჰეშებთან. ეს მოდელი გამოიყენება მონაცემების ეფექტური შენახვისათვის ბლოკჩეინ სისტემაში. <https://en.wikipedia.org/wiki/Merkletree>

აგრეთვე შესწავლილია Nordrum Amy[4], Konashevych Oleksii[5], Van Engelenburg Sélinde[6] ავტორთა მიერ. ანალოგიური დასკვნები გააკეთეს შემდეგმა ავტორებმა: **А.В. Клечиков, М.М. Пряников, А.В. Чугунов**[7].

შესაბამისად, ტექნოლოგიის დანერგვის ყველაზე დიდი სირთულე მისი რეალური შესაძლებლობების გაცნობიერებაში მდგომარეობს. კონკრეტულ წყაროებზე [8,9,10] დაყრდნობით, შესაძლებელია გამოვყოთ ბლოკჩეინ ტექნოლოგიის დანერგვის სამი პრობლემური საკითხი:

- არქიტექტურული;
- ინფორმაციული უსაფრთხოება;
- სამართლებრივი რეგულირება.

სისტემის არქიტექტურა არის ბლოკჩეინ ტექნოლოგიის მთავარი პრობლემა. ბლოკჩეინზე დაფუძნებული სისტემები აგებულია სპეციფიკური წესების საფუძველზე. კერძოდ, სისტემა იმართება დეცენტრალიზებულად და ეფუძნება ანონიმურობას [9]. ეს არის შუამავლის გარეშე მოქმედი სისტემა, რომელიც შედგება ინდივიდუალური ე.წ. ბლოკებისაგან და ქმნის დეცენტრალიზებულ ქსელს, რომელშიც ყველას აქვს უფლება მესამე პირის გარეშე მოახდინოს ტრანზაქცია ერთ ან რამდენიმე მონაწილესთან. არსებულ მონაცემთა ქსელებისგან განსხვავებით, ბლოკჩეინი დამოუკიდებლად, ე.წ. ცენტრალური რგოლის გარეშე, ერთი პირის მეორე პირთან პირდაპირი ურთიერთქმედების საფუძველზე მუშაობს. აქამდე არსებული ქსელები „სერვერიკლიენტის“ პრინციპით მუშაობდა და მუშაობს. შესაბამისად, ბლოკჩეინ ტექნოლოგიის არქიტექტურის სპეციფიკის გათვალისწინებით, უნდა განისაზღვროს დანერგვის სფეროები ისე, რომ ამ ტექნოლოგიის მუშაობის პრინციპი იყოს ადეკვატური კონკრეტული სფეროსთვის. ბლოკჩეინ ტექნოლოგიის მორგება იქ, სადაც მისი გამოყენება არ არის გამართლებული, დიდ პრობლემას წარმოადგენს. ამიტომ, სანამ მოხდება ბლოკჩეინის მისი კლასიკური გაგებით დანერგვა, შესწავლილ უნდა იქნას მისი არქიტექტურის სპეციფიკა, მუშაობის პრინციპი. ამავდროულად უნდა დაისვას კითხვა, ხომ არ არის გამართლებული

ალტერნატიული სისტემის დანერგვა? თუ ამ კითხვაზე პასუხი დადებითია, ე.ი. ბლოკჩეინის გარეშე შესაძლებელია კონკრეტულ სფეროში პრობლემების დაძლევა.

ინფორმაციული უსაფრთხოება. ბლოკჩეინზე განთავსებული მონაცემების უსაფრთხოება იმდენად მედეგია, რომ დამატებითი ექსპერტიზის საჭიროება პრაქტიკულად ნულდება. ამავე დროს, ამ მონაცემთა მონესრიგებულობისა და უსაფრთხოების გასაძლიერებლად, ბლოკჩეინი ემყარება ე.წ. კონსენსუსის წესთა უმკაცრეს ერთობლიობას, რომელიც ამ მონაცემების გაყალბებას იმდენად ძვირს ხდის, რომ მის განხორციელებას აზრი ეკარგება ნებისმიერი ტიპის ტრანზაქციისათვის. თუმცა, მიუხედავად აღნიშნული ფაქტისა, ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხი ორი პრობლემის ფორმულირებას ახდენს: თეორიული და პრაქტიკული. თეორიული ასპექტი დაკავშირებულია კონსენსუსის პროტოკოლების სამეცნიერო დონეზე არასაფუძვლიან დამუშავებასთან/შესწავლასთან. ამჟამად, არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი აზრი, როგორი უნდა იყოს კონსენსუსის (შეთანხმების) პროტოკოლი, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბლოკჩეინ სისტემის უსაფრთხოება ამა თუ იმ შეტევებისგან. პრაქტიკაში, ყველაზე ხშირად გამოყენებად ბიტკოინ ბლოკჩეინის **Proof-of-work** პროტოკოლზე (მუშაობის დამადასტურებელი მექანიზმი) შესაძლოა განხორციელდეს ესა თუ ის შეტევები. შესაბამისად, არსებობს (თეორიული) დაშვება, რომ თუ გამოთვლითი სიმძლავრეების ნახევარზე მეტი (51%) აღმოჩნდა ერთი მონანლის კონტროლის ქვეშ, მაშინ ის შეძლებს სისტემის მართვას და გარკვეული ტიპის მანიპულაციების განხორციელებას.

სამართლებრივი რეგულირების საკითხი, საკმაოდ აქტუალურია. ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენება დაკავშირებულია სამართლებრივ სირთულეებთან. თითოეული ტრანზაქცია კვეთს კონკრეტული ქვეყნის საზღვრებს, ე.ი მოქმედი იურისდიქციის ფარგლებს გარეთ ფუნქციონირებს, რადგან ბლოკჩეინ კვანძები განთავსებულია ქაოტურად მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოში. შესაბამისად, შეცდომით ან უკანონოდ განხორციელებული ტრანზაქციის შემთხვევაში, მის შესრულებაზე

პასუხისმგებელი პირის დადგენა საკმაოდ რთულია. მნიშვნელოვანია შემუშავდეს კანონები და ნორმატიული აქტები ბლოკ-ჩეინთან მიმართებაში, ვირტუალური კონტრაქტების შესახებ, ასევე დეცენტრალიზებული სისტემების შესახებ [9].

საქართველო ბლოკჩეინ ტექნოლოგიის დანერგვის კუთხით ერთ-ერთი პირველია მსოფლიოში. თავდაპირველად ტექნოლოგიის გამოყენება განხორციელდა უძრავი ქონების რეგისტრაციის მიმართულებით. ამ სფეროში ბლოკჩეინის გამოყენების უპირატესობების და ნაკლოვანებების გამოვლენის მიზნით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში (NAPR) 2020 წლის ივლისში ჩატარდა კვლევა. **კვლევის ფარგლებში დადგინდა:**

- უძრავი ქონების რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციის გლობალურ ბლოკჩეინ სისტემაში განთავსების იდეა, წამოვიდა კომპანია ბითფურისაგან (Bitfury)¹. იმის გათვალისწინებით, რომ უძრავი ქონების რეგისტრაციის შედეგად მიღებული დოკუმენტების - ამონაწერების შენახვა წარმოებს ბიტკოინ ბლოკჩეინის სისტემაში, შენახვის ტრანზაქციის ხარჯები საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული, რომელსაც სწორედ კომპანია ბითფური ანაზღაურებს.

- ბლოკჩეინი დეცენტრალიზებული მონაცემთა ბაზაა, ამიტომ ცენტრალიზებული მონაცემთა ბაზისგან (ტრადიციული სერვერებისგან) განსხვავებით, ბიტკოინ ბლოკჩეინში ანუ ყველაზე დიდ გლობალურ ქსელში ინფორმაციის შენახვა, დამატებითი საერთაშორისო დონის უსაფრთხოებაა. ეს კი დამატებითი უპირატესობაა ამ ტექნოლოგიის - ტრადიციულ სერვერებთან შედარებით.

- ბლოკჩეინში ინფორმაციის გაყალბების ერთადერთი შესაძლებლობა და ისიც თეორიული (არ არსებული შესაძლებლო-

1 Bitfury - მრავალპროფილური ბლოკჩეინ კომპანია, ჩინეთის ფარგლებს გარეთ უმსხვილესი მაინერი, პროგრამული და ტექნიკური უზრუნველყოფის დეველოპერი ბიტკოინ ბლოკჩეინთან მუშაობის კუთხით. კომპანიის ოფისები განლაგებულია: სან-ფრანცისკოში, ვაშინგტონში, ჰონკონგში, ლონდონში და ამსტერდამში. მონაცემთა ცენტრები (Data Center) მდებარეობს ისლანდიაში, აგრეთვე საქართველოში. <https://ru.wikipedia.org/wiki/Bitfury>

ბა) არის შემთხვევა, თუ გამოთვლითი სიმძლავრეების ნახევარზე მეტი (51%) აღმოჩნდა ერთი მონაწილის კონტროლის ქვეშ, მაშინ ის შეძლებს სისტემის მართვას და გარკვეული ტიპის მანიპულაციების განხორციელებას, თუმცა ეს პრაქტიკულად თითქმის შეუძლებელია.

- საჯარო რეესტრისთვის ბლოკჩეინის გამოყენების პირველი ფაზა შემოიფარგლა ამონაწერების შენახვით ბლოკჩეინში, ხოლო მეორე და საბოლოო ფაზა იქნება სმარტ-კონტრაქტების დანერგვა. მხარეებს შეეძლება უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა რეესტრში მისვლის გარეშე, დისტანციურად.

- პირველ ფაზის განხორციელებისთვის არ იყო აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებები, ხოლო მეორე ფაზის განხორციელება, მხოლოდ საკანონმდებლო ცვლილებებით იქნება რეალური.

- აუცილებელია ამაღლდეს მოსახლეობის ციფრული ტექნოლოგიების სფეროში ცოდნის დონე. ამ მხრივ, უნდა გატარდეს ციფრული უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების ამაღლების ღონისძიებები, რათა საზოგადოება მომზადებული შეხვდეს ტექნოლოგიურ ცვლილებებს, რომელიც თითოეულის ყოველდღიურობა გახდება. რაც უფრო ახალია ტექნოლოგია, მით უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო საზოგადოებისათვის მის გასაცნობად და დასარწმუნებლად, თუ რამდენად მარტივად შეუძლია ამ ტექნოლოგიას გადაჭრას სხვადასხვა სფეროში არსებული პრობლემები.

დასკვნა

შემოთავაზებულია საქართველოში ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენებით ელექტრონული მმართველობის განვითარებაზე მოქმედი **შიგა და გარე ფაქტორები**.

შიგა ფაქტორები - დაკავშირებულია ბლოკჩეინ სისტემის სიღრმისეულ შესწავლასთან ტექნოლოგიური თვალსაზრისით. ტექნოლოგიის დანერგვის ყველაზე დიდი სირთულე მისი რეალური შესაძლებლობების გაცნობიერებაში მდგომარეობს. ამ მხრივ, გამოვყოთ, ტექნოლოგიის არქიტექტურა და ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხი.

დასმული პრობლემების მიხედვით, უნდა განხორციელდეს შემდეგი:

- **სისტემის არქიტექტურის პრობლემის გადაჭრის თვალსაზრისით**, დასმული ამოცანა იქნება კონკრეტული პროტოტიპების და შესაბამისი მოდელების შექმნა იმისთვის, რომ დავაგროვოთ ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენების პრაქტიკული ცოდნა. ამ გზით მოხდება პროფესიონალი კადრების ფორმირება, როგორც სტანდარტული, ისე უახლესი გადაწყვეტილებების რეალიზაციისათვის.

- **ინფორმაციული უსაფრთხოების პრობლემის გადაჭრის თვალსაზრისით**, დასმული ამოცანა იქნება არსებული რისკების დეტალური ანალიზი. ბლოკჩეინის გამოყენება მოითხოვს ყველა საკითხის შესწავლას, შესაძლო კიბერშეტევების გამორიცხვას, რეგულირების მექანიზმის დანერგვას და ალგორითმის აგებულების (და არა შენახული მონაცემების) კონტროლს.

გარე ფაქტორები - გულისხმობს იმ სფეროების და საკითხების შესწავლას, რაზეც გავლენას მოახდენს ბლოკჩეინ ტექნოლოგია. **ამ მხრივ, გამოვყოთ, სამართლებრივი რეგულირების საკითხი.**

- სამართლებრივი რეგულირების თვალსაზრისით, აუცილებელია უპირველეს ყოვლისა, ტექნოლოგიის სამართლებრივი სტატუსით გამყარება. მისი სამართლებრივად განუსაზღვრელი სტატუსი, შემაფერხებელი გარემოებაა დაინტერესებული პირებისათვის. ამ ეტაპზე, ბლოკჩეინი ენთუზიასტების მეშვეობით ვითარდება. შესაბამისად, აღნიშნული პოზიცია უნდა შეიცვალოს. ტექნოლოგიის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნას სამეცნიერო მიდგომა აკადემიური მეცნიერების ჩარჩოებში. საბოლოოდ ჩამოყალიბდება ბლოკჩეინ ტექნოლოგიაზე სამეცნიერო შეხედულება და შესაბამისი განსაზღვრებები, რაც დაგვეხმარება მისი სამართლებრივი სტატუსის ელემენტების განსაზღვრაში. არ არის გამორიცხული, შეიქმნას სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც მოახდენს ამ სფეროში საკითხების რეგულირებას.

საქართველოში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენ-

ტომში ჩატარებული კვლევის ფარგლებში შესაძლებელია დავასკვნათ:

- ბლოკჩეინი ძვირად ღირებული ტექნოლოგიაა.
- ბლოკჩეინ სისტემაში ანუ ყველაზე დიდ გლობალურ ქსელში ინფორმაციის შენახვა, ტრადიციულ, ცენტრალიზებულ სერვერებთან შედარებით, დამატებითი საერთაშორისო დონის უსაფრთხოებაა.

- ბლოკჩეინში პრაქტიკულად გამორიცხულია დაცული ინფორმაციის გაყალბება.

- ნდობის ამაღლების მიმართულებით საკმაოდ კარგი შედეგებით ხასიათდება ბლოკჩეინის პროექტი. შესაბამისად, სხვა სფეროში ბლოკჩეინ პროექტის განხორციელება აამაღლებს საზოგადოების ნდობას უწყების მიმართ, რაც სახელმწიფოსთვის მეტად ავტორიტეტული საკითხია.

- საჯარო რეესტრისთვის ბლოკჩეინის გამოყენების პირველი ფაზა შემოიფარგლა ამონაწერების შენახვით ბლოკჩეინში, ხოლო მეორე და საბოლოო ფაზა იქნება სმარტ-კონტრაქტების დანერგვა. აღნიშნულიდან, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ თითოეული უწყების სპეციფიკის გათვალისწინებით, ბლოკჩეინ პროექტები შესაძლოა რამდენიმე ფაზაში განხორციელდეს.

- ბლოკჩეინის გამოყენებას სჭირდება საკანონმდებლო ცვლილებები, მით უფრო სმარტ-კონტრაქტების ეტაპზე. იურისპრუდენცია ის სფეროა, რომელსაც მნიშვნელოვნად შეცვლის ტექნოლოგიური პროგრესი. საქართველოს კანონმდებლობაში, ჯერჯერობით არ გვაქვს ჩანაწერები ამ მიმართულებით. ამდენად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საჭიროა ამ მიმართულებით საკანონმდებლო ინიციატივაზე მუშაობა და კანონმდებლობის დახვეწა, რადგან ხშირ შემთხვევაში, ტექნოლოგიური განვითარება, უკან მოიტოვებს ხოლმე სამართლებრივ მხარდაჭერას.

ვფიქრობთ, საქართველოში, ელექტრონულ მმართველობაში ბლოკჩეინის დანერგვა გვაძლევს შესაძლებლობას, შევამციროთ ბიუროკრატია, საბიუჯეტო ხარჯები, კორუფციული რისკები, გავზარდოთ სახელმწიფო მმართველობის ეფექტიანობა, ეს კი სანინდარია იმისა, რომ დავიმკვიდროთ ღირსეული ადგი-

ლი ინოვაციურ სახელმწიფოთა შორის. ტექნოლოგიას ბევრი დადებითი მხარე აქვს, ბლოკჩეინს უკავშირდება სიტყვები გამჭვირვალობა, კორუფციის აღმოფხვრა, სანდოობა, დაცულობა და ა.შ. რაც სახელმწიფოსთვის არის მნიშვნელოვანი. უარყოფითი მხარე კი, ტექნოლოგიის სიძვირეა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Цихилов, А, “Блокчейн: Принципы и основы”, Альпина Диджитал, 2019, с. 300.

Haber, Stuart; Stornetta, Scott W., “How to time-stamp a digital document”, 1991, Journal of Cryptology 3 (2), 99–111.

2. Svein Ø., Ubacht J., Janssen M. “Blockchain in government: Benefits and implications of distributed ledger technology for information sharing”, Journal of information technology management, policies, and practices, 2017, Vol. 34, № 3, P. 355-364.

3. Nordrum A, “Govern by blockchain dubai wants one platform to rule them all, while Illinois will try anything”, IEEE Spectrum, 2017, Vol. 54, № 10, P. 54-55.

4. Konashevych O. “The concept of the blockchain-based governing: Current issues and general vision”, Proceedings of the European Conference on e-Government, 2017, P. 79-85.

5. Engelenburg S. V., Janssen M., Klievink B. “Design of a software architecture supporting business-to-government information sharing to improve public safety and security: Combining business rules, Events and blockchain technology”, Journal of Intelligent Information Systems, 2017, P. 1-24.

6. Клечиков А.В., Пряников М.М., Чугунов А.В., «Блокчейн-технологии и их использование в публичной сфере», Международный журнал открытых информационных технологий, 2017, Vol. 5, № 12, С. 123-129.

7. Swan M. Blockchain: The New Economy Scheme. М .Olympus business, 2017. - 240p.

8. Могаяр У. «Блокчейн для бизнеса» М., Издательство «Эксимо», 2018. С. 80-82, 84, 100-114.

9. Tapscot D, Tapscot A. “Blockchain technology: what drives the financial revolution today”, M. Eximo Publishing House, 2018, pp. 7-10,64- 65, 346-347,402.

REFERENCES:

1. Tsikhilov, A, “Blockchain: Principles and Foundations”, Alpina Digital, 2019, p. 300.

Haber, Stuart; Stornetta, Scott W., “How to time-stamp a digital document”, 1991, Journal of Cryptology 3 (2), 99–111.

2. Svein Ø., Ubacht J., Janssen M. “Blockchain in government: Benefits and implications of distributed ledger technology for information sharing”, Journal of information technology management, policies, and practices, 2017, Vol. 34, № 3, P. 355-364.

3. Nordrum A, “Govern by blockchain dubai wants one platform to rule them all, while Illinois will try anything”, IEEE Spectrum, 2017, Vol. 54, № 10, P. 54-55.

4. Konashevych O. “The concept of the blockchain-based governing: Current issues and general vision”, Proceedings of the European Conference on e-Government, 2017, P. 79-85.

5. Engelenburg S. V., Janssen M., Klievink B. “Design of a software architecture supporting business-to-government information sharing to improve public safety and security: Combining business rules, Events and blockchain technology”, Journal of Intelligent Information Systems, 2017, P. 1-24.

6. Klechikov A. V., Pryanikov M. M., Chugunov A. V., “Blockchain technologies and their use in the public sphere”, International Journal of Open Information Technologies, 2017, Vol. 5, № 12, P. 123-129.

7. Swan M. Blockchain: The New Economy Scheme. M .Olympus business, 2017. - 240p.

8. Mogaayar U. “Blockchain for business” M, Publishing house “Eximo”, 2018. P. 80-82, 84, 100-114.

9. Tapscot D, Tapscot A. “Blockchain technology: what drives the financial revolution today”, M. Eximo Publishing House, 2018, pp. 7-10,64- 65, 346-347,402.

TECHNOLOGICAL INNOVATION IN THE CONTEXT OF TRANSFORMATION OF PUBLIC ADMINISTRATION

Blockchain technology: implementation problems, advantages and disadvantages

Natalia Kandelaki

PhD Student of GTU

nataliakandelaki89@gmail.com

RESUME

The 21st century is characterized by the rapid development of digital technologies and their implementation in various fields. This process had a significant impact on governance and led to a paradigm shift in public administration.

Today, effective public administration is unthinkable without e-governance. E-governance is a tool for sustainable development of public administration, ensuring the transformation of public administration through the use of modern digital technological innovations.

The introduction of innovative e-governance solutions based on digital technologies is a serious problem for the country, both at the central and local levels. The article examines the global technological innovation - blockchain, analyzes the problems, advantages and disadvantages of its implementation, which is important for the formation of electronic governance as a new form of government.

Internal and external factors influencing the development of e-governance in Georgia using blockchain technology are proposed. *Internal factors* - associated with an in-depth study of the blockchain system from a technological point of view. The biggest challenge in implementing a technology is realizing its real potential. In this regard, let us single out the architecture of technology and the problem of information security. *External Factors* - refers to the study of areas

and issues that blockchain technology will affect. In this regard, let us highlight the issue of legal regulation.

Georgia is one of the first countries in the world to implement blockchain technology. The technology was originally used to register real estate. In July 2020, a study was conducted by the National Agency of Public Registry (NAPR) to identify the advantages and disadvantages of using blockchain in this area. The research results are described in detail in the article.

We believe that the introduction of blockchain into e-governance in Georgia gives us the opportunity to reduce bureaucracy, budget spending, corruption risks, improve the efficiency of public administration, and this is a prerequisite for taking a worthy place among innovative states.

Keywords: blockchain; innovative technologies, public administration, e-governance.

ადამიანური რესურსების მართვის გავლენა თანამედროვე სპორტის ინდუსტრიაში

doi.org/10.36962/104/6-9/202169137

ნიკოლოზ გოგოლაძე

საქ-ს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი,
ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი
n.gogoladze92@gmail.com

რეზიუმე

განხილულია ადამიანური რესურსების მართვის სპეციფიკა სპორტულ ინდუსტრიაში, მისი როლი სპორტულ ორგანიზაციებში, ადამიანური რესურსების მართვა თანამედროვე სპორტულ კლუბებში. სპორტული ინდუსტრიის ასტრონომიულმა ზრდამ გამოიწვია კლუბის მენეჯერისა და ადამიანური რესურსების მენეჯერის ფუნქციების კვება. მრავალი მონივნავე კლუბის მთავარი მენეჯერი ითვისებს ადამიანური რესურსების მენეჯმენტის მიმართულებებს, რათა წარმატებით მართოს გუნდი.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური რესურსი, ადამიანური რესურსების რეკრუტირება, მოტივაციის გავლენა სპორტის ინდუსტრიაზე, საფეხბურთო კლუბის მართვა.

შესავალი

ადამიანური რესურსების მენეჯმენტი არის სტრატეგიული მიდგომა, რომელიც გულისხმობს ორგანიზაციაში პერსონალის სწორ შეჩვენას და ეფექტურ მართვას. იგი შექმნილია კომპანიის სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, თანამშრომელთა ნაყოფიერი მუშაობის მაქსიმალურად გაზრდით. ადამიანური

რესურსების მენეჯმენტი, ძირითადად, დაკავშირებულია ორგანიზაციებში ადამიანების მართვაზე, პოლიტიკისა და სისტემების ფოკუსირებაზე. ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტები ცდილობენ შესთავაზონ პერსონალს ისეთი სამუშაო ადგილი, რომელიც მომუშავეებს მოეწონებათ, რითაც ამცირებენ თანამშრომელთა ვალდებულების დაკარგვისა და ფსიქოლოგიური საკუთრების რისკს.

პერსონალის მენეჯმენტი თავისი ბუნებით, ყველაზე პროდუქტიულია იმ გარემოში, რომელიც ფოკუსირებულია ადამიანურ კაპიტალზე, რომელიც სპორტული ინდუსტრიის ძირითადი რესურსია. ყოველივე ამის შემდეგ, სპორტი, არსებითად არის ადამიანის (სპორტული) საქმიანობის წარმოება და მოხმარება. ამ რესურსის ეფექტური მართვა უპირველესია ორგანიზაციების დადებითი შედეგების მისაღწევად.

დოქტორ მარლენ ა. დიქსონმა, დოქტორ რეიმონდ ა. ნოემ და დოქტორ დონა ლ. პასტორემ ჩაატარეს კვლევა ადამიანური რესურსების მენეჯმენტსა და სპორტის ინდუსტრიის მიმართულებით. აკადემიკოსების მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად დადგინდა კავშირი ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ეფექტურ პრაქტიკასა და სპორტული ორგანიზაციების კონკურენტულ მოღვაწეობას შორის.

თანამედროვე სპორტული ინდუსტრიის განვითარებასთან ერთად უფრო რელევანტური ხდება სფეროში ადამიანური რესურსების მენეჯმენტის საქმიანობა. ფეხბურთში, როგორც სპორტის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სახეში სულ უფრო ვითარდება კლუბური ინდუსტრია და პროგრესთან ერთად იმატებს ადამიანური რესურსების მართვის სწორი მენეჯმენტის აუცილებლობაც.

სპორტული ინდუსტრიის ასტრონომიულმა ზრდამ გამოიწვია კლუბის მენეჯერისა და ადამიანური რესურსების მენეჯერის ფუნქციების კვეთა. მრავალი მონინავე კლუბის მთავარი მენეჯერი ითვისებს ადამიანური რესურსების მენეჯმენტის მიმართულებებს, რათა წარმატებით მართოს გუნდი. წარმატებულ კლუბებზე დაკვირვება გვაჩვენებს, რომ მზგავსი მიდგომა

კლუბის მენეჯერების მიერ წარმატების მომტანია. ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი არის კლუბი მანჩესტერ იუნაიტედი და მენეჯერი ჟოზე მარინიო.

ქირითადი ნაწილი

ადამიანური რესურსების ზოგადი მიზანია უზრუნველყოს ორგანიზაციის წარმატების მიღწევა ხალხის მაქსიმალური პოტენციალის გამოყენებით, რასაც დიდი მზგავსება აქვს კლუბის მენეჯერის საქმიანობასთან. სპორტის კომერციულ ზრდასთან ერთად, კლუბის მენეჯერის კომპეტენცია გასცდა მხოლოდ გუნდის განვრთას, წარმატების მისაღწევად საჭირო გახდა სხვა დარგებიდან უნარების გადმოტანა/ათვისება.

რეკრუტირება ადამიანური რესურსების მენეჯმენტის გადამწყვეტი ნაწილია, რადგან ყველას სურს ნიჭიერი ადამიანის პოვნა გუნდისთვის. არ არის მარტივი ამოცანა გუნდისთვის სწორი კვალიფიციური კადრის შეძენა. კლუბის მენეჯერი უნდა გაერკვეს სიტუაციაში, ამოარჩიოს საუკეთესო მოთამაშე საკუთარი გუნდისთვის და შეძლოს მისი მოყვანა კლუბში. შესაბამისად კლუბის მენეჯერს უნევს დიდი ძალისხმევა იმისთვის, რომ შეიმუშაოს განცხადებები, ნაიკითხოს აპლიკაციები და ჩაატაროს ინტერვიუები და ტესტები, ვიდრე საბოლოო გადამწყვეტილებას მიიღებს. უფრო მეტიც, დაკომპლექტების საფუძვლიანი პროცესი არ არის მხოლოდ საუკეთესო ნიჭის პოვნა, არამედ საუკეთესო დამსაქმებლის იმიჯის დაპროექტება. შეუძლებელია შეუმჩნეველი დარჩეს ადამიანური რესურსების მენეჯმენტის კვალი კლუბის მენეჯერის საქმიანობის კონკრეტულ ასპექტში.

თანამშრომელი ბორტზე - მას შემდეგ, რაც დაქირავებულია შესაფერისი ადამიანები, იწყება კიდევ ერთი გადამწყვეტი ეტაპი: ბორტზე გადასვლის პროცესი. აუცილებელია ახალ მოთამაშეს მიეცეს ყველა საჭირო ინფორმაცია, რაც გუნდის შიდა მენეჯმენტს შეეხება. ყოველივე ეს არის ადამიანური რესურსების მართვის საქმე, რომელსაც ითვისებს კლუბის მენეჯერი. კლუბ მანჩესტერ იუნაიტედის მენეჯერმა ჟოზე მარინიომ მიიღო

გადანყვეტილება, ერთ სატრანსფერო ფანჯარაში როგორც პოგბას, ისე ზღაგანის კლუბში მოყვანით. ერთდროულად ორი მაღალი დონის მოთამაშის შექმნა ამცირებს წნევას, რომელიც შეიძლება განიცადოს ნებისმიერმა მოთამაშემ გუნდის მხრებზე ტარების გამო. სწორედ მზგავსი გადანყვეტილება არის გუნდისთვის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა წარმატებისკენ.

პროფესიული წვრთნები და ტრენინგების მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია კლუბის მენეჯერისთვის ადამიანური რესურსების მენეჯმენტის უნარების გამოყენება. დაგეგმვა, თუ როგორ აპირებს გუნდის წვრთნას, როგორ დაეხმარება გუნდს წარმატების მიღწევაში, კრიტიკული ამოცანების შესრულებაში და როგორ მიაღწევს თითუეულ ადამიანში მოტივაციის ჩამოყალიბებას, გუნდისთვის მაქსიმალური რესურსის გამოსატანად. ადამიანური რესურსების მართვის ქოუჩინგის ერთ-ერთი გადამწყვეტი ასპექტი არის სასწავლო პროცესი. სოლიდური სავარჯიშო პროცესი საშუალებას იძლევა განუვითაროთ გუნდს კულტურა, უნარები და გუნდური მუშაობა, როგორც სხვა ორგანიზაციებში ასევე საფეხბურთო კლუბებში.

როდესაც საქმე გვაქვს სხვადასხვა წარმოშობის და ნიჭის, დონის სხვადასხვა პიროვნებებთან, შესაძლოა კონფლიქტები მოხდეს. კონფლიქტის მოგვარების პროცესი ძალიან მნიშვნელოვანია როგორც მწვრთნელის, ასევე გუნდის წევრებისთვის. კონფლიქტი ან პრობლემა შეიძლება კარგი იყოს, თუ მწვრთნელს აქვს კარგი იდეა, რომელიც პრობლემას გადაჭრის. ყოველი წარმატებული სწორი გადანყვეტილება გუნდის წევრებს ერთმანეთთან აახლოებს და ეხმარება მათ კოლეგების თვალთ დაინახონ სიტუაცია. სასწაულებრივი შემობრუნება სპორტში ჩვეულებრივი მოვლენაა, მენეჯერს, რომელიც ხალხს კვლავ ერთად თანამშრომლობისკენ მიიყვანს, უთუოდ წარმატებულად ფლობს ადამიანური რესურსების მართვის საბაზისო საფეხურებს. ზოგჯერ გუნდში კონფლიქტების მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ ცვლილებებით. მყარი და სამართლიანი ადამიანური რესურსის განშორების პროცესი გარკვეულ შემთხვევებში ეხმარება ამ სიტუაციების მოგვარებას, რასაც ისევე

ადამიანური რესურსების მენეჯმენტისეულ მიდგომასთან მივყავართ კლუბის მენეჯერის მხრიდან.

საკომპენსაციო ჯილდოები საინტერესო თემაა როგორც სპორტში, ასევე განსხვავებული პროფილის მქონე ორგანიზაციებში. ადამიანური რესურსების მენეჯმენტში დიდი მნიშვნელობა აქვს როგორ ჯილდოვდება ადამიანი განეული ნაყოფიერი შრომისთვის. ფეხბურთში, მოთამაშის დაჯილდოვება შესაძლებელია მეტი თამაშის დროის მიცემით ან მეტი პასუხისმგებლობით, ჯილდო ყოველთვის არ უნდა იყოს ფულადი. ამასთან, გუნდის წევრების მხოლოდ ფულადი პრემიებით დაჯილდოება ხშირ შემთხვევებში ხელს უწყობს საჭირო ადამიანების ნასვლას. კვლავ პაულ პოგბას და მწვრთნელ ჯოზე მარინიოს მაგალითზე, რომელმაც თავდაპირველად დატოვა მანჩესტერ იუნაიტედი, რადგან მას მეტი დრო სურდა მოედანზე 4 წლის შემდეგ 10-ჯერ მეტი თანხით დააბრუნეს. ეს გადაწყვეტილება აშკარად არასწორი გათვლა იყო და ადამიანური რესურსის კლება რაც გუნდს ასობით მილიონი დოლარი დაუჯდა.

ანალიზი და დოკუმენტაცია-იმისათვის, რომ გუნდის მოღვაწეობა წარმატებულად წარიმართოს, კლუბის მენეჯერს უნდა შეეძლოს გუნდის მუშაობის მონაცემების შეგროვება და რაც, მთავარია, შედეგების ანალიზი და დოკუმენტირება. ფეხბურთში მენეჯერები უყურებენ წარმატების ან/და წარუმატებლობის მონაცემებს და იკვლევენ უხვ ინფორმაციას, რომელსაც თითოეულ თამაშში აგროვებენ თითოეულ მოთამაშეზე. კლუბის მენეჯერმა უნდა შეეძლოს გუნდის წევრების მუშაობის ანალიზი და თვალყურის დევნება. ანალიზი უფრო მარტივი და უსაფრთხოა, თუ მთელი ეს მონაცემები ინახება ერთ, ხელმისაწვდომ და სანდო მონაცემთა ბაზაში.

დღეს ადამიანური რესურსის ანალიზი ყველა დიდი საფეხბურთო კლუბის განუყრელი ნაწილია, ისევე როგორც ყველა სხვა დიდი კომპანიაში, სადაც ადამიანური რესურსების მენეჯმენტის განყოფილება მუშაობს. განსხვავება საფეხბურთო კლუბისთვის ის არის, რომ ადამიანური რესურსების მენეჯმენტის საბაზისო მიმართულებებს კლუბის მენეჯერი ითვისებს.

დასკვნა

სპორტული ინდუსტრიის მართვა ბევრად კომპლექსური გახდა სპორტის სახეობის განვითარებასან ერთად. კლუბის მენეჯერისთვის ტექნიკური სამწვრთნელი ცოდნის გარდა, წარმატებული მუშაობის განსახორციელებლად აუცილებელია სხვა სფეროების ცოდნაც. ერთ-ერთი უმიშვნელოვანესია, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. თანამედროვე მოწინავე საფეხბურთო კლუბების მენეჯერებს ათვისებული აქვთ ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ძირითადი მიმართულებები და ასე ახერხებენ მათი კლუბის სწორ მენეჯმენტს.

კლუბის მენეჯერის საქმიანობა დღევანდელ რეალობაში, დაკავშირებულია დიდ რისკებთან, მაღალ ანაზღაურებასთან, ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობასთან და მსოფლიო მასშტაბის მოლაპარაკებებთან. გუნდთან წარმატებული მუშაობა შეუძლებელია რეკრუტირების, პროფესიული წვრთნებისა და ტრენინგების, ანალიზისა და დოკუმენტაციის გარეშე. სპორტული ორგანიზაციის მენეჯერს ვარჯიშის მსვლელობის გარდა ასევე უწევს კომპენსაციების გასნსაზღვრა, გუნდში კომფლიქტის მოგვარების და მოტივაციის უზრუნველყოფა.

ლიტერატურა:

1. <https://hrdailyadvisor.blr.com> A New HR Method from Sports Coaches
2. ნიკოლოზ გოგოლაძე - მართვის თეორია ადამიანის როლის შესახებ და პერსონალის შერჩევის ზოგიერთი საკითხი
3. <https://www.sympa.com/> show how HR resembles running a football club
4. დოქტორი მარლენ ა. დიქსონი ტეხასის უნივერსიტეტიდან, დოქტორი რეიმონდ ა. ნოე და დოქტორი დონა ლ. პასტორე ორეგონი ოჰაიოს სახელმწიფო უნივერსიტეტიდან

REFERENCES:

1. <https://hrdailyadvisor.blr.com> A New HR Method from Sports Coaches
2. Nikoloz Gogoladze - Management theory about human role and some of the personnel selection
2. <https://www.sympa.com/> show how HR resembles running a football club
4. Dr. Marlen A. Dixon from Texas University, Dr. Ramond A. Noe and DR. Dona L. Pastore both from Ohio State University.

**THE IMPACT OF HUMAN RESOURCE MANAGEMENT
ON THE MODERN SPORTS INDUSTRY**

Nikoloz Gogoladze

Associate Professor of the Georgian State Teaching
University of Physical Education and Sports,
Doctor of Business Administration
n.gogoladze92@gmail.com

RESUME

The paper outlines the specifics of human resource management in the sports industry, its role in sports organizations, human resource management in modern sports clubs. Also the astronomical growth of the sports industry has led to the intersection of the functions of club manager and human resources manager. The top manager of many advanced clubs masters human resource management directions to successfully lead the team. Human resource management is a strategic approach that involves the proper selection and effective management of staff in the organization. It is designed to achieve the strategic goals of the company by maximizing the productive work of its employees. Human resource management is pri-

marily concerned with managing people in organizations, focusing on policies and systems. Human resource management departments try to offer staff a job that employees like, thus reducing the risk of employee liability loss and psychological ownership.

Personnel management, by its very nature, is most productive in an environment that focuses on human capital, which is a key resource in the sports industry. After all, sport is essentially the production and consumption of human (sports) activities. Effective management of this resource is paramount to achieving positive results for organizations.

The management of the sports industry has become much more complex with the development of the sport. In addition to technical coaching knowledge for a club manager, knowledge of other areas is essential for successful work. One of the most important is human resource management. The managers of modern advanced football clubs have mastered the basic directions of human resource management and thus manage the proper management of their club.

The activities of a club manager in today's reality are associated with great risks, high pay, great popularity among the people and world-class negotiations. Successful teamwork is impossible without recruitment, professional training, analysis and documentation. In addition to training, the manager of a sports organization also has to determine compensations, provide conflict resolution and motivation in the team.

Keywords: Human Resources, Human Resources Recruitment, Impact of Motivation on the Football Industry, Football Club Management.

**კომპანიაში დასაქმებული პერსონალის
შიდაორგანიზაციული ძვევის შეფასება
ჟ. ნიუსტრომის და კ. დევისის
მეთოდის მიხედვით**

doi.org/10.36962/104/6-9/202169145

დალი ბაკაშვილი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

განხილულია კომპანიაში დასაქმებული პერსონალის შიდაორგანიზაციული ქცევის შეფასება, ანუ იმის მცდელობა, რომ სხვადასხვა საქმიან ოპერაციებზე დასაქმებულ მუშაკთა ქცევა გადაყვანილი იქნეს კოეფიციენტებში და ამით დადგინდეს თუ დასაქმებულთა ქცევა რამდენად განაპირობებს მათზე გაპიროვნებული დავალებების (გეგმების) შესრულებას.

კომპანიაში მიმდინარე 11 ოპერაციაა შეფასებული. საამისოდ გამოყენებულია ნიუსტრომ-დევისის მეთოდის და კომპანიის პირობითი ციფრობრივი ინფორმაცია.

ავტორი ავითარებს აზრს, რომ თუ ამა თუ იმ ოპერაციის გეგმა სრულდება, მაშინ, შეფასების კოეფიციენტი იქნება ერთი, თუ არა და ნაკლები. 11 ოპერაციიდან ორ ოპერაციაზე გეგმები გადაჭარბებით შესრულებულა, 9 ოპერაციაზე კი ნაკლებად. შედეგად 11 ოპერაციის შეფასების ჯამობრივი მაჩვენებელი აღმოჩნდა არა 11, არამედ, 7,874. სტატის ავტორი თვლის, რომ ეს არის კომპანიის პერსონალის შიდაორგანიზაციული ქცევის საშუალო მდგომარეობა და აძლევს კომპანიებს რჩევას, შეისწავლონ დასაქმებულთა ფსიქოლოგიური მახასიათებლები და პროფესიულ ნიშანთან ერთად, ეს მახასიათებლებიც მიიღონ მხედველობაში კადრებით დაკომპლექტების პროცესში, რადგან, პერსონალის შიდაორგანიზაციულ ქცევას სწორედ მათი ფსიქოლოგიური მახასიათებლები აყალიბებენ.

საკვანძო სიტყვები: შიდაორგანიზაციული ქცევა; პერსონალი; ფსიქოლოგიური მახასიათებლები; შიდაორგანიზაციული ქცევის შეფასება.

შესავალი

ორი ათეული წელია წარმოების ფაქტორებიდან წინა პლანზე წამოიწია პერსონალის ფაქტორმა. მეცნიერებმა ერთხმად აღიარა, რომ დასაქმებული პერსონალი სხვა ფაქტორებისგან განსხვავებით ცოცხალია და მის პროფესიონალიზმსა და კომპეტენციებზე არის დამოკიდებული ამ ე. წ. „სხვა ფაქტორების“ სათანადო ამუშავებაც. ცოტა უფრო მოგვიანებით დადგინდა ისიც, რომ საქმიანობის ეფექტიანობა მხოლოდ მათ პროფესიულ უნარზე არ არის დამოკიდებული. არის რაღაც სხვაც, რაც განაწყობს (ან არ განაწყობს) მუშაკს მასზე დაკისრებული დავალების შესასრულებლად. ეს არის მისი ფსიქოლოგია, ანუ როგორც ფსიქოლოგები ამბობენ - ფსიქოლოგიური ტიპი.


სწორედ ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ ადამიანთა დასაქმება ამა თუ იმ თანამდებობაზე მხოლოდ მათი პროფესიის მიხედვით, არ არის საკმარისი. ამის გარდა, კომპანიებმა საჭიროა შეისწავლონ პრეტენდენტების ფსიქოლოგია-მათი ხასიათი, განწყობა, ინტერესი და ა. შ., რადგან, სწორედ ეს უკანასკნელი აპირობებს დასაქმებულ ადამიანთა შიდაორგანიზაციულ ქცევას და, საბოლოო ჯამში, მათი საქმიანობის ეფექტიანობას.

კომპანიებმა უნდა ისწავლონ პერსონალის შიდაორგანიზაციული ქცევის შეფასებაც, რომლის მრავალი მეთოდი არსებობს. მათგან ერთ-ერთი მათგანის გამოყენების მაგალითი განხილულია წინამდებარე სტატიაში.

ძირითადი ტექსტი

კომპანიის პერსონალის შიდაორგანიზაციული ქცევის შეფასება მათზე გაცემული დავალებების შესრულების მაჩვენებლებით უნდა მოხდეს. კომპანიამ ეს რომ შეძლოს, მან პერსონალის შიდაორგანიზაციული ქცევის შეფასების მრავალი მეთოდებიდან მისი საქმიანობის სპეციფიკისთვის ყველა მორგებული მეთოდიკა უნდა აირჩიოს.

კომპანია კოდური სახელწოდებით „რივიერა-მოლი“, რომლის პერსონალის შიდაორგანიზაციული ქცევაც უნდა შევაფასოთ, არის სავაჭრო ორგანიზაცია. ამ საქმიანობის შესასრულებლად მას უამრავი ძირითადი და არაძირითადი ოპერაციებ-



ნახაზი 1. კომპანია „რივიერა-მოლის“ მრავალდონიანი ორგანიზაცია

ის განხორციელება სჭირდება. ეს ოპერაციები წარმოდგენილი გვაქვს ნახაზზე 11.

როგორც ამ ნახაზიდან ჩანს, სავაჭრო კომპანია „რივიერა-მოლში“ 11 ლოკალური ოპერაცია სრულდება, რომლებსაც ასრულებენ კომპანიაში დასაქმებული ადამიანები შესაბამისი ორგანიზაციული ქცევით. ამ ქცევებს სპეციფიკური სოციალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლები გააჩნიათ, რომელთა გადაყვანას ორგანიზაციულ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ჩვენ ნაშრომის ამ ნაწილში შევეცდებით მეცნიერების ჯ. ნიუსტრომის და კ. დევისის მეთოდის გამოყენებით, და, ამ გზით დავადგენთ, კომპანია „რივიერა-მოლის“ პერსონალის შიდაორგანიზაციული ქცევა არის თუ არა დამაკმაყოფილებელი, თუ მას სრულყოფა სჭირდება.

ამ მიზნით, უპირველესად წარმოვადგენთ ზემოთდასახელებული თითოეული ოპერაციისთვის (11 ოპერაცია) ნიუსტრომის და დევისის მიერ შემოთავაზებულ ფორმულებს და შემდეგ მათ გამოვიყენებთ კომპანია „რივიერა-მოლში“ დასაქმებულთა ქცევის შეფასებისთვის [1; 2, გვ. 76-77].

აღნიშნული ფორმულები ასეთია:

1. საქონლის შესყიდვებში:
$$Y_{3AK}^{PBI} = \sum_{j=1}^m \sum_{i=1}^n \frac{P_{ij}^{n1}}{P_{ij}^{\Phi}} \quad (1)$$

ფორმულაში:

Y_{3AK}^{PBI} - აღნიშნავს შესყიდვებში დასაქმებული პერსონალის შიდაორგანიზაციული ქცევის განვითარების დონეს.

P_{ij}^m - j - მომწოდებელთან i - საქონლის შესყიდვის გეგმურ ფასს.

P_{ij}^{Φ} - j - მომწოდებელთან i - საქონლის შესყიდვის ფაქტიურ ფასს.

2. სასაწყობო საქმეში:
$$Y_{CKI}^{PBI} = \sum_{i=1}^n \frac{U_i^{n1}}{U_i^{\Phi}} \quad (2)$$

ფორმულაში:

Y_{CKI}^{PBI} - აღნიშნავს საქონლის დასაწყობებაში დაკავებული პერსონალის შიდაორგანიზაციული ქცევის განვითარების დონეს.

U_i^{n1} - i - საქონლის გეგმურ დანაკარგს.

U_i^{Φ} - i - საქონლის ფაქტიურ დანაკარგს.

3. საქონლის გაყიდვაში:
$$Y_{npod}^{PBI} = \sum_{j=1}^m \sum_{i=1}^n \frac{P_{ij}^{\Phi}}{P_{ij}^{n1}} \quad (3)$$

ფორმულაში:

Y_{npod}^{PBI} - არის გაყიდვებში დასაქმებული პერსონალის შიდაორგანიზაციული ქცევის განვითარების დონე.

P_{ij}^{Φ} - არის i - საქონლის მყიდველზე მიყიდვის j ფაქტიური ფასი.

$P_{j=1}^{n1}$ - არის i - საქონლის მყიდველზე მიყიდვის j გეგმური ფასი.

4. საკადრო უზრუნველყოფაში:
$$Y_{kagp}^{PBP} = \frac{B^{n\lambda}}{Q_{COTP}^{n\lambda}} : \frac{B^\Phi}{Q_{COTP}^\Phi} \quad (4)$$

ფორმულაში:

Y_{kagp}^{PBP} - არის კადრებით უზრუნველყოფაში დასაქმებულ პერსონალის შიდაორგანიზაციული ქცევის განვითარების დონე.

$Q_{COTP}^{n\lambda}$ - არის გეგმით ამ საქმეზე დასაქმებულ მუშაკთა რიცხვი.

Q_{COTP}^Φ - ფაქტიურად ამ საქმეზე დასაქმებულ მუშაკთა რიცხვი.

$B^{n\lambda}$ და B^Φ - არის გეგმური და ფაქტიური რეალიზაცია.

5. მარკეტინგულ უზრუნველყოფაში:
$$Y_{MAP}^{PBP} = \frac{V_{prod.марк.}}{V_{prod.б.марк.}} \quad (5)$$

ფორმულაში:

Y_{MAP}^{PBP} - არის მარკეტინგულ საქმიანობაში პერსონალის შიდაორგანიზაციული ქცევის განვითარების დონე.

$V_{prod.марк.}$ - არის მარკეტოლოგების თვალთახედვით რეალიზაციის მოცულობა.

$V_{prod.б.марк.}$ - არის მარკეტოლოგების აზრის გათვალისწინების გარეშე რეალიზაციის მოცულობა.

6. ფინანსურ უზრუნველყოფაში:
$$Y_{ФИН}^{PBP} = \frac{A}{K} \quad (6)$$

ფორმულაში:

$Y_{ФИН}^{PBP}$ - არის ფინანსურ უზრუნველყოფაში დასაქმებულთა შიდაორგანიზაციული ქცევის განვითარების დონე.

A - არის ბალანსის აქტივი (ღირებულებაში).

K - ნასესხი კაპიტალი (ვალი, ღირებულებაში).

7. ლოგისტიკურ მომსახურებაში:
$$Y_{\text{ЛОГ}}^{\text{PБИ}} = \frac{3_{\text{Tp.eg.zp.}}^{n\Lambda}}{3_{\text{Tp.eg.zp.}}^{\Phi}} \quad (7)$$

ფორმულაში:

$Y_{\text{ЛОГ}}^{\text{PБИ}}$ - არის ლოგისტიკაში დასაქმებულთა შიდაორგანიზაციული ქცევის განვითარების დონე.

$3_{\text{Tp.eg.zp.}}^{n\Lambda}$ - არის ერთი ერთეული ტვირთის გადაზიდვის გეგმიური ხარჯი.

$3_{\text{Tp.eg.zp.}}^{\Phi}$ - არის ერთი ერთეული ტვირთის გადაზიდვის ფაქტიური ხარჯი.

8. რეკლამურ მომსახურებაში:
$$Y_{\text{РЕК}}^{\text{PБИ}} = \frac{3_{\text{Pek}}^{n\Lambda}}{V_{\text{npod.}}^{n\Lambda}} : \frac{3_{\text{Pek}}^{\Phi}}{V_{\text{npod.}}^{\Phi}} \quad (8)$$

ფორმულაში:

$Y_{\text{РЕК}}^{\text{PБИ}}$ - არის სარეკლამო მომსახურებაში დასაქმებულთა შიდაორგანიზაციული ქცევის განვითარების დონე.

$3_{\text{Pek}}^{n\Lambda}$ და 3_{Pek}^{Φ} - არის რეკლამაზე განეული გეგმიური და ფაქტიური ხარჯი.

$V_{\text{npod.}}^{n\Lambda}$ და $V_{\text{npod.}}^{\Phi}$ - არის გაყიდვების გეგმიური და ფაქტიური მოცულობა.

9. ადმინისტრაციულ-სამეურნეო მომსახურებაში:

$$V_{\text{axo}}^{\text{PБИ}} = \frac{V_{\text{npyd.yd.}}}{V_{\text{Hap.not.}}} \quad (9)$$

ფორმულაში:

$V_{\text{axo}}^{\text{PБИ}}$ - არის ადმინისტრაციულ-სამეურნეო მომსახურებაში დასაქმებულთა შიდაორგანიზაციული განვითარების დონე.

$V_{\text{npyd.yd.}}$ - არის აღკვეთილი დანაკარგები.

$V_{\text{Hap.not.}}$ - არის ნორმირებული დანაკარგები.

10. სერვისულ მომსახურებაში:

$$V_{CEP}^{PBP} = \frac{V_{ok,ycl}^{n\Lambda}}{V_{npog}^{m\Lambda}} : \frac{V_{ok,ycl}^{\Phi}}{V_{npog}^{\Phi}} \quad (10)$$

ფორმულაში:

V_{CEP}^{PBP} - არის სერვისში დასაქმებულთა შიდაორგანიზაციული ქცევის განვითარების დონე.

$V_{ok,ycl}^{n\Lambda}$ და $V_{ok,ycl}^{\Phi}$ - არის სერვისული მომსახურების გეგმური და ფაქტიური მოცულობები.

$V_{npog}^{m\Lambda}$ და V_{npog}^{Φ} - არის გეგმური და ფაქტიური გაყიდვების მოცულობა.

11. მმართველობით მომსახურებაში:

$$V_{yup}^{PBP} = \frac{B^{n\Lambda}}{Q_{yup.pab}^{n\Lambda}} : \frac{B^{\Phi}}{Q_{yup.pab}^{\Phi}} \quad (11)$$

ფორმულაში:

V_{yup}^{PBP} - არის მმართველობაში დასაქმებულთა შიდაორგანიზაციული ქცევის განვითარების დონე.

$B^{n\Lambda}$ და B^{Φ} - არის გაყიდვების (რეალიზაცია) გეგმური და ფაქტიური მოცულობა.

$Q_{yup.pab}^{n\Lambda}$ და $Q_{yup.pab}^{\Phi}$ - არის მმართველობაში დასაქმებულ მუშაკთა გეგმური და ფაქტიური რიცხვი.

იმისათვის, რომ ამ ფორმულების გამოყენებით შევაფასოთ კომპანია „რივიერა-მოლის“ დასაქმებულთა ფსიქოლოგიური მახასიათებლებით (განწყობა, ხასიათი, ემოციურობა და ა. შ.) განპირობებული მათი შიდაორგანიზაციული ქცევა, გვჭირდება ამ ფორმულებში მოცემული ტექნიკო-ეკონომიკური მაჩვენებლები (ცხრილი 1).

ცხრილი 1 კომპანია „რივიერა-მოლის“ 2020 წლის მუშაობის მაჩვენებლები

მაჩვენებლები	ზომის ერთეული	2020 წელი	
		გეგმით	ფაქტიურად
1. საქონლის შესყიდვის მოცულობა	ათ. ლარი	3600	4720
2. შესყიდვის ერთეულის საშუალო ფასი	ლარი	13 (პირობითად)	17,8 (პირობითად)
3. საქონლის გაყიდვის მოცულობა	ათ. ლარი	4400	5751
4. გაყიდული საქონლის საშუალო ფასი	ლარი	17 (პირობითად)	13 (პირობითად)
5. საქონლის დანაკარგი დასაწყობებაში	ათ. ლარი	2,0	1,8
6. დასაქმებულთა რიცხვი	ლარი	132	130
7. საქონლის რეალიზაცია მარკეტოლოგების დახმარებით	ათ. ლარი	4400	5751
8. საქონლის რეალიზაცია მარკეტოლოგების გარეშე	ლარი	5400	5400
9. კომპანიის ბალანსის აქტივი	ათ. ლარი	-	10800
10. კომპანიის ნასესხი სახსრები	ლარი	-	9515,8
11. ერთი ცალი ერთეული საქონლის ტრანსპორტირების ხარჯი	ათ. ლარი	6,5 (პირობითად)	7,8 (პირობითად)
12. რეკლამის ხარჯი	ლარი	121,3	137,8
13. ნორმირებული დანაკარგი	ათ. ლარი	100,5	-
14. ალკვეთილი დანაკარგი	ლარი	-	54,1
15. სერვისული მომსახურების სიდიდე	ათ. ლარი	110,0	223,0
16. კომპანიის მმართველობაში დასაქმებულთა რიცხვი	ადამიანი	13	13

კომპანია „რივიერა-მოლის“ 2020 წლის ამ ანგარიშგებითი ინფორმაციის ზემოთაღნიშნულ ფორმულებში ჩასმით ვლუბულობთ ასეთ შედეგებს (ცხრილი 2).

ცხრილი 2 კომპანია „რივიერა-მოლის“ დასაქმებულთა შიგა-ორგანიზაციული ქცევის განვითარების დონე სხვადასხვა ოპერაციებში

ოპერაციის (საქმიანობის) დასახელება	საანგარიშო ფორმულა	პერსონალის შიდაორგანიზაციული ქცევის განვითარების დონე
1. საქონლის შესყიდვაში	#1	$Y_{3AK}^{PBI} = \frac{13}{14.8} = 0.730$
2. სასაწყობო საქმეში	#2	$Y_{CKII}^{PBI} = \frac{2.0}{5.8} = 0.3$
3. საქონლის გაყიდვაში	#3	$Y_{npod}^{PBI} = \frac{13}{19} = 0.684$
4. საკადრო უზრუნველყოფაში	#4	$Y_{kagp}^{PBI} = \frac{4400}{6} : \frac{5751}{6} = 733 : 958 = 0,758$
5. მარკეტინგში	#5	$Y_{MAP}^{PBI} = \frac{5751}{5400} = 1.06$
6. ფინანსურ უზრუნველყოფაში	#6	$Y_{PhiH}^{PBI} = \frac{10800}{9515.8} = 1.13$
7. ლოგისტიკურ მომსახურებაში	#7	$Y_{\text{ЛОГ}}^{PBI} = \frac{6.5}{7.8} = 0.83$
8. რეკლამურ მომსახურებაში	#8	$Y_{PEK}^{PBI} = \frac{121.3}{4400} : \frac{137.8}{5751} = 0.02 : 0.03 = 0.6$
9. ადმინისტრაციულ-სამეურნეო მომსახურებაში	#9	$V_{axo}^{PBI} = \frac{54.1}{100.5} = 0.538$
10. სერვისულ მომსახურებაში	#10	$Y_{CEP}^{PBI} = \frac{110}{4400} : \frac{223}{5751} = 0.025 : 0.04 = 0.625$
11. მმართველობით მომსახურებაში	#11	$Y_{yup}^{PBI} = \frac{4400}{21} : \frac{5751}{14} = 209 : 338 = 0.619$
სულ		7,874

ცხრილში ჩატარებული გაანგარიშებები გვიჩვენებს, რომ ჯამურად კომპანია „რივიერა-მოლში“ 11 სხვადასხვა ოპერაცი-აზე დასაქმებულ პერსონალის შიდაორგანიზაციული ქცევის განვითარების დონე 7,874 კოეფიციენტს შეადგენს. მეცნიერები ნიუსტრომი და დევისი ასეთ გაანგარიშებას შემდეგნაირად აფ-ასებენ. ისინი თვლიან, რომ თუ ამა თუ იმ ოპერაციის გეგმა შეს-რულდა მთლიანად, ანუ 100%-ით (კოეფიციენტში გადაყვანით 1,0), ეს ნიშნავს, რომ მასზე დასაქმებული პერსონალის შიდა-ორგანიზაციულ ქცევაში სრულად იყო ასახული მათი ფსიქო-ლოგია, რამაც სწორედაც გამოიწვია გეგმის შესრულება. ასეთი მიდგომით კომპანია „რივიერა-მოლში“ ჩვენ უნდა მიგვეღო 11, სინამდვილეში, მივიღეთ 7,874, ანუ მისაღებ ნორმაზე 11 – 7,874 = 3,126-ით ნაკლები.

ეს იმას ნიშნავს, რომ კომპანია „რივიერა-მოლში“ ეკონომ-იკური მაჩვენებლების დაგეგმვისას ნაკლებად ხდება დასაქმე-ბულთა ფსიქოლოგიური მახასიათებლების გათვალისწინება. კომპანია გეგმავს მისთვის სასურველ ზრდას, მაგრამ რამდე-ნად აქვს მის კოლექტივს მის შესასრულებლად საჭირო ქცევის განწყობა, ამას არ ენევა ანგარიში.

დასკვნა

აქედან გამომდინარე, საქართველოს კომპანიებისთვის ჩვე-ნი პირველი და ამასთან, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი რე-კომენდაცია არის შტატში ფსიქოლოგის აყვანა და მისი მეშ-ვეობით თითოეულ დასაქმებულზე ფსიქოგრამების შედგენა, რომლებშიც გამოჩნდება მათი ფსიქოლოგიური ტიპაჟი. ამ ფსი-ქოგრამებზე დაყრდნობით, უნდა გადანაწილდნენ დასაქმებუ-ლები მათთვის საინტერესო და მათ ხასიათთან მისადაგებულ სამუშაოზე. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება მათი შიდაორ-განიზაციული ქცევა ისეთი, რომ მათ შეძლონ კომპანიის გეგმე-ბის შესრულება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ньюстром Дж., Дувис К. Организационное поведение (пер. с. англ.). Питер. 2000.
2. Чекмазов А. В. Формирование и оценка внутри организованного поведения персоналом в ТПС. М. 2008.

REFERENCES:

1. Newstrom J., Duvis K. Organizational Behavior (translated from English). Peter. 2000.
2. Chekmazov A. V. Formation and Evaluation of Internal Organizational Behavior of Personnel in the TPN. M. 2008.

**ASSESSING THE INTERNAL ORGANIZATIONAL
BEHAVIOR OF THE COMPANY STAFF ACCORDING
TO J. NEWSTROM' AND K.DAVIS' METHODOLOGY**

DALI BAKASHVILI,

PhD Student of Georgian Technical University,
d.bakashvili@bakashviliandco.com

RESUME

The article deals with the evaluation of the internal organizational behavior of the employees of the company, i.e the attempt to convert the behavior of the workers employed in various business operations into coefficients and thus to determine the extent to which the behavior of the employees determines the fulfillment of individual tasks (plans).

The article evaluates the current 11 operations in the company. Newstrom-Davis methodology and conditional digital information of the company are used for this purpose.

In the article, the author develops the idea that if this or that operation plan is completed, then the evaluation coefficient will be one, if not less. Plans for two of the 11 surgeries were overstaffed, with less than nine surgeries. As a result, the total evaluation of 11 operations was not 11, but 7,874. The author of the article considers that this is the average state of internal organizational behavior of the company's staff and advises companies to study the psychological characteristics of employees and, along with the professional mark, to take these characteristics into account in the recruitment process because of internal organizational behavior.

Keywords: Internal organizational behavior; Staff; Psychological characteristics; Evaluation of internal organizational behavior.



საინტერესო სახელმძღვანელო¹

განათლების სისტემის მსოფლიო ტენდენციები ამჟამად მიგვანიშნებენ იმ ფაქტზე, რომ ინოვაციური განვითარება და წარმატებული სახელმწიფო აზრობრივად სინონიმებია, ხოლო ინოვაციური საქმიანობა (მენარმეობა) არის მოცემულ მომენტში კონტროლირებად რესურსებს მიღმა არსებული შესაძლებლობების მუდმივი ძიება.

როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, ეკონომიკის ინოვაციური სექტორის კვლევა თანამედროვე სამყაროს პრიორიტეტული მიმართულებაა. უფრო მეტიც - ქვეყანათა ინოვაციური განვითარება გლობალური ეკონომიკური პროგრესის უალტერნატივო ფაქტორადაა აღიარებული.

მსოფლიო უსწრაფესი ტემპით პროგრესირებს, რაზეც სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების სწრაფი „მორალური ცვეთაც“ მეტყველებს. განვითარებადი ქვეყნები მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამენ ეროვნული ინოვაციური სისტემების ფორმირებისა და მოდერნიზაციის თვალსაზრისით. შეიმუშავენ სახელმწიფო ინოვაციურ პოლიტიკას, ქმნიან შესაბამის საკანონმდებლო ბაზებსა და ინოვაციურ ინფრასტრუქტურას, აძლიერებენ მცირე ინოვაციური მენარმეობისა და მეცნიერებატევადი წარმოების პროპაგანდას, კოლოსალურად ზრდიან მეცნიერულ კვლევა-განვითარებაში დაბანდებულ ინვესტიციებს და სხვ.

ამ მხრივ საყურადღებოა ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევარის, ეკონომიკის დოქტორის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლექტორის, **ირაკლი ჯანგავაძის სახელმძღვანელო, სახელწოდებით „ინოვაციური ეკონომიკის საფუძვლები“.**

უნდა აღინიშნოს, რომ ნაშორმი სრულად აკმაყოფილებს სა-

¹ ირაკლი ჯანგავაძე, ინოვაციური ეკონომიკის საფუძვლები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2021.366 გვ.

ხელმძღვანელოს ძირითად სტანდარტებს და განსაზღვრულია მიზნობრივ აუდიტორიაზე - უპირატესად ბაკალავრიატის სტუდენტებზე. კერძოდ: წიგნი შედგება 16 თავისგან, რომელთა ბოლოს ვხვდებით თემატური ხასიათის შეკითხვებს.

აქვე წარმოდგენილია თანამედროვე ინფორმაციით გაჯერებული არაერთი ქეისი, ცხრილი, დიაგრამა, ნახაზი და გამოყენებულია 200-მდე წყარო.

რაც შეეხება სახელმძღვანელოს შინაარსს, ძირითადი ყურადღება გამახვილებულია საზოგადოების განვითარების ეტაპებზე, ინოვაციური განვითარების თეორიულ ასპექტებზე, ინოვაციების ცნებაზე, არსსა და პრეისტორიაზე. ასევე, ინოვაციების თავისებურებებზე, ინდიკატორებზე, საქართველოს ინოვაციური განვითარების შესაძლებლობებზე.

აქვე, გაანალიზებულია ინოვაციური პოლიტიკის როლი და მნიშვნელობა თანამედროვე პირობებში, მსოფლიოში აპრობირებული ეროვნული ინოვაციური სისტემები და სტრატეგიული მოდელები, ეკონომიკის, ინტელექტუალური კაპიტალისა და ინოვაციური ინფრასტრუქტურის თავისებურებები და სხვ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ირაკლი ჯანგაგაძის სახელმძღვანელო-„ინოვაციური ეკონომიკის საფუძვლები“ გამოყენებულიქნას უმაღლესი სასწავლებლების მიერ ეკონომიკისა და ბიზნესის სპეციალობის სტუდენტებისათვის.

ემდ, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის პროფესორი,
ჟურნალ „ეკონომიკა“-ს მთავარი რედაქტორი,
რევაზ შენგელია

INTERESTING TEXTBOOK ¹

The World trends in the education system clearly point to the fact that innovative development and a successful government are actually synonymous, while innovative activity (entrepreneurship) is a constant search for opportunities beyond the resources currently controlled.

Both theoretically and practically, the research of the innovative sector of the economy is a priority in the modern world. Moreover, the innovative development of countries is recognized as a non-alternative factor of global economic progress.

The world is progressing at a rapid pace, as evidenced by the rapid “moral depreciation” of scientific and technical achievements. Developing countries are making significant strides in shaping and modernizing national innovation systems. They develop state innovation policies, create appropriate legal bases and innovative infrastructure, strengthen the propaganda of small innovative entrepreneurship and science-based production, colossally increase investments in scientific research and development and etc.

In this regard, the textbook of **Irakli Jangavadze**, a young researcher, Doctor of Economics and lecturer at the Georgian Technical University, entitled “**Fundamentals of Innovative Economics**” is noteworthy.

Moreover, it should be noted that the paper fully meets the basic standards of the textbook and is intended for the target audience - predominantly undergraduate students. Namely: the book consists of 16 chapters, at the end of which we find thematic questions. There are used numerous briefcases, tables, diagrams, saturated with modern information and up to 200 sources.

As for the content of the textbook, the main focus is on the stages of development of the society, the theoretical aspects of innovative development, the concept of innovation, the essence and prehistory,

1 Irakli Jangavadze, Fundamentals of Innovative Economy, Publishing House “Universal” , Tb, 2021.366 pages.

also, on the peculiarities of innovations, indicators and opportunities for innovative development of Georgia.

Besides, it analyzes the role and importance of innovation policy in modern conditions, world proven national innovation systems and strategic models, features of eco-innovation, intellectual capital and innovative infrastructure, etc.

Based on the above, as a reviewer, **I strongly support the use of Irakli Jangavadze's work - "Fundamentals of Innovative Economics" as a textbook by the higher education universities for students in the field of economics and business.**

PhD, (Doctor of Economic Sciences)
Professor of Georgian Technical University,
Editor-in-Chief of the International
Scientific Journal "Economics",
Revaz Shengelia

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამომქვეყნების წესი:

ჟურნალი, ასევე თითოეული სტატია ინდექსირდება შემდეგ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში: **CROSSREF** (ენიჭება უნიკალური საერთაშორისო ციფრული იდენტიფიკატორი- **DOI**), <https://search.crossref.org>; **Google Scholar** - <http://scholar.bpengi.com>; **Portico** - <https://www.portico.org> ; **Zenodo** - <https://zenodo.org>.

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის **ახალ** შედეგებს ეკონომიკის შემდეგ თეორიულ და გამოყენებით სფეროებში:

ეკონომიკური რეფორმა; ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები; ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია; საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა; ფინანსები, ბანკები, ბირჟები; რეგიონული ეკონომიკა; დარგობრივი ეკონომიკა; ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტის აქტუალური საკითხები; მსოფლიო ეკონომიკა; რეცენზიები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებზე.

მიღებულ სტატიებს იხილავს რედკოლეგია და დადებითი რეცენზიის შემთხვევაში აქვეყნებს, ასევე განათავსებს ინტერნეტში - ელექტრონულ ჟურნალში.

სტატიები მიიღება ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე, ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

პლაგიატიზმი და ეთიკური მოთხოვნები

სტატიაში მოყვანილი ფაქტების, მონაცემების სიზუსტესა და პლაგიატზე პასუხისმგებელია ავტორი. სტატიაში სხვისი გამოქვეყნებული ტექსტების მითითების გარეშე გამოყენება დაუშვებელია.

დაუშვებელია ასევე ადრე, სხვაგან გამოქვეყნებული სტატიის დაბეჭვდა ჟურნალში.

სტატიის გაფორმების წესი

სტატიის მინიმალური მოცულობა 5 გვერდი A4 ფორმატის; **რეზიუმე** ქართულ და **ინგლისურ** (აუცილებლად) ენებზე (**100-250** სიტყვა);

საკვანძო სიტყვები ქართულ და ინგლისურ ენებზე;

სტატიის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ავტორის (ავტორთა) სახელი, გვარი, აკად. ხარისხი ქართულ და ინგლისურ ენაზე, ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი;

სტატიის **შესავალი**, **ძირითადი ტექსტი** და **დასკვნითი** ნაწილი;

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი AcadNusx;

ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი - Times New Roman;

შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, ყველა კიდიდან დაშორება იყოს 2 სმ.

PUBLICATION REQUIREMENTS FOR SCIENTIFIC ARTICLES:

*The journal, as well as each article, are indexed in the following international scientific databases: **CROSSREF** (assigned an unique International Digital Identifier - **DOI**), <https://search.crossref.org>; **Google Scholar** - <http://scholar.bpengi.com>; **Portico** - <https://www.portico.org>; **Zenodo**- <https://zenodo.org>*

The articles to be published in the journal should include the **new results** of scientific research in the theoretical and other practical fields of economics, such as: Economic reform; Modern problems of economics; History of economic doctrines; Legal Provision

of Market Economy; Finances, Banks, Exchange Markets; Regional Economy; Sectoral Economy; Current issues of Business, Marketing, Management; World economy; Reviews on monographs and textbooks published recently.

All received scientific articles will be peer-reviewed by the Editorial Board and will be published in case of positive reviews and assessment. The accepted articles will be posted on the website, in the electronic journal.

The articles are published in Georgian, Russian, English, German and French languages, in the original language.

PLAGIARISM AND ETHICAL REQUIREMENTS

The Author is responsible for plagiarism and for the accuracy of the facts, data given in the article. It is not permissible to use others' text in the article without their cross-reference.

Moreover, it is also unacceptable to publish the early elsewhere issued article in the journal.

THE REQUIREMENTS OF FORMATTING SCIENTIFIC ARTICLES:

The minimum volume of the article is 5 pages A4 format;

Resumes must be in Georgian and **English** (essential) languages (minimum **100-250** words);

Key words in Georgian and English languages;

Title of the article in Georgian and English languages;

Name, surname, academic degree of the author (authors) in Georgian and English,

E-mail and telephone number;

Introduction to the article, Basic text and Conclusion;

List of References in Georgian and English languages;

For Georgian text, please use the Georgian font **AcadNusx**.

For English and Russian texts please use **Times New Roman**;

Font size 12, the interval 1,5cm , Line Spacing- 2 cm.

ჟურნალი“ეკონომიკა“ გამოდის 1918 წლიდან.

გამოცემა გამოდიოდა შემდეგი სახელწოდებებით:
საქართველოს ეკონომისტი (1918 N1- N6),
ეკონომისტი (1925-1926),
საქართველოს ეკონომისტი (1926-1931),
საქართველოს სოციალისტური მეურნეობა (1931-1941),
საქართველოს ეკონომისტი (1958-1967),
საქართველოს სახალხო მეურნეობა (1967 N4 დან-1973),
ეკონომისტი (1974-1990),
ეკონომიკა (1991 წლიდან -).

სხვა სათაურით

საქართველოს ეკონომისტი.
საქართველოს სოციალისტური მეურნეობა.
საქართველოს სახალხო მეურნეობა.
ეკონომისტი.
ეკონომიკა.
Экономист Грузии.

ISSN: 0206-2828.

განახლებული ISSN 2587-4713

E-ISSN 2733-3361

UDC: 338(922)(05)



შპს ჟურნალი „ეკონომიკა“
მისამართი: თბილისი – 0171, მ. კოსტავას ქ. 63.
ტელ: 599 56-90-78.
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

ООО журнал «ЭКОНОМИКА»
Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63
Тел. 599 56-90-78
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების, საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტები.
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გადაეცა ასაწყობად 15.08.2021 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 03.09.2021 წ.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10,375

ЎЎЎ (UDC): 338(922)(05)



E-ISSN 2733-3361